ქართული ხალხური პოეზია

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორო იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემად სახსოვრად
სააქაოსა რჩებოდე,
გიმღერდენ ჩემებრ სწორები,
ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,
ქვეყანა მხიარულობდეს
და მე საფლავში ვლპებოდე.
ნეტავი, ჩემო სახელო,
დიდხანამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქვამო სიტყვაო,
შენამც კი გაჰქვეყნდებოდე!
შენ, ჩემო საფლავის კარო,
შენამც კი აჰყვავდებოდე!
სახლო, არ დაიშლებოდე,
ცოლო, არ გათხოვდებოდე...
ერთ ეგეც უნდა ვიკითხო,
ჩემს სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა,
საქმეს ვინ გაიჭირვებსა?!
ამასა ვფიქრობ და გულიც
ამასვე ანამდვილებსა:
დედის მეტს ჩემი სიკვდილი
არავის აატირებსა...
თუმც ნათესავნი, და-ძმანი
აღარ აისხმენ ღილებსა,
ცოლიც ძალიან მიტირებს _
ქვეყანას გააკვირვებსა,
ცოტა ხნის შემდეგ ისიცა
სხვისა ჭირს გაალხინებსა,
სულ ყველას დავავიწყდები,
ყველას სხვა დაათირებსა...
მე დედის გულში ვიქნები,
ძილსაც არ დაიძინებსა,
ვენაცვლე ძუძუს გამზრდელსა,

გულით ეგ დამიტირებსა...
დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს გამჩენი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა.

კაი ყმა

კაი ყმა, მგელი, არწივი _
არც ერთ არ გაიწურთნება!

მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა _ მამაცობასა,
არწივი _ არწივობასა,
მთის ყურეთ თამაშობასა...

მგელი გაივლის მთაზედა _
ნამ გაბერტყილი დარჩება,
დაიხულუზნებს არწივი _
საჯიხვეებში გაჩნდება,

დასწვდება შუნის თიკანსა,
სადმე სადილად დაჯდება,
გულ-ღვიძლს ხომ შაშჭამს თვითონ და
ლეში _ ყვავ-ყორანს დარჩება...

კაი ყმა, მგელი, არწივი _
არც ერთ არ გაიწურთნება!

მაშინ კარგია კაი ყმა,
რა დილა-ბინდზე დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა,
«ომს ვიზამ!» _ ემზადებოდეს,
ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა,
წაღმა-უკუღმა დგებოდეს,
იხარჯებოდეს კაი ყმა,

თოფი ოხრადა რჩებოდეს.

მოლოდინი სჯობს მოსვლასა
ლაშქრით ლამაზის ყმისასა,
მოვა, მოიტანს ამბავსა
თავისასა და სხვისასა, _
ჯერ სწორებისას გვიამბობს,
მემრ _ თავის გამოცდისასა.

კაი ყმა მაშინ კარგია,
ომშიგით ამადიოდეს,
არ იკვეხოდეს ბიჭობას,
სხვათა უქმობას ჩიოდეს,
აბჯარსა, სისხლის გათხვრილსა,
სწმენდდეს და ჩამაზდიოდეს.

ნეტავ თქვენ, ქურაზაშვილნო,
სამი მზე მოგდისთ გვარზედა:
ერთი მზე _ მამაცობისა,
მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,
მეორე _ თოფოსნობისა,
ჯიხვნ ვერ გაგივლენ მთაზედა,
მესამე _ პურადობისა,
სუ სტუმარ გისხავთ სკამზედა.

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარნი თუნდა ხისანი,
თვალნი _ ქორებულ მხედავნი,
ზედ _ მუხლნი შავარდნისანი.

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო, _
მაუვლის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო.

გაგვიძეხ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაგვიყოლიე ახლები,
ვისაც თავი აქვს ცდისაო!

თქვენი რიგია, ახლებო,
ხელის დადება ხმალზედა, _
ყორნები ლეშით სძღებიან
მამების ნაომარზედა.

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი შასჭამონ მტრისანი.

ხმა მამწონს თქვენის თოფისა,
იცის გველივით წივილი...
თქვენი მთათ შამამავლობა,
ქორებულ შამაკივილი.

ქორის ერისთვის დისწულნო,
ლაშქრულად კახეთს ჩახვალთა,
მაგით უყვარხართ ბატონსა, _
ომს უკრძალავად შახვალთა.

თუში ტიროდა მთაზედა
თავის ძმის ნაომარზედა:
მოეკლა ორმოცი თურქი,
თვითონაც იწვა ქვაზედა.

კარგ ყმას აჭმიე, დედაო,
დილა-ადრიან სადილი:
ან ხმა რამ შამაღვარდების,
ან მთას გაუვას ნადირი.

კარგ ყმასა შურობს სოფელი,
იტყვიან: «კარგი რად არი!»
საქმე რომ გაუჭირდებათ,
ყველა იბარებს: «სად არი?!»

ომში ჩავიდენ ახლები,
წკეპა ამოდის ხმლისაო,
ლემადეს, ამამდინარსა,
კვნესა ამოჰყვა მტრისაო.

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გავაბათ კალთასა!
მტერი ხარ _ შემატყობინე _
ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა!

ნისლი ძეს ლეგაისკარსა
სულ მუდამ აუყრელადა,
აბაშას ტანზე ჯაჭვი სცვავ
სულ მუდამ წაუყრელადა.

ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

ომი ას ნაროვანზედა,
სისხლსა წვიმს, ზეთი დარია;
ომობენ ხიხიკაურნი _
პირშიშველაი ყმანია;
ძაღლიკას შამახვევნიყვეს
ხიხიკაურსა ცხრანია:
«ა დადას ძაღლიკაისას _
შინ დამრჩომია ფარია!»

ვაჰ, გულო, ვაჰ, გუნებაო,
ვაჰ, სიშორეო გზისაო!

წასვლაო, აღარ მოსვლაო
ლაშქრით მამაცის ყმისაო!

არწივო, მხარკვერიანო,
ყორნებს რად აძლევ ზავსაო?!
მინდორთ რო მოკვდეს კაი ყმა,
წინ-წინ ეგ დასთხრის თვალსაო.

გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყევ ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო!

კარგისა ყმისა ცოლობა
ნუ გიხარიან, ქალაო, _
წავა და ლაშქარს მოკვდება,
დარჩები ცარიალაო!

ისევ იზრდება მგლის ლეკვი
არწივთა ნაბუდვარშია,
დედა მკლავთ უპოხს მალ-მალე,
დილ-დილა, თითბრის ჯამშია;
შვილი ჰკითხევდა დედასა:
«დედი, რათა ხარ თალხშია?!
ან მამა-ბიძებ სად მყავის,
მარტოდ რაად ვართ ხალხშია?!»

ცხენ-კარგის დედას დავნატრი,
ლაშქარში წინ-წინ წადგება,
მერე _ თოფ-კარგის დედასა, _
ერთის ნასროლით დარჩება!
მერე _ ცოლ-კარგის დედასა, _
ქმრის სწორთ ლამაზად დახვდება!

ატირდა კაი ყმის ცოლი:
«აღარ მამივა შინაო...»
იცინის ცუდაის ცოლი:
«გამაიქცევა წინაო...»
გამაქცეულის მოსვლასა
არმოსვლაი სჯობს შინაო!

ორხევში მეცხვარეები
სანგალსა ხვევენ ცხვრისასა;
ერთი მოყმისას ამბობენ,
ხავილს გაჰყვება შვლისასა,
გადმაეშლება ლეკები,
გულს ვერა ხედვენ ყმისასა _
თორმეტთა შუა დაბრუნდა,
პირს დაიბრუნებს მგლისასა...
ჭარში გაკვირდენ ლეკები
ცდას ხუტათ ქავთარისასა,
თოფის სიმართლეს უქებდენ,
ნაჭრევსა ფრანგულისასა,
თიანეთს _ თიანელები _
ცოდვა-ბრალს მაგის დისასა, _

შამასდგომიყო ჭალასა,
გულზე იყრიდა ქვიშასა.

კაი ყმა ბეგთარს ჩაიცვამს,
წითლად შახვდება დილასა,
ლაშქარში მაშინ ჩავალის,
რკინა რო გაღეჭს რკინასა,
გონჯაი _ დაიმალება,
კაი ყმა _ დაჰკრავს წინასა.

მე ვაჟი მამწონს ისეთი,
წილ ედვას ყველასთანაო:
კაია _ პურადობაი,
ედგას ჭურჭლების ჯარაო,
ხანდისხან _ შუღლიც კარგია,
მტერს ჩაუნათოს დანაო!

მაისტელთ გაურიგებავ
გორგისად შაკვრა გზისაო.
გორგის ნუ მახკლავთ, ქისტებო,
მა უთურგაის შვილსაო!
თუ მახკლავთ, ხელს კი ნუ მასჭრით,
ბრალია კაი ყმისაო...
არ დაიჯერეს ქისტებმა, _
«გორგიმაც ესრე ქნისაო,
გორგის ციხეზედ აკრავის
თორმეტ მარჯვენა მტრისაო»...
ჩაუსხდეს მთის თავს, მთის ძირსა,
ფერ ვერ უცვალეს მგლისაო...
«ვაი თქვენს გორგის, ქისტებო,
ხანი არ მექნა ცდისაო!
თუ შამხვედროდით პირდაპირ _
ქნევა მეც ვიცი ხმლისაო!»

ფშაველს უყვარდა გარასა
ჟღერება დროშაისაო,
შაყრაი ფშავლის ლაშქრისა,
ჩავლევა შორის გზისაო.

ნეტავ თქვენ, შატილივნებო,
არვის შაარჩენთ ჭირსაო!
სახელი მამ-პაპით მაგდისთ, _
ხოცა არ გიკვირთ მტრისაო!

წითელათანა გაივსა
არხოტს ნახოცი მკვდრითაო,
ბარაქალ, არხოტივნებო,
ხელუკუღმ დახკლავთ ხმლითაო!

აბავ, შენ, ბახალაურო,
ფეხმარდო ცხენივითაო,
დაგიფხავებავ ფრანგული
თიბვაში ცელივითაო!

გაწყვეტა ჩქარეულების
გასახარია მტრისაო...
მტერო, ნუ გაგიხარდება,
გამჯავრო რჩება გმირსაო!

«რად მოგიწყინავთ, ვაჟებო,
რად შაგდებიათ ზარია?!» _
«არცვინ გვყავს დაჭრილ-დაკუწულ,
არც ცხენს გვიკიდავ მკვდარია!»

კაი დრო მაშინ ყოფილა,
შვილდი რო სჭეხდა რქისაო,
ეყარა ციხის კარებში
ნალეწი ფრანგულისაო.

ციხე ვერ გასტეხს ვაჟკაცსა,
ტანჯვა ხვედრია გმირისა;
ციხე აშინებს ბეჩავსა,
ვინც არმცნობია ჭირისა.

მაშინ იხარე, ლურჯაო,
მთები რო ჰგვანდეს ლილასა,
ჩაგიდო მძიმე ლაგამი, _
ორთქლი ადნობდეს რკინასა.

გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა!
ვისაც მაგვიკვლენ, დავმარხავთ, _
სხვა კიდევ გაიზრდებისა!

გაქებენ, ქიჩბარაულო,

ჩემს საქმარესამც შაგყარა!
ხელთ მისცა თავის აბჯარი,
ლურჯა საფერხედ მაღგვარა!
თუ იმას დააჭარბებდი,
ცოცხალიმც ნუღარ მამგვარა!
თუ ის შენ დაგაჭარბებდა,
სამკლავეებიმც წაგყარა!

ლომო, შე ლომის მოკლულო
ბუსნი-ჭალაის პირსაო,
ვინ შეგიღება წითლადა
მხარ-ბეჭი პერანგისაო,
ვინ გაგიმეტა სათოფრად
პატრონი ბევრი ცხვრისაო?!
ჯავრისგან დაგიღრეჯია
კბილები ბროლებისაო...
ლამაზად დაგიტირებდი,
ხათრი არ მქონდეს ქმრისაო!

«ყვარანო, ჭარის ბოლოსა
არ მაავლიე თვალია!
ველგუჯა არსად ღნახია,
ხუშაიშვილი ხარია!»
«ვნახე და ქვეც მამეწონა,
დიდ-დიდ სხდომიყვნეს თვალნია,
საჭმელად ვეღარ ჩაუედ:
არწივს ეფარნეს ფრთანია...
მარტუა არა ყოფილა,
ორნი ეტანნეს სხვანია».

ჭიმღის კლდეთ ყეფდა ყორნები,
ერთი უძახებს სხვასაო:
«ველთ მიოს ოჩიაური,

გავხყვათ ამაგის კვალსაო;
ჩვენის მისვლისად გასწირავს
ყორის წყალაზე მკვდარსაო...
უშიშა ჩვენ არ დაგვაკლებს
სახრავად ღილღვლის ძვალსაო!»

ზენ-ბაცალიგოს თოვლსა თოვს,
ქვენ-ბაცალიგოს შრებისა...
თინიბექ, შენსა ციხესა
კუთხი მარჯვენა სქდებისა;
თავსა ზის შავი ყორანი,
ლიბუში გველი ძვრებისა;
შიგ წევხარ თინიბექაი, _
ალუდაური კვდებისა...
გვერდს გიზის ცოლი ლამაზი,
სანთელივითა დნებისა.

თქვენი ჭირიმე, ყორნებო,
გლოვა არ იცით მკვდარზედა;
რაც უნდა კარგი ყმა მოკვდეს,
ცრემლ არ მოგივათ თვალზედა;
შაიმოსებით შავადა,
თეთრს არ ჩაიცვამთ ტანზედა;
კარგ ყმას გულს ამაარიდებთ,
ჩამაირიგებთ ჯარზედა;
გაილექებით სისხლითა,
გადახვალთ ილტოს წყალზედა.

შავი ხარ, შავსა ცხენს ზიხარ,
შავი თექალთო გიგია,
კუპრის პერანგი გაცვია,
ზედ ნავთის ღილი გიგია,
გამოხვეულხარ ფარ-ხმალში,

შუბლზე ალმასი გიგია.

ნეტავ თქვენ, უთურგიანნო,
ყანა არ მაგიცდებისთა,
მკერდიან-დუმაიანი
წინ სუფრა დაგიხვდებისთა,
ამდინარ-ჩამამდინარი
მწყემსი, მუშაი ძღებისა.

თოფის ხმა ჭიუხებშია
ვაჟკაცსა იამებაო;
ვაჟკაცსა, ტყვიით დაჭრილსა,
არ უნდა ზიარებაო,
მოკვდება _ დამარხვა უნდა,
არ უნდა გვიანებაო!

აბაშას გიქებთ, ქალებო,
ხირსილაური _ მგელია,
ღარიბ კაცია აბაშა,
ბევრაის ღილღვლის მკვლელია...
მაგას არა ჰყავს საქონი,
ჭიუხში ნადირ ბევრია.

რაად კარგია კარგი ყმა,
რაის კარგისა მქნელია:
წავალის, მაჰკლავს ნადირსა,
ჭალაში მწვადის მწველია,
დააძღებს ამხანაგებსა,

თავად მშიერა მგელია.

«ხმალ, გასჭერ, თორო გაგყიდი,
ვაჭარი ამიჩენია».
«რაისთვის მყიდი, პატრონო,
რა წუნი შაგიმჩნევია?!
მამიკლავს შენი მამკლავი,
ჯავრი არ შამირჩენია!»

ელიან გოგოლაურნი
ჩაბრძანებასა მზისასა,
მარტუან ემზადებიან,
არ გაირევენ სხვისასა,
მარტუან გამაირეკვენ
ცხვარ-ძროხას მაისტისასა.

თუშნო, ფშავნო და ხევსურნო,
ლაშქარნი შავაზიაროთ!
დროშანი წითელ-ყვითელნი
საძელეს შავაფრიალოთ!
არ უღალატოთ ერთმანეთს,
მტერი კი დავაზიანოთ!

სოფლად ტირიან ქალები:
«სოფელს კაი ყმა კვდებაო,
ღმერთო, ნუ მაჰკლავ კას ყმასა,
სოფლობა წაგვიხდებაო,
რაღა ვქნათ, ჭირსა და ლხინში
წინ ვიღა წაგვიძღვებაო!»

მთიელო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდი მაგიშივდება!
ომში შეხვალ და გამოხვალ _
გული არ შაგიშინდება...
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხი არ მაგიცურდება!

ბრალია, შაო ყორანო,
შენ ჩემი ლეშით ძღებოდე,
წახვიდე, ჭალას იბანო,
მაღლა მუხებზე ჯდებოდე...
კიდევაც გნახვენ, ფრთაშაო,
თოფის ნიშანზე სდგებოდე!

ზოგნი რო წვიმდეს ღრუბლები,
ზოგნ _ ისევ გაიდარებენ,
ზოგნი რო სცემდეს კარგ ყმასა,
ზოგნ _ ისევ შაიბრალებენ...
ძაღლები, ქისტის ბალღები,
დახკვრენ, არ დაინანებენ.

ცხენისა მამწონს ცხენობა,
დაჭრეხილები ნალები,
დაკვართულობა მხედრისა,
დატყვრეცილები თვალები...
სოფელზედ შამაიაროს,
გამაჰხედავდეს ქალები.

ჯიხუავ, მახინცაურო,

ჯერანო მაღლის მთისაო,
შენსა ვინ იტყვის სიკვდილსა,
რომ სთქვას, ვინ იტყვის ძვირსაო!
შენის მხარ-მკლავის ჭირიმე,
ფიცხლა მქნეველო ხმლისაო!

გულს შაეყარა საღონი,
დარდი მკლავს, ჯავრი ბევრდება,
წითლად მაიქცნეს წყარონი,
ჭალას არაგვი ღელდება;
თოფი ჭეხს, მთანი ელობენ,
თოფის ცეცხლისგან თენდება...
ჩვენის ნაწურის სისხლისგან
სრუ დედამიწა სველდება.

მოხველ-ა, კარატიელო,
ბუკუკიშვილო ხმლიანო!
შენ ხმალ არ შამოგეხსნების,
მამი შვილამდე მტრიანო!

არშას ბაზალი ჯურღმაი,
ვეფხვი, კლანჭებზე დგებაო,
განჯას შაჰგლიჯა კლიტენი _
ჩემს არშას მაუხდებაო!
ბერდიშვილები

ნუ მახკლავთ არხოტიონსა,
ქისტებო, მინდიასაო,
ავნია ბერდიშვილები,
არ შაგარჩენენ ვალსაო!
აქებენ ხირჩლაის შვილსა,
გრანჯას ამბობენ კარგსაო,
შურის საძებრად წამავლენ,
მაგრა ჩაიცმენ ჯღანსაო...

თოფ გადის ნეთხის ძირშია,
ქარაფნ უცემენ თვალსაო.

კაი ყმა ძილშიც მღვიძარობს,
კურდღლისა აქვის ძილია,
გამოვარდება სამდევრო
ძახილზედ შეჭურვილია.

თუშის ქალმა თქვა: შევირთავ
ბასრის ხმლის ამომღებელსა,
სხვაზედ წინ ომში ჩამსვლელსა,
სახელის წამომღებელსა!

არცა-რას მოჯაბრეს ვაძლევ,
ვერცა-რას მტერი მრჩებისა!
ძველთაგან მოდის თქმულება:
«მგელი არ იცარცვებისა,
რაცა არა სცვავ ტანზედა,
არცა-რა გაეხდებისა!»

მემტერებიან გილანი,
აღარ მაძლევენ გზასაო;
გაგლესავ, ჩემო წვრილაო,
ცერზე მოვსინჯავ ფხასაო;
შეგიბამ გაზაფხულზედა
მსხვილსა ამ ჩემსა ტანსაო;
თქვენის მკვდრის მიძაღლებამა,
ვერ გარმოვხდები მთასაო!
ვერ ვათამაშებ თქვენზედა

დავითფერულსა ხმალსაო!
ვეღარ წავიყვან სახლშია
თქვენსა ქალსა და რძალსაო!

ხახაბოს ჭალას ხვიოდა,
მთიბელავ, შენი ცხენიო:
«ნალი არავინ დამაკრა,
არვინ მაჭამა ქერიო,
სუყველა დამეპატრონა,
ახალგაზრდა თუ ბერიო,
მაგრამ ვერავინ გადამჯდა,
მთიბელავ, შენი ფერიო!»

ჩაიარის და ჩახოცნის
მარიამულის ძემაო...
ყველამ აგრე ჰქნის ვაჟკაცმა,
ომმ სხვა რა იცის გრძელმაო!

ვინა თქვა, ენამც გახმება,
«წოწრეს პაპაი ბერია!»
ცხენზე შეჯდება _ ქორსა ჰგავს,
დაუქვეითებს _ მგელია!

თუშთ არ იციან, რას ნიშნავს,
რას ჰქვია ყმა და ბატონი,
თავად გახლავან თავისი
მბრძანებელი და პატრონი!

დედა უცხონდეს ყმაწვილსა,
არალო ჭიმღიშვილსაო,

თელავის ბოლოს რომ იცნო
ხანჯარი თავის ძმისაო!
«ბიჭო, ვისი გრტყავ ხანჯარი,
ტარ რო აქვს სპილოს ძვლისაო?»
«თუშისა არის, ყონაღო,
თუშისა, რჯულძაღლისაო!..»
გადაუფრინდა, ასწვადა,
დაუშვა ძუძუს პირსაო.

ხმა მოდის მასპინძლობისა,
შავედით სადამ შინაო:
ასი _ სკამს უჯდა სტუმარი,
ორასი _ დაეწვინაო...
თვითონ ჯდა, ფანდურს უკრავდა,
ნუთუ არ მაეწყინაო?!

ჩავალის, ჩაეუბნება
ტუნკათ ივანე საღარსა:
«ცხენავ, ეტყობა, გეშინის,
გულს მე ჩაგიდებ მაგარსა,
ჩაგავლევ ტერელოზედა,
ჩაგატანინებ ნაღარსა,
შენც ხო იქ მოგკლავ, ტიალო,
თავსაც იქ დავდებ ჭაღარსა!»

ხმალს უთხრა ივანეურმა:
«ხმალო, გამიჭერ, ტიალო!
მტერი მომადგა კარზედა,
დღეს უნდა გაგაპრიალო,
ან მოვკლავ, ან შევაკვდები, _
ცოცხალმ არ უნდა ვიარო!»

თქვენთან მეწადა, არწივნო,
ღვინის სმა, ლხინი გრძელია:
რა დადგეს უდარობაი,
დამაფარნიდით ფრთენია!
ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია

ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია
წმინდა გიორგის კარზედა,
ქალმა იცნა და ატირდა _
ძმისა ნაცომი ტანზედა:
«ვაი, ჯანგი მოგკიდებია
შე ოხრის პატრონისაო,
დღით ხუთჯერ ომში ნამყოფის,
პირშიშველაის ყმისაო!»

ბრალია, სუხუმიაო,
მიწა გიდნობდეს ჯანსაო,
არ ესხას იარაღები
შენს ციხესავით ტანსაო!

თქვენი ჭირიმეთ ლხინშია,
კარგნი ხართ გასაჭირშია,
ბუდობენ ქორ-შავარდნები
თქვენი თვალ-წარბის ჩრდილშია!

ჯარში ჯამრულის ლურჯასა
დააცემინებს ცხვირსაო...
«ტფუი, შე სატიალეო,
პატრონს რად უფრთხობ ძილსაო!»

არას დაგიდევს ჯამრული,
ამხანიგ წყალს რო ჩაჰქონდეს, _
ლეკისა უყვარს მარჯვენა,
რო საშინაოდ მაჰქონდეს.

ამბობენ კოტიის თავსა
შავი შალშავის სხმასაო.
საკრეფლად გამაჰგზავნიან
ბაიდაურნი ქალსაო.
წავალ, მარტუა მოვიყვან,
არ მოვაყივნებ გვარსაო.
თუ გამამიდგა მდევარი,
დავანაფოტებ ფარსაო,
ვამღერებ ჩემებურადა
ჩემსა მოკლია ხმალსაო.

ის უუბნია დუშმანსა:
«აღარ არიან, წახდესო!»
ის კი აღარვის უთქვამის,
თუ: «ლომს ლეკვები დარჩესო,
აისხეს იარაღები,
სამტეროს გზაზე შადგესო,
ისევ მოიდეს ცოცხალნი,
მამის კერაზე დასხდესო!»

ვაი, დედაშენს, ყორანო,
შენ ჩემი ლეშით სძღებოდე,
მე _ შენი არ მეშინოდეს,
შენ _ ჩემი შიშით ჰქრებოდე!

მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ,
სამუდამოდა გშორდები;
რაც იქით ვალად მიმყვება,
სიკვდილით გაგისწორდები...
ნუ დამივიწყებ, დედაო,
ცოლო, ნუ გამითხოვდები!

ხევსურები აწყურთან

ერეკლე ბატონიშვილი
საჩქაროდ ცხენსა ზისაო,
კაცი ხევსურეთს წალალა, _
«თავი მჭირდება ყმისაო!
ხევსურებ ჩამამივიდან,
თორ ქალაქ წამერთმისაო,
წილი იყარონ ახლებმა, _
ბებრებ აქ ვერა დისაო»...
სანეს ხევსურებ იყრების,
ელვა დგას ჩაჩქნებისაო,
კუკიას ჩამადიოდეს,
ჭეხა მახქონდეს ცისაო,
ქალაქს მიუვა ბატონსა
ჯოგი ლეგისა მგლისაო,
ჭეხით მიართვეს სალამი,
ხევსურთ რაზმები დისაო...
ერეკლეს პირი უცინის,
გულს მზეი ეფინებისა;
«გზას შორად სადენს ამბობენ,
ხევსურ ვერ გამადგებისა»...
სურამი გადაიარეს,
აგე, აწყვერიც ჩნდებისა,
აწყვერის სიმაგრეშია
ლეკები ჩაუდგებისა.
ბატონიშვილი შასწუხდა:
«ვაჰ, თუ ჯარ გამიწყდებისა!»
ხევსურებ მაახსენებენ:
«დღეს ჩვენი გადაგვხდებისა!»
ჩამეერჩივნენ ხევსურნი,
ერეკლე ჩამაჰყვებისა,

ლოხაურისშვილ სუმბატა
ხმლიან კაცთ წაუძღვებისა,
გუგუაიშვილ სუმბატა
მაშველად დაუდგებისა,
ჯამათა ივანეური
ვეფხვ გაიწვადა, ჰკვდებისა,
შენც, ჯიმშაიძევ, ნუ ჰკვდები,
სიკვდილი არ გიხდებისა,
შენი წილი და ნაწილი
გუდანს გასაყო რჩებისა!
ერეკლე ბატონიშვილსა
პირზე მზე ეფინებისა,
მაუკლავ კოხტა ბელადი, _
გლეხი არ ეკადრებისა, _
შვილი ტყვედ წამაიყვანა _
მსახურად დასჭირდებისა!

რა გითხრა,
რა დაგაბარო?!

ველს წახვალ, ბეწიკურაო,
რა გითხრა, რა დაგაბარო?!

გეტყვი: ძილს ნუ დაენდობი,
ძილი ვაჟკაცის მკვლელია!

გეტყვი: თოფს ნუ დაენდობი,
ჩახმახ _ ეშმაკის ცხენია!

გეტყვი: ხმალს ნუ დაენდობი,
ხმალი მშიერა მგელია!

ნურცა-რას მკლავს დაენდობი,
მკლავი _ სხვისაიც გრძელია!

ნურცა-რას მუხლს დაენდობი,
მჯობი _ მუხლიცა ბევრია!..

ველს მიხვალ, ბეწიკურაო,
რა გითხრა, რა დაგაბარო?!

ჯარნი რო დაჯარდებიან,
ჯარზე თავდაბლად დასჯდოდი;
თარეშნ რო დაერჩევიან,
ცხენ შაჰკაზმოდი, შასჯდოდი;
თუ რო სახელის ქნა გინდა,
კაი ვაჟკაცთან დაზდგოდი,
ჩასვლით ჩახვიდი წინ-წინა,
გამოსვლით უკან დაზდგოდი!

ღვინო კი მათრობელი სჯობ,
ძაღლი _ თეოზე მყეფარი,
ვაჟკაცი _ წყნარი სჯობია,
რო გაჭირდება _ მჭეხარი;
არ ვარგა ქალთა მიმყოლი,
ჩალად არა ღირს მკვეხარი,
რო გაჭირდება _ დადგება,
როგორც უღელში მჭლე ხარი.

ტირილითა და ვიშითა
მტერნი არ შეგვიბრალებენ,
მოვლენ, დაგვწვენ და დაგვდაგვენ,
წავლენ და გაიხარებენ;
სადაც რო წაგვეწევიან,
დღე იყოს _ დაგვიღამებენ...
სადაც ვერ წაგვეწევიან,
მუქარას დაგვიბარებენ.

როსტომ თქვა ესე ქართული, _
ძველთა ბრძენთაგან ქებულმა:

«ჭკუამ მოჭამა სოფელი,
ვერ _ ხმალმა ამოღებულმა!»

შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა
განა სწორ-სწორად სმა უნდა?!
ენაზე მომდგარ სიტყვასა
განა სუყველას თქმა უნდა?!

სწორს სწორის მოღალატესა
ხიდნიმც წყლად ჩაუცვივიან!
მშვილდიც გაუგლეჯს საბმურსა,
ისარნიმც ჩაუცვივიან!

კაი ყმა ლაშქარს მოკვდება,
სწორების მჯობინობასა,
ცუდაი _ ბოსლის ყურესა,
ქალებთან ლოგინობასა.

კაი ყმა ფრანგულს ჩახედავს:
«ნეტავ გამიჭრის თუ არა?!»
ცუდაი _ ქალის უბესა:
«ნეტავ ჩამიხვევს თუ არა?!»

ხან შასმა უნდა ღვინოსა,
ხანდისხან _ შამღერნებაო!
ხან ომი უნდა ძლიერი,
ხანდისხან _ შასვენებაო!

არშის კლდეს ვეფხი დავკოდე,
სამჯერ საომრად მეტია!
პურადი კაცი _ გულადზე
სამი გაფრენით მეტია!
კაცი რომ კაცსა არ იცნობს,
სიკვდილზე გადამეტია!

ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსა! _
ის დააბერებს, ის მოჰკლავს,
ის შერთავს წყალსა მდინარსა!

კარგ ყმას შაჰყვარდი, ქალაო,
ნუ _ სახლსა ცხვარბევრისასა!
ბევრი ცხვარი და ქონება
მუხლს მააქვს კარგის ყმისასა!

არ მაიკვლების ნადირი
სამჯერ მთაგადუვლელადა!
არცა ყმა გამოიცდების
ომშიგან შაუსვლელადა!

ხმალსა სიმოკლე არ უშლის _
ფეხს წინ წადგამ და წაგძების!
არც ვაჟკაცს _ სიდაბალაე,
თუ ომში ლომებრ წადგების!

ნუ გინდა ცოლი ლამაზი,
რა ომში გამოგადგება!
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა,
გამოვა, კარზე დადგება,
იმის შემხედავ ვაჟკაცი
კელაპტარივით დადნება.

თათარას, ჯალაბაურის
შვილს, ყამარისძე ჰქვიანო;
ქავს გარეთ ციხე ააგო,
კუთხს ირმის რქანი ჰკრიანო;
გადაემტერა ფშავლებსა _
ჭკვა მაგას არა ჰქვიანო;
მისცვივდენ ფშავლის შვილები,
ცხოვრებას აუშლიანო,
მაგის ქავსა და ციხესა
ხევ-ხუვში გადაჰყრიანო.

ნეტავი ლაშქარს შეგვყარნა
სამი ბატონის ყმანიო,
მოგვწივა მძიმე ლაშქარი,
სწორებს გვეცადა თავიო,
მაღლიდამ გადმოაცქირა
ლამაზი ქალის ჯარიო...
ბევრ ქალს კი შესძულდებოდა
თვალად ლამაზი ქმარიო,
ბევრ ქალს კი შეჰყვარდებოდა
პირად ჯუღური ქმარიო.

ყმაწვილო ბეწიკუაო,
დარბაისლობა იცია!
წინ ჩასვლა, უკან ამოსვლა,

ჩაშველებაი იცია!
დაგეჭრა სწორ-ამხანაგი _
ჩასვლა, შაშველა იცია!

ლუდი ადუღეს თუშებმა
საბალითარად სვიანი,
იწვივნეს გულუხვიშვილნი,
მამით შვილამდე მტრიანი;
აჰყარეს იარაღები,
ეგენ არ დასხნეს ხმლიანნი,
როცა დაითვრნენ თუშები,
დადგა ხანჯლების ჰბრიალი;
დახოცეს ანჯა, მეშველა, _
მანძილა ხარი რქიანი...
ნეტავ რად მოჰკლეს მეშველა? _
ალალ კაც იყო ღვთიანი!

გიორგი თვარელაშვილო,
გიმღერი შაფერებულსა:
ნუ მისდევ დედათ ენასა,
ცხენს შეგსმენ გახელებულსა!
ან კლდეზე გადაგაგდებენ,
ან წყალს გკვრენ აღელვებულსა,
მხარზეით თოფსა აგხდიან,
ხირიმსა გაჭრელებულსა,
წელზეით ხმალსა შაგხსნიან,
ხმალს ტანზე შაშვენებულსა,
დაგიმოკლებენ მამულსა
კარის პირს შაბრტყელებულსა!
დაგაფერებენ ვაჟკაცსა
მონასა, შაჩვენებულსა!

დედას არ დაუბარებავ,

ნათელაისძის ქალსაო:
«აიყაროდი აბჯარი, _
გადუყაროდი სხვასაო!»

ბევრ-ბევრსა თოფსა, მჭეხარსა,
ბევრი ხმალი სჯობს ფხიანი!
ბევრ-ბევრსა ვაჟსა, მკვეხარსა,
ბევრი ქალი სჯობს თმიანი!

მძულს დედალი ნაკრუხალი,
მერე ბოლოდაგლეჯილი,
კაცი, კარში მოცინარი,
შინ, ჯალაფში, დაღრეჯილი!

ზოგი ქალია წმინდანი,
ზოგი ქალია დავარი...
შვილის გაჩენას რა უნდა! _
შვილის გაზრდაა მთავარი!

თივა მთას მთიბლის ნათიბი
ირმების ნაგელარია...
ნუ გინდა ქალი ლამაზი _
ბევრის ყმის ნახელარია!

ვა, ცუდი ცხენის ყოლასა!
უი, სულ უცხენობასა!
ვა, ცუდი ცოლის ყოლასა!
უი, სულ უცოლობასა!

ხარი ხნავს, ფური იწველის,
ღორმა რა იცის თხრის მეტი?!
რა მოჰკლავს ვაჟკაცის გულსა _
ცუდაი დიაცის მეტი?!

«კარგი ვარ!» _ ამას ნუ იტყვი,
რაც ხარ, ქვეყანა გხედავსა!
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი _ არც თავის დედასა!

ვაჟებსა, ჭიჩუელებსა,
დარეჯანი სჯობ ქალია,
ლეკს გამოსტაცა მაჟარი, _
ჭიჩოში მაუტანია.

განა, მჭედელო, რკინასა
სპილენძი არ გაერევა!
კაცსა რო კაცი არ უნდა,
მიზეზი არ დაელევა!

ეკლის ადგილზე ამოსვლა
ეკლისვე არის წესია,
კაცი იმასვე მოიმკის,
რაც სიყრმით დაუთესია.

შუაიშვილო დათვიავ,
ნუ დასდევ საღირასაო!
შენ კახეთს სიარულითა
ვერ დასდებ ხაზინასაო!
ან ზვავს სად დაგალევინებს,
ან წყალსა ჩამდინარსაო...
ან ღვინოს მოგაკვლევინებს,
ან ღვინის ნაძირალსაო!

გავხედენ, გორ-გორ ჩამორბის,
თვალშურთხო, შენი ქმარიო,
თავად კი გამოქცეულა, _
ძმა იქ გასწირა მკვდარიო;
დაჰხურეთ ლურჯი ჩიქილა,
რაც ერთ სხვა თუშის ქალიო,
ხელში მიეცით ფარტენა,
შამააბრუნოს ტარიო...
რა მაარბენდა მუხშავსა,
რად შაარცხვინა გვარიო?!
არ ენახვაა ხანჯარი,
ან ამოღებულ ხმალიო?!

თეთრ თხასა, შავსა თიკანსა
შორს შაეტყობა ვაცობა,
ესრეთვე ყრმასა, საზრდელსა,
წინვე ეტყობა კაცობა.

ძმა რომ გაეყრება ძმასა,
ვეღარ დადგამს დიდსა ძნასა,
წავა, დადგება ბოსელში,
გვერდზე გამოიღებს კარსა,
მამაძაღლი ძმისა ცოლი

კოხტად დაიხურავს თავსა,
გავა, ბანზედ გადმოდგება,
ბიჭებს გადაავლებს თვალსა.

კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არნახულისა,
დააპოს ურმისა მორგვი
ზაფხულის შანახულისა,
დაწვას ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავარდეს,
დასვას და ანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას
და ცხენსაც შესვას პილოსა,
ყველა ტყუილად ჩაუვლის,
თუკი არ ასმევს ღვინოსა!

სმა უმღერალი არ ვარგა,
ვაჟკაცი _ დაუთრობელი,
არც ქალი ვარგა გამწევი,
სიტყვის ხმამაღლა მთხრობელი!

ნუ მიხვალ ისეთასთანა,
მასპინძელს გული სტკიოდეს,
სტუმრისა ნასვამ-ნაჭამსა
ცოლი ქმარს შემოსჩიოდეს!

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება...
ნუ გინდა ქალი უცხო მხრის, _
დასნეულდება, მოკვდება!

ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს,
ქვეყნიერებანახული,
ქალ _ მამის კერას ნაჯდომი,
საქმარედ თავშენახული!

ლამაზი ცოლის პატრონსა
ძაღლი უნდა ჰყავდეს ფრთხილი,
ან ძაღლი უნდა ფრთხილობდეს,
ანდა _ ქალის დედამთილი!

ვინ მახკალ თეთრაულისძე
მინდია დანდობაზედა?!
იმედავ, წოწკარაულო,
შენ შაგიგდებავ თავზედა!
რად უღალატე სტუმარსა,
ნაჯდომსა თავის სკამზედა?!
მაგის მაკვლა თუ გეწადა,
სწორს რად არ შახვდი გზაზედა?!

ვაჟკაცს რას გამოადგება
სოფლად შვენება ტანისა,
ბანებზე მიდგომ-მოდგომა,
გამჩვენეობა ქალისა,
ხმალს უნდა აჭრევინებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა!

ნუ სჩქარობ, დინჯა იჩქარე,

ჩემო ძმავ, ჩემო ძამია! _
აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამია...

არ მინდა ამპარტავნობა,
კვეხნა არ მიყვარს ქალზედა,
ამაგ ლექსაის მათქომი
საკუთარს ვზიორ სკამზედა!

ნამუსისათვის გამოვა
ულვაშები და წვერია,
რაც გინდა ელაპარაკე,
თუკი კაცს არა სცხვენია!

დავეხსნათ ჭორის კრეფასა,
ძრახვასა მეზობლისასა! _
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა!

სიბერეს ნუ დაიჩივლებ,
არგნით გამოსვლას ბანზედა,
სიახლე მაიგონიდი, _
აბჯარ რო გესხა ტანზედა!

ღრუბელო, მიდექ და მოდექ,

პირს ნუ დამალავ მზისასა!
ცოლს ნურას შაეხუმრები
თავის უკეთეს ყმისასა!
თორ გზაში შამოგეყრება,
სულს შამოგაბნევს მგლისასა,
გასწავლის ომის გახდასა,
ამომღერებას ხმლისასა,
არგონებულჩი გიჩვენებს
ფხას თეთრი ფრანგულისასა!

პურაძვირმა კაცმა იცის, _
მოუჭერს წინა კბილებსა,
ქვევრში ღვინოს დააძმარებს,
პურს დაუობებს შვილებსა.

ფილიპემა თქვა: «ქვეყანა
აშენებულა ორითა _
ხელიხელ ჩაკიდებული
სიმართლითა და ჭორითა;
სიმართლე უნდა იყიდო,
ან დაიჭირო ომითა,
მეჭორეობა მუქთია,
მაგრამ ერიდე შორითა!»

დასხდენ სერამ და სურემი,
შეიქნა ბრძენთა ცილობა:
სერამ თქვა: «გვარი სჯობია!»
«არა, _ სურემ თქვა, _ ზრდილობა!»
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა!

ღამევ, თენდი! ღამევ, თენდი!
ღამევ, რად არ გათენდები!

ამდენ ვაივაგლახშია,
გულო, რად არ დაბერდები!
ან, რაც მოგარგუნა ღმერთმა,
გულო, რად არ დასჯერდები!

წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო!
ობლები დაიზრდებიან, _
მამულზედ დადგებიანო!

თხას უთხრეს: «მგელი მოკვდაო»,
გაიხარხარა, გაიქცა...
«რამ გაგახარა, სამგლეო,
განა სამგლეთი დაიქცა?
იმას რომ ლეკვები დარჩა,
ისინიც მგლებად მაიქცა!»

პურისა მზემან, ღვინოო,
სუფრა ჩემი სჯობს ქებული, _
ბევრ-ბევრა კაცი მინახავს
შენგან კლდეთ გადაგდებული!

ეგრე არ უნდა, ყმაწვილო,
ნიადაგ ქალთან შორვება:
ხან ხვევნა უნდა, ხან _ კოცნა,
ხან კიდევ _ მკლავზედ გორვება...
ხანდისხან _ ქვეყნად გახვიდე, _
უკან არ დაგრჩეს ცხოვრება!

დედა, ობლების დამყრელი,
კაცის მკვლელს ედარებოდა,
უბეში უსხდა გველები, _
ძუძუებს ეტანებოდა.

ბლოელ ბერდი და ხირჩლაი

ბლოელ ბერდი და ხირჩლაი
სანეს შაყრილან სმაზედა,
ჩამაღვარდნიათ სიტყვაი
წინანდელს მტერობაზედა.
«ეხლად იყვასა, ბერდიავ, _
აქ ვსხეორთ ჩვენსა სკამზედა, _
მაშინ ვიამბოთ მაგისი,
რო შავიყრებით გზაზედა!
ჩემი მოკლია ფრანგული
დაჩვეულია ჭრაზედა, _
ბევრს არვის უთამაშებავ
ხმალი ხირჩლაის თავზედა...»
«ხევსურნო, დაირიგენით,
ნუ გახვალთ სისხლის ღვრაზედა!»
«სხვაც ბევრი გაგვირიგებავ
სანეს ნაჯდომებს ჯარზედა!»

ეს ზოგი კაცი რასა ჰგავს,
ანუ არსებობს რისათვის? _
რასაც იშოვნის _ ინახავს
იმ ერთი შავი დღისათვის!
არც თავს არგია, არც სხვასა,
არცა მუშაკობს ღვთისათვის...
გადაბრუნდება, მოკვდება, _
დარჩება ეშმაკისათვის!

როსტომ თქვა: «ამ მთას, იმ მთასა
ხელს მოვკრავ, ერთად თავს ვუზამ!

ათას ლიტრასა რკინასა
კბილს მოვუჭერ და «კნაპს» ვუზამ!
ადიდებულსა არაგვსა
დავაყენებ და «ყლაპს» ვუზამ!
თავაღებულსა დიაცსა
გავუშვებ _ ვეღარას ვუზამ!»

ნუ გაუტყდები, მოყმეო,
გაბევრებასა მტრისასა!
ბერო, ბერობას ნუ სჩივი,
დაკლებას თვალებისასა!
ეცადე ჭკვა-გონებასა,
რიგებას თემ-სოფლისასა!

დავეხსნათ ჭირვეულობას,
სუფრას ნუ აგვარევინებთ!
ნურცა მეტს ვეტყვით ერთმანეთს,
ნურცა მეტს დავალევინებთ!

ვინა ნახა შინშთა შვილნი
ერთად მწოლნი, მძინარენი!
მზემ ნახა და მზე დაბნელდა,
წყალნი დადგნენ მდინარენი!

ალალის შიშით ვერ წავა
ნიბლია ჯვარობასაო
და, თუ რომ გაიპარება,
ვერ იტყვის გალობასაო!

ღვინოვ, შე ჭაჭანაისძევ,
უცეცხლოდ ამოზდუღდები,
ჭკვიანთაი ხარ სასმელი,
უჭკოსთან _ ამოშუღლდები!

ასეა წუთისოფელი:
მზე ჩავა, მთვარე ამოვა,
განა სუყველა კაცია _
ათასში ერთი გამოვა!

ბერიკაცი _ თვრესო!
ვაჟკაცს _ ცოტა ხვდესო!
ყრმას რო სული მიედინოს,
ღმერთს თაყვანი სცესო!

მე სოფლის თავსა ვესახლე
და არ სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგა მთავსობდა,
თუ მე სოფელი მეთავსა...
რაც მე სოფლისთვის ვინდომე,
უწინ მოვიდა ჩემს თავსა!

«ბატონ თუ იყვა თორღვაი,
ჩინებ რად არ ხკრავ მხარზედა?»
«ჩინებ რად უნდის თორღვასა,
ლურჯ ჯაჭვ ხო სცვავის ტანზედა!»

ყმაწვილო, არშის ციხესა
არ შენისთანა ყმა უნდა!

დილას _ ადგომა ადრიან,
გრილსა რკინასა სხმა უნდა!
სოფელს მოვიდას მოძალე _
საკლავად მოსულს კვლა უნდა!
ჩავალს _ ჩამტანი აბჯრისა,
ამამტანელი სხვა უნდა!

როსტომ თქვა: «ერთი ვერა სჯობს
ამ ჩემსა ჩაგონებასა:
ერთხელ სიკვდილი სჯობიან
სულ მუდამ დაღონებასა!»

ვერცხლისამც თასად მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდი!
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსვამდი, შაგერგებოდი!
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩაგეგებოდი!
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შაგეჭრებოდი!
ანა მქნა ვარდი-ყოილი,
ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი!
ანა მქნა მოვის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი!
ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი!
ან შენი ძმა მქნა მოწილე _
აროდის გაგეყრებოდი!

ნეტავი ფრინვლად მაქცია,
შენსკენ გადმოვყვე ნიავსა,
მოვიდე, ყელს მოგეხვიო
თავგაუშლელსა იასა,
საბნისა წვერსა ავწიო,
პირსა გაკოცო მზიანსა, _

არცა რა შენ დაგიშავდეს,
არც მე ჩავვარდე ზიანსა!

ჭალა-ჭალა შემოდიან _
მიმინო და მწყერიაო;
აქ მე რაიმ გავიგონე _
მანდ შენ რაიმ გწყენიაო;
ქვეყნის ენას ნუ ჩავყვებით,
ჩაგრეხილი წნელიაო,
გვაშურებენ ერთმანეთსა,
ყველა ჩვენი მტერიაო.

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო,
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი _
ხვთისმშობლად დაგინახეო!

რომელ ხარ ნიჩბელაშიგა,
ემანდ ვინ უკრავ სტვირსაო!
ამაღამ ჩემთან ჩამოედ _
არ დაგაძინებ ძილსაო!
ქერით გაგიძღებ ლურჯასა,
ვაჟავ, ჩამოსვლა ღირსაო, _
შუღამით გაგახსნეინებ
ჩემი ფარაგის ღილსაო...

ქალაუ, შენმა მერდინმა
ჰაერში გაიფრიალა,
სახე გამოჩნდა, თოლებმა

ელვასებრ გაიკრიალა,
ცხელმა ნიავმა დამქროლა,
გზად შენკენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემომაყარა
და ჩალად ამაბრიალა.

ტურფა ბაღი და წალკოტი
ეკლითა ვინ-რად შენარა!
რკინისა კარი შეაბა,
კლიტე მე მომცა, შენ _ არა!
სიკვდილსა, შენსა სანაცვლოდ,
თავსა მე მივცემ, შენ _ არა!
ვაჰ, თუ ზედ ისიც დაერთოს _
მე მიყვარდე და შენ _ არა!

ქორწილია და მზადობა,
ნეტავი მომცა მდადობა,
ეჯიბთან დავეგდებოდი,
მაგრამ არ იცის დანდობა!

მინდორთა მაშვენებელო,
ვარდო, გაშლილო ველადა,
სად მოიცალა იმ ღმერთმა
შენი თვალ-წარბის წერადა!

დათოვნა არშისა მთანი,
კალთანი ალგეთისანი,
წარბნი მამწონან, წამწამნი,
შენ რომ ხარ, აგეთისანი!

ქალო, ისეთი თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირიო...
ღამისღამ გამახსენდები,
წამოვჯდები და ვტირიო.

შენმა მზემ, შენი სურვილი
არა გვანილა სხვისასა, _
დანთებულ ცეცხლსა გვანილა,
დაჭეხნებასა ცისასა!

გან ეგრე უნდა, ჯეილო,
ქალთა თმიანთა ყვარება! _
უმთვარიოსა ღამესა
უგზოთას უნდა ტარება!..

ჩონქარაი ვარ, ღვერათი,
დავდივარ, როგორც კერატი,
წაწალს დავპირდი წაღებსა,
ვითომ თავადა ვკერავდი.

მზე თუ ხარ, დაბლაც ჩამოდი,
მაღლა მთას რად ეფინები!
ქალო, შენ ჩემად ნათქომო,
ახლა სხვას რად ეპირები!

რა ლამაზი ვარდის შტო ხარ,
მებრალები, მარტო რომ ხარ!
რომ ვინმე გამოგიშვებდეს,

ვიცი, ნამდვილ ჩემთან მოხვალ!

შენ გესვრი, ვაშლო წითელო,
მწვანევ, შენ ჩამოვარდები!
შენ გეძებ, ქალო ლამაზო,
გონჯო, შენ გამოვარდები!

აიმ მთასა, თოვლიანსა,
ზედამც წვერზე გადამკიდა,
ზედამც მწვიმდეს, ზედამც მთოვდეს,
ზედამც ნამქერს მამაყრიდა,
ხელში მამცა ჭრელი გველი,
შავი _ ყელსამც ჩამამკიდა,
ამას... ყველას გავუძლებდი, _
ავსა ქმარსამც არ ამკიდა!

ქვეშ-ქვეშ შემოგცქერს, თვალს შეგყრის,
ჟუჟუნა, სვილის ფერია,
თავს დახრის, წყნარად ჩაგივლის,
ვითომც აქ არაფერია...
ეტყვი: «რად დამჭერ?!» _ იძახის:
«ბეჩა, რა ჩემი ბრალია?!
კვესო, შენ ცეცხლებს დააყრი
და ნუ იფეთქებს ფალია?!»

აის ღრუბელნი მიყვარან,
ბოროლაზე რომ დიანო,
ერთიმეორის შაყრასა
ხარობენ, მეელიანო;
შაიყრებიან ერთადა,

მანანას ჩამოჰყრიანო...
რაც უნდა ბევრსაც ეცადონ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო!

თვალი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყერზედა,
ნეტავი შემატყობინა,
შენ რა გული გაქვს ჩემზედა _
იგი დღე რა დღე იქნება,
რო გეხვეოდე ყელზედა!

ახლა დილილმე, დილილმე,
დამტოვე დაბნედილი მე,
კაბისა ზორტი შემიხსენ
და პერანგისა ღილი მე...
ნეტავი როდის მეღირსოს
შენთან წოლა და ძილი მე,
თვალ-ქოჩორ-გადახატულო,
ტან-ალვისაო, ჭირიმე!

ჰა, ქალო, ვაშლი წითელი,
უბეს ნადები, ნასეტყვი...
ამაღამ შენთან წამოვალ,
გულის ჭირიმე, რას მეტყვი?!

ა ის ვარსკვლავი ჩემია,
მარტო რო დავა ცაზედა,
ჩახედავს არხოტიონთა,
სად-რა წევს ვის-რა ბანზედა.

რა გენაღვლება, იქროლოს
ზენა ქარმა და ქვენამა,
ეგების ერთად შეგვყაროს
ჩვენმა ბედმა და წერამა!

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა _ წყლისა ჩქერამა,
ლამაზი ბიჭი და გოგო _
ერთმანეთისა ცქერამა.

წავიდა, გული წაიღო
ამ დედამამკვდარ ქალმანა,
ხედვითაც ვერა დააკლო
ამ გამოსათხრელ თვალმანა!

ღმერთო, ნუ იქამ ჩვენშია,
დიხჩოს რო რჯული სდებია,
ქალის ძმას ნეფის დაზედა
სხვარიგი გული სდებია...

პატარძეულის ციხესა
გამოუთხრიან ძირსაო,
გამოიყვანენ ლამაზსა,
ცრემლით დაჰბანენ პირსაო.

წყალსა ნაფოტი მოჰქონდა
ალვისხის ჩამონათალი...
დადექ, ნაფოტო, მიამბე

საყვარლის შამონათვალი!

დაშლილთა ფეტვის მარცვალთა
რა აჰკრეფს _ წიწილის მეტი!
შენსა და ჩემს სიყვარულსა
რა გაჰყრის _ სიკვდილის მეტი!

ფანდურო, ცოლი მითხოვე,
ყელღილიანი ქალია,
ჩამოჯდეს კერათ პირზედა,
ჩამოიჭაპნოს თმანია!

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა,
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა!

ნეტავი შენა, მთვარეო,
ხედავ, რაც ქვეყნად ხდებაო:
ფშავშიით არის ქორწილი,
ტაში და ტუში ტყვრებაო;

თამაშობს წითელკაბაი,
ქორწილი მოსწყინდებაო,
მორჩება თამაშობასა,
წაწალს წინ გაუძღვებაო,
მივალის სახლის კარზედა,
კარ მოჯრილ დაუხვდებაო,
მაიხვევს ფანჩოს ძველასა,
საბძლისკენ აუძღვებაო, _
უეცრად საბძლის კარზედა
მამალი აჩქამდებაო:
«ჩვენიმც ცოდვა გაქვს, მამალო,
წიწაკამც აგაჩნდებაო!»

სასიამოვნოდ შავშალე
მლეთის ფერდობზე ცხვარია,
მე თვითონ ქედზე წამოვწექ,
კეკლუცად მიქრის ქარია;
თავქვე დავხედე საჯოგრებს,
თვალ რასმე შევასწარია:
ქოხისა ბანზე ტრიალებს
წითელკაბაი ქალია...
შორიდან კოცნა ვუგზავნე,
ახლოს ვერ გავეკარია,
გაბრუნდა, ქოხში შავიდა,
ცრემლები ჩამოვყარია.

თოვლი დათოვა ოხერი,
ნისლებ დაეცა მთასაო,
შორს დარჩი, ჩემო ძმობილო,
ვერსაით გაწვდენ ხმასაო.
ეგ გორიც გადმააქცივა,
შემოგავლებდი თვალსაო,
მალმალე გამოვხედავდი
შენი ქვიტკირის კარსაო,
გამადიოდა ლამფაი,
ცეცხლი იქნევდა ალსაო...

არ წამახოლა ჩვენშია,
არ მაუხოლ-ღა ზალსაო!
პირდაპირ ჩამომავალი
ჩამაიყოლებ ჩქამსაო...
თვალი კი არვინ შაგასწრას
ყაწიმიანსა მგზავრსაო!

აქედანა და შენამდე
ვარდი ჰფენია ყელამდე,
სულს მიმღვრევს, სურნელი მათრობს,
ავდივარ მაღლა ზენამდე...
თუკი რომ შემომითვლიდე,
სულ ფრენით მოვალ შენამდე.

მითხარ, თუ ჩემი არა ხარ,
სხვაგან გავხდები ღონესა,
საგონებელში ჩავვარდი,
როგორც კამბეჩი მორევსა,
წყალს კიდევ დაეძინება,
მე _ არა, შენსა მგონესა!

მინდორთ რო სისხლის ტბა ბრუნავს,
გადასაგდები სად არი!
შიგა წევს გველი წითელი,
თავსა სძრავს, ბოლო სად არი!
ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი,
მაგრამ გაგება სად არი!

როდის იყვეს, სათამაშოდ
ცალკე ვისხდეთ ნარდისათვის!
სამძიმრისად თვალზე ცრემლი
მოგდიოდეს გაყრისათვის!
სიყვარული, პირს ღიმილი
გესახოდეს ნახვისათვის!

შირაქის ველზე მოვდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შამეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო, _
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო!

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა,
მოვკვდები, ჯავრი ჩამყვება
სამი ლამაზი ქალისა:
ერთია _ ძუძუკოკობა,
მეორე _ ლერწამტანისა,
მესამე _ ხვევნას დამპირდა,
მე იმან გამახალისა.

ნეტავი დამიწუნებდეს,
დამანებებდეს თავსაო,
ვივლიდი ლაშარ-ღელესა,
ვაჟებს ვავლებდი თვალსაო,
მაშინ ხო შავეყრებოდი
ჩემი გუნების ქმარსაო!

მარიამ, ჩემო დობილო,
თეთრო მაისის წვიმაო,
ბევრ ქალი შასვა ვირზედა
ფერად-ფერადმა მძივმაო,
ვაჟებთან ლოგინობამა,
სამაიამ და ლხინმაო.

ბიჭო, წყალში გამახდინე,
წითელქუდავ, ცხენიანო!
მე ამის მეტს ვერას გეტყვი,
ქალი ვარ და მრცხვენიანო.

ბალხამიშვილის ქორწილი
მიკვირს და გამკვირებია:
სამი თვე ვიყავ ომშია,
ისე არ გამჭირვებია!

ლამაზმა თქვა: «ბნელ ღამესა
მე არ მინდა ფარანიო,
მე ისეთი ბიჭი მინდა,
პირს არ ესხას ბალანიო»...

მამამ ცხენ წამაყვანინა:
«ყეინიანთ მიჰგვარია!»
წავიყვანე, შევუძახე:
«სახლის პატრონ, შინ ხარია?!»
ისეთ ქალა გამოჩინდა,
როგორც დილის ცისკარია...
მაგასთანამც დამაწვინა,

მამცა იმდენ იღბალია!
ერთ ისეთ ამოვიხვნეშე, _
სამჯე იძრნენ მიწანია.

ქალსა დედა ეუბნება:
«ჩვენს რად დავა ბატარაო!»
«ჩემი სწორა ვაჟაია,
ჩემო დედავ, რად არაო!»

ქალ-ვაჟთა, მდომიარეთა,
სოფელი ბრმაი ჰგონია,
ბრმა არ ყოფილა სოფელი _
სოფელსაც თვალი ჰქონია!

აქედან გორი შორია,
შორს არი _ ახლო მგონია:
შენს სანახავად მოვსულვარ,
სხვა საქმე არა მქონია!

არ გათენდება სთვლის ღამე,
ღამებნელობა კი არი...
მთქმელო, ვერამსრულებელო,
რაღა შენ სიცოცხლე არი!
ნეტავი ვაჟად მაქცია,
ქალი არა მქნა თმიანი,
მემრე შეგვყარა ერთმანეთს
ორნივ ჭრელმათრახიანი,
ვერც მაშინ გაიგებდია,
რაც ჩემი გულის ზნე არი?!

წაწალმა უთხრა წაწალსა:
«თუ მოხვალ, უნდა დარჩეო...
როცა მომიხვალ მთაშია,
სუ ხაჭო-ერბოს გაჭმევო,
დავიწყებ შენთან წოლასა,
სიყვარულობას დაგჩვევო».

ჩემო უცეცხლოდ დამწველო,
უღვინოდ დამათრობელო,
მალ-მალ თვალებში ნუ დამკვლევ,
სიყვარულს შაგვატყობენო,
დაგვაშორებენ ერთმანეთს,
თოვლივით დაგვადნობენო.

ნეტავი შენა, წერილო,
მიებარები ნინოსა!
უთხროდი ჩემსა მაგივრად,
რო შენთან დაიძინოსა!
გადაგიკითხოს მალი-მალ,
თან უბეს ჩაგიძვრინოსა!

ღრუბლები მიდი-მოდიან,
ხან კლდისთავს შადგებიანო...
ქალებსა აქვისთ ცილობა,
ჩემს თავზე წილსა ჰყრიანო...
ვისაც კი წილში ვერგები,
ქვაბში ხინკალსა ჰყრიანო.

მთის წვერებს თოვლი მაჰკიდა,
მწყემსო, აჰყარე ცხვარიო!
არ მოგწყინდაა მთას ყოფნა,
არ მოგინდაა ბარიო,
ლამაზ ქალასთან ძილ-წოლა,
თან ტკბილი საუბარიო?!

ნეტავი ბრუტიანი მქნაო,
თოლზე ქუდს დავიფარებდიო,
ფშავლების ნაჩალნიკი მქნაო,
სულ ქალებს დავიბარებდიო...
ზოგებს _ დუშეთში გავგზავნიდი,
კარგებს _ მე ჩავიბარებდიო!

მიამბობენ შენს ქებასა,
სილამაზეს ქალისასა,
გავლასა და გამოვლასა,
სილერწამეს ტანისასა, _
ისე ვკვდები, რომ ვერ გნახე,
რას მიბრძანებ ამისასა?!

რაეო, ჩემო დედაო, რაეო,
ქალი ზის წყაროზედაო, რაეო...

არტყია ჭრელი სარტყელი, რაეო,
იმ მწვანე კაბაზედაო, რაეო...

ბიჭმა ჩამოუსეირნა, რაეო,
იმ მწვანე მინდორზედაო, რაეო...

«შენ ჩემ ქმარს როგორ ვერ იცნობ, რაეო,
ხელი დაუდევს ხმალზედა, რაეო...

დღისით მიხოცავს ნადირსა, რაეო,
ღამით ვუგორავ მკლავზედა, რაეო!»

ჩავალ, ჩავაგებ ციხესა
ბროლ-მარგალიტის ქვისასა,
ზეით გავხურავ ფიცარსა
აბანოზისა ხისასა,
შიგ დავდგამ ჭიქის ჭურჭელსა,
სავსესა, სურვილისასა,
ყაჭ-აბრეშუმსაც ჩავკიდებ
საჩრდილობელსა მზისასა...
შიგ დაგსვამ, ჩემო ლამაზო,
ნიავს არ გახლებ მთისასა!

შენ რომ წიგნი მოგეწერა,
რა ღირს ვიყავ აგრე ტკბილსა!
მოეწერა ბროლის თითსა,
მარგალიტის ბაგე-კბილსა,
შავსა თვალსა, შავსა წარბსა,
ყორნისფერად შებურვილსა...
მონაწერსა შენსა წიგნსა
ვაკოცებ და მოვჭამ ჭირსა,
ღამე საწოლში ჩავიტან,
არ ვაღირსებ თვალებს ძილსა!

სადაური ხარ! სად მიხვალ!
საიდან მოხვალ! ვინ ხარო?!
თუკი რომ ხორციელი ხარ,
შენი სახელი მითხარო!
ბარი-ნიჩაბი მათხოვე _
საფლავი ამოვითხარო!

შენგან მოკლული შიგ ჩავწვე,
თავს მიწა წამოვიყარო!

გოგოვ, მაგ შენსა სურვილსა
სად წაუვიდე, რა ვუყო!
მაგრა შევკოჭო საბლითა,
რომ ვერა ვზიდო, რა ვუყო!
ძირს დედამიწას დავემხო,
ქვეშ ჭიანჭველას ხმა ვუყო!
სული გამჩენ ღმერთს შევწირო,
ლეში ყვავ-ყორანს გავუყო! _
მაინც არ შეგებრალები,
თავს უარესი სხვა ვუყო?!

შენ რო ggონიორთ, ვაჟაო,
არცა ეგეთა ქალნი ორთ!
კოშკნი ორთ კირით ნაგებნი,
აკალდამაის კარნი ორთ!
მაღალ მთას გადამდინარნი
წვრილნი ლემადის ქარნი ორთ!
ვიწროს ხევს ჩამომდინარნი
ფონს გაუვალნი წყალნი ორთ!
ცეცხლნი მინდორში ნაგზნებნი,
ვაჟავ, შენს გულზე ალნი ორთ!

ცაზედ მიდიან წერონი,
მწკრივადა, ჯარის-ჯარადა,
ვერა ხედავთა, ტივლებო,
ქალს რო ცრემლი მდის ღვარადა!
გასწით, წაიღეთ ამბავი
არხვატს, ზეზვაის კარადა...
ნეტარ არ ვაგონდებია,
მე ხო ვსულდგმულობ ძალადა?!

ვინა ხარ, ვინ იარები
ცივსა, მაღალსა მთაზედა?!
ლეკებმა თოფი არ დაგკრან,
მეხი არ დამცა თავზედა!
თორემ დავიცემ დანასა,
აძრახდებიან ქალზედა,
გახდება სალაპარაკო:
«თავი მიიკლა რაზედა?!»

მეცა ვწოლილვარ ქალთანა
უკუნეთს ბოსელაშია, _
ჩამამელივა სიცოცხლე
საკინძის მოხელვაშია.

შენი ჭირიმე, ყამარო,
ნუ იტყვი «წავალ! წავალო!»
თუ წახვალ, წამიყვანოდი,
ხო იცი, შენი ყმა ვარო!

დილით, დილაადრიანა,
კოხტა გოგომ ჩამიარა,
კაბის ბოლო მომახვედრა _
ჟრუანტელმა დამიარა.

პატარა ხარ, მაგეთი ხარ,
გაიზრდები _ რა იქნები?!
შენ _ ბატონი, მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები!

შენი-დ ჩემ ყოფნა წავიდა!
აწ ერთურთს ვნახავთ გვიანა...
შენი-დ ჩემ ცოდვა იმასა,
ვინაც შენ გაგაქმრიანა!

შენ მოხველ, მზეც ამოვიდა,
მეც აქ მოვშავდი ქოლვილი,
შენ წახველ, ეს მზეც წავალის,
დაჭკნება ვარდი-ყოილი.

ვაჟსა რო ცოლი მაუნდეს,
ეგ ფანდურს დაუამდება,
ქალსა რო ქმარი მაუნდეს,
შინ ჯალაფთ გაუავდება.

შევხედე, სვამდა ღვინოსა
ყმა, სულთა ჩემთა ზიარი,
ვარდნი ეკიდნეს შუბლზედა,
საფეთქლებზედა იანი...
ვარდი ვთხოვე და არ მამცა,
არც მაკრეფინა იანი.

გადამავალო ყორანო,
დაგაბარებდი რასაო,
უთხროდი აიმ ქალასა,
ჩემს ერთგულს, ჩემსა დასაო:
«ნუ გამაირთომ დობასა,
ნუ, ნუ იფიქრებ სხვასაო...
შენსა და ჩემსა სავალსა
ყინული აკრავს გზასაო!»

აქამდე გულით გიყვარდი,
ახლა დამიწყე ძულება,
ნეტავი შემატყობინა,
რამ შეგიცვალა გუნება!

შენი ჭირიმე ჯიშშია,
კარგი ხარ გასაჭირშია,
ბუდობენ ქორ-შავარდნები
შენი თვალ-წარბის ჩრდილშია.

შორი გზიდან სატრფოს ველი,
სხვა მოდის და ის კი არა!
ვაი თუ ჩემზე კარგი ნახა,
გაიცნო და შეიყვარა, _
ამდენი ხნის სიყვარულმა
სულ თუ ფუჭად ჩაიარა!

«ქალო კრულო, განა მზე ხარ,
დილას გორით ამოსული,
შემიხვიე, გეხვეწები,
მთას იქითით გადმოსული!» _
«არ მინდიხარ, არ შეგიხვევ
ცუდსა, ცუდის გვარისასა,
წახვალ, იმას დაიკვეხებ,
ხვევნას ვიყავ ქალისასა!»

ხელსახოცსა გადმოგიგდებ
ოქრომკედით დაქარგულსა,

შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა,
შენგნით დამწვარ-დადაგულსა!

«რაი კარგი ქალაია,
ტანთ რო აცვავ დარაია!»
«თუ ქალი თვითონ არ ვარგა,
დარაიაც არაია!»

მაღლიდან გადმომდგარიყო
თვალჟუჟუნ თეთრი ქალიო,
უჟღრიალებდა საყურე,
ყურში უვლიდა ქარიო;
ხელს მიქნევს: «აქეთ წამოდი,
შინ არა ჩემი ქმარიო,
ციხის სანგრევად გავგზავნე,
თავს დასცემიან ქვანიო!»
მახარობელიც მოვიდა:
«ქალო, მოგიკლეს ქმარიო»...
სამახარობლო გაიღო
სამასი სული ცხვარიო,
იმასაც არ დააჯერა,
გაუგდო ნიშა ხარიო,
იმასაც არ დააჯერა,
წელს შემოარტყა ხმალიო,
მერე მე მითხრა: «ვინატრი,
შენ დაგრჩეს ჩემი თავიო!»

არაგვის ხეობაზედა
ერთი ყვავილი ჰყვავისო...
მაგას ხელ არავინ ახლას,
თავის პატრონი ჰყავისო!

მამერევიან ტირილნი,

შამომეყრება გულსაო,
სიზმარში მამეჩვენები,
სამ დღეს არა ვჭამ პურსაო...
ვაჰმე, რა ძნელად მიყვარხარ,
შენ კი არ მიგდებ ყურსაო!

ქალნი, ქართლით გადმოსულნი,
ახალდაბას არიანო:
ერთსა ჰქვიან _ მზევინარი,
მეორეს კი _ მარიამო,
ამ მესამეს, ჩემსა მკვლელსა,
ყელს გიშერი ავლიანო.

ჩაბალხეთით გადმოგხედე,
წარბი წვრილად გადგეხარა,
წარბის გრილო პირზე გადგა,
თმა ნისლებურ გადგეყარა...
ერთი მაინც შამამხედე,
შენი ჭირიმც შამეყარა!

წამწამსა და წამწამს შუა
ბაღი გაგიშენებია,
შიგ სურვილი ჩაგისახავს, _
კაცი გაგიშტერებია!

ფეხნი _ წინ, გზანი _ უკუღმა!
თვალნი შენკენა რჩებიან...
ენათაგან და ჭორთაგან
ერთად არ მიგვესვლებიან.

ჰეკა, ოკა, ბიჭებო!
მაღლიდამა გადმოგხედე,
დაგაცქერდი ქორივითა,
ძუძუ-მკერდი დაგინახე,
თეთრი გქონდა ბროლივითა...
ჰეკა, ოკა, ბიჭებო!

ჰეკა, ოკა, ბიჭებო!
ქალო აშაო, მაშაო,
წამწამგიშერო, თმაშაო,
შენი საწოლი მასწავლე _
ია და ვარდი გავშალო!

ჰეკა, ოკა, ბიჭებო!
გაღმა-გამოღმა ბალები,
გარს ახვევიან ქალები,
ერთი შეხედვით შევატყობ,
რომელსაც შევებრალები!

ჰეკა, ოკა, ბიჭებო!
თიანეთს ოქროს ლოგინი,
შიგ სამნი დანი წვანანო,
რა ვქნა, რომელ ერთს ვაკოცო,
სამნივ ერთმანეთს გვანანო...
ჰეკა, ოკა, ბიჭებო!

მათურის ძირას წისქვილნი
მარილის გულებს სცრიანო,
შიგ ქალნი სხედან ლამაზნი,
ვაჟკაცის გულსა ჰკლიანო,
გამოვლენ, ხელ-პირს იბანენ,
შუქნი მთას გადადიანო;
ვაჟასა შენისთანასა
წელზეით ხმალსა ხსნიანო,
სწადიან _ დაატყვევებენ,
სწადიან _ დაიხსნიანო!

დამასტესა ვმკი ყანასა,
ძნა მამდევს ჯარი-ჯარასა,
წყალს არვინ გამამახდინა,
ცრემლი მდიოდა ღვარასა;
მიჩელიშვილო ლაგაზო,
შარჩი დედას და მამასა,
წყალსა შენ გამამახდინე,
შამისვი ცხენის გავასა;
დამინდე, არ მიღალატე,
ქალმ თავი მოგეც ნებასა,
ა იქამც გაგემარჯვება,
ხმალნი რო ჩავლენ გელასა,
მოციქულობენ ტყვიანი,
შუბნი იქნევენ ენასა!

ვაჟკაცო, ულვაშკოკობო,
ქოჩორი შენი მიყვარსო,
თუკი შენ ჩემთან არ მოხვალ,
მე შენთან ვინ მომიყვანსო!

ნეტავი ღრუბლად მაქცია,
გადმოვივლიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
სადაც შენა ხნავ ხარითა!

დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,
ძმები ყველას მირჩევნია, _
ერთი ვინმე, სხვისი შვილი _

მთელ ქვეყანას მირჩევნია!

ვაიმე, პირს რო ვერ უტეხ
დედ-მამასა და ძმასაო,
თორ შინაც მოგივიდოდი,
არას ვკითხავდი სხვასაო!

კაცი ვარ და ქალასაო
შორით მივცემ სალამსაო,
შორით ვესიყვარულები,
როგორც ცეცხლი ჩალასაო.

წაიღო ჭკუა-გონება,
სინათლე ორთავ თვალისა,
ძნელი ყოფილა ტრფიალი
ახლო-მეზობლის ქალისა.

აქამდე სიყვარულისა
დამცინავ ვიყავ სხვისაო,
ეხლა კი მენაც მამერგო
შორით ყურება გზისაო,
ლოდინი ლურჯის ცხენისა, _
შორიდან მომავლისაო.

მთასიქითელა ვაჟაო,
ლოგინში ჰგმინავ შინაო,
შენ ავადობა მიამბეს,
ღმერთსა ვთხოვ, მოგარჩინაო...

შენთან დამიგა ლოგინი,
შენს მკლავზე დამაძინაო!

ნეტავი, შენი ჭირმე,
სურვილს არ ახლდეს შიშია,
რახანის შაგეყრებოდი,
ჩამოგკოცნიდი პირშია...
მაიგრილებდა ხოხობი
შენი თვალ-წარბის ჩრდილშია!

ნუ შევხედავთ ერთმანეთსა, _
ჩაგვაჭორის-ჭორებენო,
შეგვიტყობენ სიყვარულსა _
დაგვაშორიშორებენო!

გადავიხედე გორასა,
ქალაქში დიდი ერია,
ის ჩემი მკვლელი მიჯნური
ათასხუთასში ერია,
შავხედე, ზედ არ შამხედა, _
თვალთ ცრემლი გადმამერია...
დაადგეს თავზე გვირგვინი _
ალმასს სულ ლალი ერია.

მოხევის ქალო, თინაო,
უქმროდ რამ დაგარჩინაო?!
შენი სწორები დათხოვდენ,
შენ რას უზიხარ შინაო?!
ნეტავი ერთსა ღამესა

შენთან მქონიყო ბინაო,
შენი საბანი დამხურა,
შენთანამც დამაძინაო!

თეთრი ვარ, თეთრსა მინდორზე
თეთრსა დავიდგამ კარავსა,
მე, შენგან დაწუნებული,
ყეინს არ მივცემ სალამსა.

ამიარე, ჩამიარე,
ფეხი ჩამიბრაცუნეო,
თუ ბნელაში ვერ მომხელო,
ხელი მამიცაცუნეო.

«ქალო, ქმარს რად არ შეირთავ,
არგასაზრდელო, რას ელი?!»
«მე ქმარსა სხვას არ შევირთავ,
დედამოსაკვდომ ვაჟს ველი...
არცა-რა დედამოსაკვდომს, _
ცოლგასაყრელსა ყმას ველი!»

სანამ ქალი ვარ, გაჯავრებ,
არ დაგილევა ჯავრსაო,
გზაზედ რომ შემოგეყარო,
არ დაგიგდება გზასაო,
გზის თავში შეგიფრინდები,
მაღლა ავიღებ თავსაო;
გადავალ გომეწრისაკენ,
სანთლით შევარჩევ ქმარსაო,
თუ იქიდ ვერა ვიშოვნე,
ხევსურს გადავყვებ ყმასაო,

ხევსურსაც ისეთს გადავყვებ,
დღე-შუ ლესავდეს ხმალსაო,
შინ სტუმარ შეუდიოდეს,
აბჯარნ ულეწდეს კარსაო,
ლაშქარს წინ ჩაუძღვებოდეს,
ჩასწრეხდეს შუბის ტარსაო.

გადამაგდე და დამკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი...
შენ ჩემს გულს ვეღარ მოიგებ, _
ჩემი სათქმელი ის არი!

ალმასის ფანჯარაშია,
მზევ, დაგინახე პირი მე,
დღისით მკლავს შენი სურვილი,
ღამით მღვიძავს და ვტირი მე,
ნეტავი როდის მეღირსოს
შენთან წოლა და ძილი მე!
გადმოგხვევოდე, გკოცნიდე,
შენი თვალ-წარბის ჭირიმე!

ნეტავი, ქალო, მე და შენ
ყანები მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგელი მორია,
ნაპირიც მისცა ტყიანი...
მე და შენ ტყეში შეგვლალა, _
ყანებიმც დარჩეს ტიალი!

ხარ ვარდის ბუჩქი, დიაცო,
ბულბული შეგყეფს ტიასო...

სადაც შენ დაიმარხები,
ნეტამც იმ ეკლესიასო!

ანთებულ სანთელს გამსგავსე,
ვარსკვლავსა მკრთომიარესა,
ფერი მიგიგავს ლალ ღვინოს,
ჭიქაში მდგომიარესა...
ნეტავი შენთან მყოფელსა,
შენს მკლავზე მწოლიარესა!

ვახ, სულიკოჯან, სულიკო,
ამ ჩემს თავს რა მოსულიყო!
შევხედე: ციხის კარზედა
ლამაზი გამოსულიყო;
ფერხთ ეცვა ოქროს ქოშები,
ყვავილად ამოსულიყო...
ნეტავ მეც მასთან მამყოფა,
სულიც იქ ამოსულიყო!

ნეტამც იყოს, მამკლას ვინმემ,
ასო-ასო ამქნას ვინმემ,
ეკლის კონად შამკრას ვინმემ,
მაღლა ღობედ დამდგას ვინმემ,
ტანზე ცეცხლი მომიკიდოს,
ერთიანად დამწვას ვინმემ,
ამას ყველას გავუძლებდი,
ოღონდ შენთან დამსვას ვინმემ!

ნეტამცაი მამკლამცაი,
ასო-ასო ამქნამცაი!
სისხლი ჩემი ყვავს და ყორანს
აჭამა და ასვამცაი!
ქვეშ ჭინჭარი დამიგონ და

ზედ მდუღარე მასხანმცაი!..
ამას ყველას გავუძლებდი,
ოღონდ შენთან დამსვანმცაი!

ნეტავი ფრინვლად მაქცია,
გამოგყვებოდი კვალზედა,
მენაც იქ მოვშავდებოდი,
სადაც შენ დაგსმენ ჯარზედა,
საკმიდან ჩამოვხედნებდი,
ვის მოგისვამდენ მხარზედა...
ჩემ სწორებ, კარგებ ვაჟები
შავყრილვართ ღვინის სმაზედა,
მამერევიან ტირილნი, _
ქუდს ავიფარებ თვალზედა.

უცხო თემს ქალი ლამაზი
ნახე, რა მზისა სახეა!
საროს ჰგავს მაღლა წასულსა,
ამ ჩემი გულის მახეა...
არ გამამიშვა სოფელმა,
ვაი, რა გვიან გნახეა!

ჩემი გულის ნანდაური
კახეთს არი ცხვარზედაო,
წადგება და წამოდგება
კახელების ბანზედაო.
წელწად დილას მოსვლა მითხრა,
თვალი მაქვის გზაზედაო...
გავხედენ და მოგოგავდა
ლურჯა ცხენი ნალზედაო,
აკვდებოდა თეთრი ჩოხა
ჩემს ნანდაურს ტანზედაო...

მზევინარიმც ენაცვლება,
შამოევლოს თავზედაო!

მე ვერას ვხედავ აქედან,
ქედი მიფარებს წინარე,
შენისა სურვილისაგან
დაბნედილი ვარ, მძინარე.
სურვილმა ისე გამხადა,
ჩამოველ, ვეღარ ვიარე...
შენ ჩემი თავი მოგიკვდეს, _
სალამი დაგიგვიანე!

ქალს სილამაზე ხილადა
ვთხოვე, არ დამაძლევინა,
დავღონდი, წყალი მომწყურდა,
წვეთი არ დამალევინა,
მომხედა, წარბი შეჰყარა,
თავი ძირს დამახრევინა,
სიტყვები გადამავიწყა,
ენა სულ ამარევინა,
არ მითხრა მოდი, არც წადი,
არც თავი დამაღწევინა...
დახე, წყეულსა დიაცსა _
რა დღემდე მამაღწევინა!

დაგიქსოვ ჭრელებს წინდებსა,
წავალ, დაგირეცხ წყალზედა,
მაშინღა გამოგიგზავნი,
ნეფედ რომ დაგსმენ ჯარზედა.

მანგლისი რო ააშენეს...

მანგლისი რო ააშენეს,
წყარო ადინეს მილითა;
ადგანან კალატოზები,
გვერდებს ულესენ კირითა;
შიგა ზის ქალი ლამაზი,
თმაშეღებილი ინითა;
მეცხვარე შემოეჩვია, _
ყველს უზიდავდა პინითა;
იმ ქალმაც ხელი შეუწყო, _
ღვინოს ასმევდა მინითა;
მეცხვარეს ქალი შეჰყვარდა,
არ ახსოვს ცხვარი ბინითა,
გამოუცხადა ანგელოზს
თავის კაცური პირითა:
«ეგ შენი ღვინო რად მინდა,
გამაძღო შენთან ძილითა!» _
ქალმა შესწყევლა მეცხვარე
თავის ლამაზი პირითა:
«მეცხვარევ, როგორ გაბედე,
ცხვარი გაგიწყდეს ჭირითა!
ტყავებას ვერ ასდიოდე,
მუშას იჭერდე ქირითა!» _
ახლა მეცხვარემ შესწყევლა
თავის კაცური პირითა:
«მანგლისიმც ჩამოქცეულა,
ამოვარდნილა ძირითა;
შენ, ქალო, ლეკებს მიჰყავდე,
ვაივაგლახით, გმინვითა;
უკან მოგდევდეს საქმარო
თავისი დამბლა ვირითა;
მე მთიდან ჩამოვიარო, _
ფული მომქონდეს ქილითა;
დაგიხსნა, წამოგიყვანო
ქამანჩითა და სტვირითა...
ერთად ვიცხოვროთ, ვიხაროთ,
დრო გავატაროთ ლხინითა!»

ქალაო, შენ რო ქმარი გყავ,

მე ისეთს გავთლი ხისასა...
დედ-მამამ წყალზე გაგგზავნა
ველისას, არა ტყისასა;
გორი-გორ ჩამომავალმა
ნაჭაპნს თვალ გავკარ თმისასა,
«ქალ, _ გეძახ ბექის თავიდან, _
თავ მაიბრუნე, ხვთის მადლსა!»
გეძახენ და არ მამხედენ,
მიხვალ და მიჰქსოვ წინდასა,
«ცოლ შენის მეტი არ მინდა,
ვფიცავ მადლს ლაშრის ჯვრისასა!»
«არცვინ შენს მეტი მე მინდა,
მეც მზესა ვფიცავ ძმისასა,
მაგრამ ცოლს როგორ წაართმევ
ღარიბი კაცი მდიდარსა?!
დადექ, დამეხსენ, კარგო ყმავ,
არ მემეტები ხვთის მადლსა,
საწყევად ვერ გაგიმეტებ,
პირ გიგავ დილის ცისკარსა!
ეგ რო ჩემ ქმარმა გაიგოს,
ვიცი, თავს წაგჭრის იმ წამსა;
დადექ, დამეხსენ, კაი ყმავ,
გაფიცებ სახელს ხვთისასა!
ერთ წყვილ წინდაებს დაგიქსოვ,
დავუდებ ყაჭის შიბასა»...
«ერთ ცხენ მეცა მყავს, ქალაო,
მიმინოსა ჰგავ მთისასა,
დაგკარგავ, დავიკარგები,
რისხვას ავიტან ხვთისასა,
ქისტეთში გადვიკარგები,
სახელს დავირქმევ წიქასა,
ტანისამოსსაც ჩავიცვამ
ლეგლუგა ქისტურ ცხვრისასა,
ქისტეთს ციხეზე დავალპობ
მარჯვენას შენის ქმრისასა...»
«მაგას ნუ იტყვი, მოყმეო,
არ მემეტები ხვთის მადლსა!
შენ იქნებ ჩემს ქმარს ვერ იცნობ,
კაცი ღრუბელს ჰგავს ცისასა,
წვიმას ჰგავ მჭექარ-მქუხარსა,
ქარბუქს მაღალის მთისასა...

შაგიტყობს, წაგაგდებინებს
ვადასა ფრანგულისასა».

კახეთში ფუნჩათ ჯამრული...

კახეთში ფუნჩათ ჯამრული
ათეთრებს შუბის ტარსაო,
ოთხითა სჭედავს ლურჯასა,
გახედავს ბორბლის მთასაო:
«ვერ გადივლისა ლურჯაი,
ვერ მაჰკიდებსა ნალსაო!
ქარსამაულის ბინასა
ვერ დავავლება თვალსაო!
_ ქაიავ, ქარსამაულო,
ქმარს ნუ უქარგავ ტყავსაო!
მოისხას ტყემან ფოთოლი _
დღეს გავუთენებ შავსაო!
მოვალის ფუნჩათ ჯამრული,
ცხვრებურად მოსჭრის თავსაო,
ცხენის გავაზე შეგისვამს,
მოკლეზე გავლევს გზასაო,
გაგმართებს საკახეთოდა,
ბორბლისას გასმევს წყალსაო...
მასდიონ ქარსამაულთა
უკუღმ ნაჭედის კვალსაო!»

ივანეური

ჭიმღაში ივანეური
დღე-შუ გაღლესავს ხმალსაო,
გამოვა წინგარდაზედა,
გაღმართებს სიათასაო...
დედა დაუცხობს საგზალსა,
მამა უბანდავს ჯღანსაო,
საფშავოდ გამაემართა,
დასწერს ქალ-ზალი ჯვარსაო;
ფშავობა გაუბედავის
გუდანის ჯვარის ყმასაო;

როშკას მამიდას მიუვა,
თეთრაულაის ქალსაო,
გამაისტუმრებს მამიდა,
ასწავლის ფშავის გზასაო;
შამახდა მუჭის ღელესა,
ფშავო, დაგავლებს თვალსაო;
ჩაეხუმრების მწყემსებსა,
ხოცას არ ჰკადრებს თავსაო,
გაკვრით იკითხავს ამბავსა:
«მთიბლებ სად თიბვენ მთასაო!»
მერმე იმასაც იკითხავს:
«კაცად ვინ გიზით ფშავსაო,
ფშავს ვისი დიდობს სახელი,
რომელი იგდებს ხმასაო?»
«მჭედლურთ ჭრელუას ამბობენ,
ყელღილიანის ქმარსაო!
ყარტაულასაც, შაბურას, _
ლაფიტოპია ხარსაო»...
ამანდით წამოემართა,
მოისაბღუჯებს ფარსაო;
მწუხრის ხანს წამოეწია
ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო,
ხმალი სცა ყარტაულასა,
გამააგორებს მკვდარსაო;
სამს სხვასაც გადაუფრინდა,
კალოდ გალეწავს სამსაო,
მიღმართავს ლაშარის ჯვარსა,
წელთით დახკეტავს კარსაო;
მიუვა ხოშარეული,
მიუნთებს კელაპტარსაო:
«გამაედ, ივანეურო,
ნუ შამაცოდვებ ჯვარსაო!»
«გაბრუნდი, ხოშარეულო,
ნუ შამამაკლავ თავსაო!»
შავიდა ხოშარეული:
«გადახდა უნდა ვალსაო!»
მარცხნით კელაპტარს შაიტანს,
მარჯვნით _ შიშველა ხმალსაო,
შამახდა ივანეური,
გაუქრობს კელაპტარსაო,
წინ-წინ ხმალს ეგევ მაუქნევს,

მასჭრის მარცხენა მხარსაო...
შამაჰკრა ხოშარეულმაც _
შაასხა სისხლი ქვასაო...
. . .
ამაჟუკჟუკდი, მერცხალო,
პირშეღმ შაუდექ წყალსაო,
ჯერ ფშავს სამძიმარ მიიტა,
მემრ ჭიმღას, ჩვენსა კარსაო;
დედილას ეგრე მითქვიდი,
ქალ ნუ დაიჭრის თმასაო!
მამას, მინდიას მითქვიდი,
მამავ, ნუ წახვალ ფშავსაო...
წამოჯდებოდე ბანზედა,
წამაიხვევდე ტყავსაო,
მომიზარდოდე ობლები,
ცოლს ნუ მიმიცემ სხვასაო...
. . .
ივანეურის ფრანგულსა
ქალაქს უსინჯვენ ფხასაო:
«ბასრი ყოფილხარ, ფოლადი,
სჭრიდი ხორცსა და ძვალსაო...
შენი გამჭედი, ოხერო,
ნეტარ, ვერ გასჭედს სხვასაო?!»

იოსება

ხევში თქვეს იოსებაი,
ბუღა ბუბუნებს ხარიო;
ქალაქს დაშიშნა სომეხნი,
გუდამაყარს ქნა ძალიო;
ქმოსტ-როშკას გადაეჩვივა,
როგორც მარილზე ცხვარიო;
ჩამოჰყვა ცირცლოვანასა,
ჩამოივაკა გზანიო;
გამაუდგების ცხვრის მწყემსსა,
ვერ დაიჭირა ქალიო;
ქალმა ისრივა მანდილი,
არხოტს ჩაყარნა ხმანიო;
ვაჟებს, ციხისკარ ნასხდომთა,
მუხლებს შაუჯდა ქარიო;

სხვებს გამაასწრებს ყმაწვილი,
გამაიმეტა თავიო, _
მაჰყვება იოსებასა,
შუ არ ჩაუვათ ფარიო;
ჰკითხევდა იოსებაი:
«ყმაწვილო, ვისა ხარიო?»
«რას მკითხავ, იოსებაო, _
დამბრუნავ აღარ ვარიო!
დისწულ ვარ იონეურთი,
ბალახურისძე გვარიო;
წეღან რო ქალას მაზდევდი,
იმის საქმარე ვარიო...»
შამახკრა იოსებასა,
შამააწვინა მკვდარიო.
ბაღათერა ჯაბუშანური

კარკუჩით გამაემართა
ბაღათერაი დილითა,
დედის ძმათ გაჯავრებული
ქვა-რკინას ამტვრევს პირითა.
აივსნეს ქოთანის ბექნი
ქვემოციხლების მზირითა, _
გადმოეღობნეს ბაღათერს
დალესილები რკინითა...
ხმალს იქნევს ბაღათერაი
ხან ყუით, ხანაც პირითა,
ზოგი ჭრა, ზოგი დახოცა,
ზოგნიც წაუვლენ ჭირითა...
მარტუამ ბაღათერამა
მთა გარდიარა გმინვითა,
გადაუჩინდა დედასა
გაცინებულის პირითა,
გადაუშალა ქოჩორი
გადაპოხილი ტვინითა...
ბაღათერაის დედამა
თმანი დაიჭრნა ძირითა:
«ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი,
აწ გაძღას შენი ჭირითა!»

შემომეყარა ყივჩაღი

შემომეყარა ყივჩაღი
საზღვარსა მუხრანისასა;
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა;
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყავდა სიდედრისასა, _
ან კი ცოლს როგორ მივცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა!
ხელი მოჰხვია, აკოცა,
მოზიდა ნაწნავს თმისასა.
შესტირა საბრალო ქალმა:
«ვაი ცოლს ცუდის ყმისასა!»
მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა;
ახლა მე შემოვუქნიე,
ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა,
გავჭერი ცხენი და კაცი,
წვერიც ვუწვდინე ქვიშასა _
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა...
აქეთ მე ვკვდები, იქით _ ის,
ქალი _ წავიდა სხვისასა.

ჯარჯი

კლდე, ჯიხვის ჯოგის გავლილი,
რო ნახო, გაგიკვირდება...
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა,
თოლი არ მაეკიდება.
ფეხ რო მაუსხლტეს ტიალსა,
კლდეზე რქით დაეკიდება,
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეკიდება!..

ჯარჯი ჩახედავს ჯიხვებსა,
რა მშვენიერნი წვანანო,
რქა რქაზე გადაუხვევავ,
ანგელოზებსა ჰგვანანო.
ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა,
მოგინელებენ ტიალნი!..
არ დაიჯერა ჯარჯიმა,
სხვაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი.
ჩამაუქადლა ვაჟკაცმა
ხირიმი სპილოსძვლიანი,
წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა
კლდეზე გადიღეს გრიალი, _
ჩაბანოს ჭალას გავარდა
მოყმე ფეხწრიაპიანი...
ამაიტანეს მამკვდარი,
ტირის ქალი და ზალია,
შამააწვინეს კარზედა
კლდის დაფლეთილი ტანია,
გადაგლეჯილი თავ-პირი,
ყორნის დათხრილნი თვალნია...
სახსოვრად ჯარჯის საფლავზე
დააკრნეს ჯიხვის რქანია,
ერთ გვერდზე თოფი სიათა,
მეორე გვერდზე ხმალია,
ზედ დააწერეს წერილი:
«ჯარჯი _ ჯიხვთაგან მკვდარია!»

ზოგნ იმას მეუბნებიან:
«ლურჯა გაყიდე ცხენიო...»

წამავედ საღილღოოდა,
შავხკმაზე ნისლისფერიო,
შამაუყენე ჭალასა,
ჩამაუქნიე ხელიო;
ხამხისძირ პოსტში ჩამავედ,
ამადიოდეს მზენიო,
შამამეგებნეს ქისტები,
ზოგთ ჩამამართვეს ხელიო,
ზოგნ იმას მეუბნებიან:
«ლურჯა გაყიდე ცხენიო»...

«რას ამბობთ, ცხენისმჭამლებო,
გაყიდვა რაის ფერიო?!
განა თქვენდ ვკვებე ლურჯაი,
ვაჭამე თივა-ქერიო?!
თაოდ მჭირდების ხელშია,
მთებ გადაშრების ჩვენიო,
ნალნი რიყეზე წიოდან,
არ იყოს დასაჭერიო,
აკლიან ნისლისფერასა
გასაფრინდომლა ფრთენიო,
რად მინდა თქვენი ფულები,
თაოდ გამიღავ ბევრიო,
ფული რად უნდა ვაშკაცსა,
კარგ უნდა ხყვანდას ცხენიო,
მხართ _ თოფი არშავიანი,
წელზე _ ხანჯარი მჭრელიო,
ვერ უდგებოდას ახლოსა,
შორა დგებოდეს მტერიო».

ლაშარს მოვიდა თილისძე

ლაშარს მოვიდა თილისძე,
გულდიდად დაჯდა ხარია,
შემოეხვივნენ ფშავლები,
როგორც ბატონსა ყმანია:
«შენ აქ არ მოგესვლებოდა,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალია,
დასწვი, დასდაგე ხოშარა,
ცამდის აუშვი ალია,
ხოშარას დიაც-ყმაწვილი
კალოდ გალეწე მკვდარია,
ნაკვეთაურის ციხესა
შენ შეხსენ რკინის კარია»...
«დაიცათ, შვილო ფშავლებო,
მალოცეთ თქვენი ჯვარია,
სამხვეწროდ მომიყვანავის
თეთრი ქორაი ხარია,
სამეშვლოდ მამიყვანავის
პირთირთველაი ცხვარია,
ეგ მაშინ გავარიგოდით,
რო შაშრებიან მთანია,

ვისი დასჭეხებს მაჟარი,
ვისი გაჰკვეთავს ხმალია...
ორწყალში შემოვაბრუნო,
ფშავლებო, თქვენი ცხვარია,
უკან მომდევდეთ ფეხდაფეხ,
მერმე დაჰკარგოთ კვალია,
მომყეფდეთ ყორნებულადა,
ტყვიას მოჰქონდეს ჩქამია...
უბის თავს დანათდებიან
თალისძის ცხენის ნალნია».

თილისძემ უთხრა მამასა...

თილისძემ უთხრა მამასა:
«მამავ, შავყაროთ ჯარიო,
ჩავიდეთ უკვენა ფშავსა,
ამოვირეკოთ ცხვარიო...»
«ვერ ჩავალთ უკვენა ფშავსა,
ეგეცა ჩვენნი არიო!»
«მაშ, ხოშარაში ჩავიდეთ,
ვარჩიოთ ქალი-რძალიო...»
«ვერც ჩავალთ ხოშარაშია,
ეგ არის ჩვენი მხარიო!»
«მაშ, მათურაში ჩავიდეთ,
მოკლედ ჩაუვლენ გზანიო,
გოგოლაურთას ჩავიდეთ,
ჩაკიბული ჰქონ გზანიო...»
«კიბურთ არ ჩაგვაცილებენ
ლომ-ხუზაურა ძმანიო!»
«მაშ, ციბაურთას ჩავიდეთ,
ვუმტვრიოთ ბეღლის კარიო!» _
ჩავიდეს ციბაურთასა,
უმტვრიეს ბეღლის კარიო,
პირ-და-პირაით გადმოჩნდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო,
ესროლეს თილისძის კაცებს,
ბეღელს აკერეს მკვდარიო.
თილისძე გამაიპარა,
გადმაიარა მთანიო,
როცა თუშეთში მოვიდა,

გამოეგება რძალიო:
«მამამთილ, შვილი რა უყავ,
თინიბექ, ჩემი ქმარიო?»
«თინიბექ ფშავში გავწირე
სისხლისა ღვინით მთვრალიო...»
ქალი ციხეში შევიდა,
წელთით დაკეტა კარიო,
სანამ წელ შესრულდებოდა,
სამჯერ დაიჭრნა თმანიო.
მამამთილმ გამაუგზავნა
სამხვეწროდ თეთრი ხარიო:
«გთხოვ, გამოხვიდე, ლელაო,
ციხეში ნუღარ ხარიო»...
მამამთილს შემოუთვალა:
«წელზედ შამარტყი ხმალიო,
იქისაკ წამავალი ვარ,
მასწავლე ფშავის გზანიო...
ქმრის სისხლი თუ ვერ ვიძიო,
ლელაიმც ნუღარ ვარიო!»

ქალი ხვარამზე

აღმოსავლეთით ამოჩნდა
თვალად ლამაზი ქალიო,
ამაჰყვა საყურ-ბეჭედი,
უჟრიალებდა ქარიო,
თან მოყმე ამაიყოლა,
ნათლად ეღება ფარიო:
«აკოცეთ ქალსა ხვარამზეს,
მე ვარ ამ ქალის ქმარიო...»
აკოცა ბიჭმა რეგვენმა,
თავს გადიმტვრია ხმალიო.
«რად ეგრე, ბიჭო რეგვენო,
რაზედ მოიკალ თავიო?!»
გაწყრა, გაჯავრდა ხვარამზე,
მაღლა შაშალნა თმანიო,
შაკაზმა მამის ლურჯაი,
ზედ თავად შაჯდა ქალიო;
სარბენლად არ ეყოფიან
თრიალეთისა გზანიო,

საძოვრად არ ეყოფიან
დიდი ალგეთის მთანიო,
სალოკად არ ეყოფიან
სამნი მარილის ქვანიო,
სასმელად არ ეყოფიან
ალაზანი და მტკვარიო...
მოვარდა გუმბრის წყალზედა,
ელვით ენათა თვალიო,
დაეწაფა და ზღვა გაშრა,
გაგლიჯა მოსართავიო.

ვეფხვი და მოყმე

1

მოყმემა პირშიშველამა
შიბნ გაიარნა კლდისანი,
მოინადირნა, დალახნა
ბილიკნი ჭიუხისანი;
შამახდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი, _
ჯიხვსა თოფ დახკრა ბერხენსა,
ჭალას ჯახ იქნეს რქისანი;
შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა,
დრონ იყვნეს შუადღისანი,
ყმას ვეფხვი წამაუფრინდა,
თვალნი არისხნა ღვთისანი;
შაიბნეს ვეფხვი და მოყმე,
მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრივნეს,
შტონ დაილეწნეს ტყისანი;
ფარს იფარებს და ვერ ასწრებს,
ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი, _
გაზით გაართვა კალთანი
ჯაჭვისა, ჯავშანისანი;
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი,
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
ძალნ შაეწივნეს ცისანი;
ვეფხვი კლდეთ გარდაეკიდა,

დროც იყვნეს წაქცევისანი,
თავადაც კლდისთავს შამოწვა,
ჩამააწითლნა ქვიშანი...

2

იარებოდა დედაი
ტირილით, თვალცრემლიანი:
«ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრებული, ტიალი;
ვეფხვს ხმლით და ჩემს შვილს ტოტითა
დღე დაუბნელდათ მზიანი;
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი;
მათ დაუხოცავ ერთურთი,
არ დარჩეს სირცხვილიანნი»...
ტირილით წყლულებს უხვევდა
დაჭრილსა ვეფხვის კლანჭითა:
«შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეგ შენი ჯაჭვის კალთები
ოხერმა როგორ დაფლითა?!
შენც იმის საფერ ყოფილხარ,
აღარც შენ დააცალია,
ვეღარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაქონი ფარია,
ვეღარცა ვეფხვმა ტოტები,
ხმალმა დაკუწა ძვალია;
ამის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია,
ლაშქარში, მეკობარშია
არ იყავ საწუნარია;
მშვიდობით! ჯვარი გეწეროს!
ეგეც სამარის კარია! _
ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია!»

3

ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,

ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს
ტანზეით ახყრის რკინასა,
ხან ვითამ იმის შვილმ სძლივის,
ვეფხვს გარდაავლებს ყირასა;
აი, ამ სიზმრებს ხედავდა,
გამაეღვიძის მტირალსა;
ხან იფიქრებდა: «უდედოდ
გაზდა ვინა თქვა შვილისა!
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემებრ დღე-და-ღამ ტირისა!
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც უთხრა ჩემი შვილისა...
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა».

ორშაბათობით აშენდა...

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
ადამიანის შენახვა
ვერავინ იდვა თავზედა,
ხარმა თქვა, პირნათლიერმა:
«მე დამაწერეთ რქაზედა!»
მისცვივდნენ ანგელოზები,
დაჰკოცნეს ორსავ თვალზედა,
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი,
მიაკრეს ორსავ რქაზედა:
«წადი, ხარო, იმუშავე,
ხარ საყვარელი ძმაზედა!
გასწიე შენი უღელი
ერთგულად მთა-და-ბარზედა,
ექვსი დღე უღელში ები,
მეშვიდეს... დაწექ მხარზედა...
აგიშვას შენმა პატრონმა,
გაგიშვას საძოვარზედა...
ვინც კვირა-უქმეს შეგაბას,
ხელიც შეახმეს მკლავზედა!»

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა-ჩიორამაო
საძირკველი გადგაო.

თებერვალი _ ბერავსო,
მარტი _ კაბას ჰკერავსო,
აპრილი _ გაცხარებულა,
სახნის-საკვეთს ფერავსო.

მარტმა თქვა: «თოვლ-ჭყაპს ვაპირებ,
ღმერთო, მიმართე ხელიო!
ცხვარი და ძროხა გავწყვიტო,
არ ვუშვა ჭაკი ცხენიო!
ღრანტე ხევები ავავსო,
არ ჭამდეს ტურა-მგელიო!» _
აპრილმა შემოუთვალა:
«მარტო, ხარ ჭკუათხელიო!
შენ თვე ხარ თავქარიანი,
მე _ გაზაფხული ჭრელიო...
სახნის-საკვეთი დავპიროთ,
გუთანს ვუმართოთ ხელიო!»

მაისის წვიმა _ ოქროა,
თიბათვის წვიმა _ ვერცხლი,
მკათათვის წვიმა _ მდუღარე,
მარიამობის _ ცეცხლი!

შენ, ჩემო გუთნისდედაო,

ხარი გიბია მტრედაო,
სიმღერა კარგი გცოდნია,
დასძახი ზედიზედაო.

ხარმა თქვა: «სახრეს არ დამკრავს,
თუ მეხრე მიზის ღვთიანი,
თუ მეხრე უღვთო შემხვდება,
რას ვიქმ უენო რქიანი!»

ჩვენს ნუგეშად მოვლენილო,
ნიკორ-წმინდავ, ქედ-ძლიერო,
ხარო, ხარი ვინ დაგარქვა,
ხარო, სახემშვენიერო!

საწყალი კაცის ცხოვრებას
არ უნდა ბევრი ხრიალი:
უღელი ხარი ეყოფა,
ორიოდ ძროხა რქიანი,
ათიოდ ცხვარი იყოლოს,
იხვი-ქათამი ფრთიანი,
ცოლი შეირთოს მშრომელი,
პატიოსანი, ზნიანი,
თვითონაც იყოს მუშაკი,
ცოლშვილმოყვარე, ჭკვიანი,
მეზობელ-ნათესავებთან
ხათრიან-თავაზიანი.

გუთნისა ჭრიჭინი მიყვარს,
მეხრისა შემოძახილი,
მუხისქვეშ დიდი ჩრდილები,
როცა ისვენებ დაღლილი.

ჰარალო, ველის ყვავილო,
სასუნებელო იაო...
წასძინებია მეხრესა,
ხარს ყური წაუგდიაო.

მეთევზის ბარაქა შერცხვა,
მონადირისა _ საგზალი!
ჭირიმე გუთნისდედისა,
ეგ უნდა გვყავდეს მაძღარი!

მადლიანია გუთანი,
ფეხდაფეხ დასდევს უფალი...
კაცის გამფუჭებელია
ეგ სატიალო დუქანი!

ხარო, დადგა მაისი, _
ახლა ხორცით გაივსი!
წყალია და ბალახი, _
გასუქდი და გალაღდი!

კამეჩი ღონიერია,
უღელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება _ წაიღებს
თავისასა და სხვისასა.

გენაცვა, შავო კამეჩო,

ნიკორა ზაქის დედაო,
შენი დაზრდილი ზაქები
მიმიდის მარილზედაო.

კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია.

«კამეჩო, მუხრანელი ხარ,
გაწევა გეცოდინება!» _
«მე მუხრანელი არა ვარ, _
უღელი მეჩოთირება!»

შავსა კამეჩსა პატრონი
ყელში უყრიდა დანასა...
«ნუ მამკლავ, ჩემო პატრონო,
სხვას მოგგვრი ჩემისთანასა!»

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა!
წამოუწვები გვერდზედა,
აღება იცი ველისა...
შენა ხარ პურის მომყვანი,
დამძველებელი ქერისა!

შენი ჭირიმე, გუთანო,
გათლილო წმინდის ხისაო,
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა,
დამმარხავი ხარ მკვდრისაო.

წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
მე მოგახსენებ, რა უნდა:
სათავე _ აშენებული,
ხის ღარს პირთამდე თლა უნდა,
ქვეშ ხომ ფრთიანი ბორბალი,
შიგნით ლამაზი ქვა უნდა,
სარეკელა და ხვიმირა,
ათასი კიდევ სხვა უნდა,
ზედ რომ პური დააყარო,
ამას ხომ ფქვამდე ხვნა უნდა,
მერმე თესვა და გამარგვლა,
ბოლოს ლეწვამდე მკა უნდა...
წისქვილის ამბავს ნუ მკითხავ, _
ფუთობით ოფლის ღვრა უნდა!

თესლი მიწას მივაბარე, _
თესლი-დ მიწა _ ორივ ღმერთსა!
ეხლა ღმერთმა თვითონ იცის,
მომცემს პურს თუ არ მომცემსა!
იმის მადლი შეეწიოს
ყველას, მისგან განაჩენსა!

«შენ რა გინდოდა, კამბეჩო,
მუხრანს გეძოვნა ბალახი,
ხანდისხან ხილად გენახა
აღზევანი და ქალაქი»...
«შენც რა გინდოდა, პატრონო,
ცოტა რამ ხარჯი გეწია,

გეძლია თითო აბაზი
თითო კალანჩხა ბზეშია!
მე მაშინ მოგაგონდები
შავი აღმართის ყელშია,
შეგებას წვრილი მოზვრები,
იკლაკნებოდენ წელშია,
ეძახდე «ბშუდი! ბშუდიო!» _
სულიც ჰბჯენოდეთ ყელშია!»

აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე _ შვილსა და ცოლსაო.

ასე ჰგონია დუშმანსა,
არცა ხვნენ, არცა თესვენო,
არცა უბიათ მოზვრები,
არცა კალოსა ლეწვენო.

გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო!
სახნის-საკვეთო, გაუსვი,
რომ კაჭაჭს ძირი უთხარო!

საქმისთვის _ ვიყავ მგელიო,
გუთნისთვის _ კარგი მხვნელიო,
ორმოში ძაან მიყვარდა
ქერი და პური ძველიო!

ქალმა თქვა: «ქმარი არ მინდა,

ნუ გამათხოვებ, დედაო!
თუ მიმცემ, ისეთ კაცს მიმეც,
რომ იყოს გუთნისდედაო!»

აის დრო როდის მოგვივა,
იზნიქებოდეს ქერიო,
ბარში ჩქამობდეს ნამგალი,
მთაში _ გალობდეს ცელიო!

შენ, ბიჭო ანაგურელო,
შენი ხმა ჩამოდიოდა,
შენი ნამგლისა წკრიალი
წყალგაღმა გამოდიოდა!

ვისაც რა უნდა, ისა თქვას,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი,
მიყვარს პირწმინდა ნამგალი,
მისი ყანაში პრიალი!

ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი.

ყანა მშრალი სჯობს სამკალად
ნამიან-ჭანჭახიანსა,
ქალი _ გონჯი სჯობს ლამაზსა,
ჭორიან-საძრახიანსა!

ქალს ნუ ჰკვლევ ჯვაროზაშია, _
ტანთ ნათხოვარი აცვია,
ქალი თუ გინდა ლამაზი _
დაჰკვლიე ქერის მკაშია!

ან უნდა ძმასა ძმა ჰყავდეს,
ან კაი შვილი მამასა,
ან ჰყვანდეს ბიძას ძმისწული, _
ისიც მაუმკის ყანასა.

ჩემთან წამოდი, დარია,
ლახატო უფრო ბარია,
მე სულ თავთუხის პურს გაჭმევ,
წიფრანის პური მწარია.

ქვედრულა მოდიდებულა,
თან მოაქვს მთა და ველია,
ლალაშვილს დაუქადნია:
«მე მომდის ბევრი ქერია!»
«შენი ქვედრულა მოგიკვდეს,
თუ ვერ გიცვალოს ფერია!»
მოსტაცა კალო-საბძელი,
სამოცი კოდი ქერია,
წისქვილიც იმას გაჰკიდა:
«წადი და იქა ფქვევია!»
საცერიც უკან გაჰკიდა:
«წადი და იქა სცერია!»
კეცებიც უკან გაჰკიდა:
«წადი და იქა სცხვევია!..»
დიასახლისი სტიროდა:

«ვაი, რას მოვესწერია,
მომივა გულის სტუმარი _
ჭადზედ ვარ მასპინძელია!»

მწყემსი ვარ, ამბავს გიამბობ
ჩემსა და ჩემის ცხვრისასა, _
ძნელია, ძმაო, მწყემსობა,
მუხლს ადნობს კაი ყმისასა.

განა არ იცი, ბატონო,
კვერნაკი დიდი მთა არი;
სამასი სული ძროხა მყავ,
იმის ხბორები სხვა არი;
ხუთი ათასი ცხვარი მყავ,
იმის ბატკანი სხვა არი;
ექვსასი სული ღორი მყავ,
იმისი გოჭი სხვა არი;
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავ,
მოჯამაგირე სხვა არი;
სამოცი სული მწყემსი მყავ,
მოშაღავათე სხვა არი;
სამოცი ძაღლი ცხვარში მყავ,
პარკის გოშია სხვა არი;
ას ცხვარსა მენაც გაჩუქებ,
ათი და ოცი რა არი?!
ბოლოშიც კარგა მოვილხენ,
ვითომ თავსჯდომა რა არი!

ცივ მთას ცხვარი მყავს, ძმობილო,
სალაფიაში _ ხარები,
სულ სტუმრად დამიდიოდენ
წითელკაბიან ქალები.

ვაზო, შვილივით ნაზარდო,
მოვკვდები მე შენს ძირშია,
შენით ვარ მხნე და ამაყი,
იმედო გასაჭირშია!

მიგრეხილო, მოგრეხილო,
ზედ მიკრულო მაგრად ხეო,
ცოცხალი ვარ _ შენ მაცხოვრე,
მოვკვდე _ შენვე დამმარხეო!

ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაში გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა, _
შუაზედ გადგიტეხია!

«დავბერდი და შემინახე!» _
მამა ეუბნება შვილსა...

«აქამდე რომ გინახავდი,
სხვლა იცოდი ვენახისა!»...

«ცოტა კიდევ შემინახე, _
სიმინდს მოვუთოხნი ძირსა!»

სიდედრო, შავგვრემანობით
არ დაიწუნო სიძეა,
სოფელში მოდი, იკითხე,
გრძელი ვენახი ვისია!

ღვინო ეუბნება პურსა:
«რატომ მე არ მიგდებ ყურსა,
მე და შენ რომ სუფრას გავშლით,
ვერავინ ვერ დასდებს წუნსა!»

თარიმან, შენსა ვენახსა
ჭიგო უგია მსხლისაო,
შენ ყველას მასპინძელი ხარ, _
ნათესავის და მტრისაო, _
რაც კი შენ ღვინო მოგივა,
ნახევარია სხვისაო!

ქარაქში ხორველა გაჩნდა,
იორზე _ მუსრი ძროხისა,
ან ჭირი საქონს დამილევს,
ან ხორველაი ცოლ-შვილსა.

მარხვა ვის გაუგონია
მეცხვარისა და მგლისაო!
ლოგინი აქვის ფიჩხისა,
თავსასთუმალი ქვისაო!

მთა გაშრა, მიწა გამოჩნდა,
გამწვანდა მთა და ბარია,
სათრიალეთოდ დაიძრა
ფშავლის და თუშის ცხვარია;
ქალაქის პირში მიდგების,
როგორც ნაგუბარ წყალია,
ამოვა ჯოჯინაშია,
შამაათეთრა მთანია.

დიდ ქალაქს ციხევ მაღალო,
ნაგებო ბასრის ქვისაო,
ცუდი გაქვს შეხედულობა,
ფერი გძევს სიკვდილისაო;
გადმოუხედვენ ქალაქსა _
ფარა წევს ფშავლის ცხვრისაო,
შენი ჭირიმე, ვაც-ვერძო,
შენი მარწუხი რქისაო...
შენ თრიალეთში მიდიხარ,
პატრონ _ ციხეში ზისაო!

ვინა სთქვა შენი დალევა,
გამთეთრებელო მთისაო!
პატრონის გამლაღებელო,
გამჯავრებელო მტრისაო!
არ დაისვენებთ, ოხრებო,
ყანა-სათიბის პირსაო,
არ ჩაასვენებთ ჩობანსა,
არ დააძინებთ ძილსაო!

ცხვარო, რად უნდი პატრონსა,
თოვლ-ფიფქ რო ჩამოდიოდეს,
მაშინ უნდიხარ პატრონსა,
საწველად შინ მოდიოდე,
მოჰქაჩაობდე, ვაც-ვერძო,
შენს კვალზე მტვერი დიოდეს,
ეხვიოს პატრონს ნაბადი,
ხანდისხან შემოგკიოდეს,
გორს იქით ბატკნის ბღავილი
გორს აქეთ გადმოდიოდეს...
იწველებოდე, შიშაქო,
ყველ-ხაჭოვ, ამოდიოდე!

მეცხვარე მგლისა შიშითა

ვერ გაიგრძელებს ნადიმსა,
თუ გაიგრძელებს ნადიმსა,
მგელს გაუკეთებს სადილსა.

თოფ დავხკარ ჯიხვსა ბერხენსა, _
ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი,
ჯამუხის ღელეს გადვარდა,
გადააწითლა ქვიშანი...
სად რას მოკვდება ტიალი,
რქანი სად სხენან მისანი!

არ ეშვებიან ღრუბელნი
მაღლის ჭიუხის წვერსაო;
ჭიუხის კუჭულაზედა
სინაურისძე წევსაო;
თოფს ისრევს ვეფხვი ბწკლიანი, _
მთელი ჭიუხი ძგერსაო...
კაცს ნატრობს მონადირეი
ნადირის ჩამომთრელსაო!

ვაჰ, თქვენს ბერდიას, ჯიხვებო,
დავბერდი, მიკლეს თვალსაო,
დაბნელდა, შავი ნისლია,
ვეღარ გავიგნებ გზასაო,
თორ კიდენ გაგაგონებდით
ჩემი ხირიმის ხმასაო,
კიდენ სამ გაბერტყინებდით
დილ-დილით ქუჩის ნამსაო!

კლდემ გადასძახა კლდესაო:
«ნაკუწა არი ჩვენსაო,

ჯიხვსა გვთხოვს მეტად მსუქანსა,
თორემ არ შვება მჭლესაო»...
«მიდი, მიეცი ის ჯიხვი,
არყი რომ უზის ბეჭსაო!»

გახედე, აიმ მთაზედა,
წალამ გადადის ნისლისა,
ზედ მონადირე შემდგარა,
ხელთ მშვილდი აქვს და ისვრისა;
ჯიხვი ჭიუხში შაგვიხდა,
ხველა გამოდის ფილტვისა...
მაგას ვეღარა უშველის _
გასენილია ისრისა!

თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხს უცემს,
გულს გიგლის, მონადირეო;
ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო,
სისხლი ვერ მოგადინეო!
ვერ გადაგაგდე კლდეზედა,
რქაზე ვერ დაგაბჯინეო!
ვერ დავიკვეხე სწორებში,
გულო, ვერ დაგალხინეო!

«ირემო, მთასა მყვირალო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა?»
«მეუღლე მთაში მომიკლეს,
დავეხეტები ცალადა!»

აკუშოს ღელეს, ირემო,
დაბლა ჩამოჰყევ ნისლითა,
შინ არ ას ჭოლიკიშვილი,

ხორცთა ნუ დაჰყრი შიშითა!

გავხედე ყარაიასა, _
ორი ირემი სძოვდაო,
მე დიდი გამოვარჩიე, _
თურმე პატარა სჯობდაო.

«სად იყავ, ხარო ირემო,
სად გაიბასრე ისრითა?!»
«ალგეთით მოვალ, ბატონო,
მთა გადმოვლახე ნისლითა...
დამკოდეს ხათუთისძეთა, _
ისარი მამაქვს კისრითა!»

მონადირეო, ბუჩაო,
ჩამოგითოვნა მთანია,
ვეჟო, შენს სანადიროში
ნადირობდიან სხვანია!

მაღალსა მთასა გავხედე, _
ჯიხვნი ჭიუხში წვანანო,
რქა რქაზე გადაუდვიათ, _
მდომიარეთა ჰგვანანო.

ნადირი მონადირესა
მოეკლა, ედო გრილოსა,
გამოეგზავნა ბიჭები,
ელოდებოდა ღვინოსა.

დუშმანიმც არი, დედაო,
მონადირისა ცოლია!
შინ უგავ თბილი ლოგინი,
თავად ჭიუხში მწოლია,
საშუაღამო ვარსკვლავი
საგათენებო ჰგონია!

ბევრ მონადირე მინახავს
მავალი უფსკრულთ პირსაო,
ბევრმა აიღო სახელი, _
ჯარზედ გულდიდად ზისაო.

ჯიხვთა თქვეს ხახთხევაშია:
«მონადირეთა სძინაო»...
«საძილედ რად წამოსულან, _
ნუღარამც მივლენ შინაო!»

ნადარბაზევის ტირილი
გამოდის ზარის ხმაზედა,
მე ბულბულები მეგონა, _
ქალი ტიროდა ძმაზედა.

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს
აღების ღამეს ღვინოსა, _
მჭადი ჭამოს და წყალი სვას,
დაწვეს და დაიძინოსა.

მე აქაური არა ვარ,
ვარ სხვაკნიურის მხარისა,
ტყეს ფოთლად გადმოყოლილი,
გადმოტანილი ქარისა.

უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ
ჟამი აროდეს იწირვის!
მცირე მერცხლისა კლანჭითა
არწივი არ დაიჭირვის!
თუ კაცსა ღმერთი არ სწყალობს,
ცუდია, რასაც იჭირვის!

ჯერ ხომ სოლომონი მქვიან,
მერე მეძახიან ბრძენსა;
სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა;
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
მშრალზე ვინადირებ თევზსა;
ჯინჭველას გოდორს ავკიდებ,
მიმინოს მივუსევ მწყერსა.

აგუნა

აგუნა, აგუნა, გამეიარეო!
ბახვი, ასკანა გადმეიარეო!
ჩვენს მამულში _ ყურძენიო!
მტრის მამულში _ ფურცელიო!
ჩვენს მამულში _ გოდრითაო!
მტრის მამულში _ გიდლითაო!
აგუნა, აგუნა, ვიიიო...
ჩვენს ქალებს _ ყაჭი და აბრეშუმი!

მტრის ქალებს _
ტარი და კვირისტავი!

მზე შინა და მზე გარეთა...

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო!
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
მზევ, შინ შემოდიო!
დუშმანსა ქალი ჰგონია,
მზევ, შინ შემოდიო!
ვაჟის მამა შინ არ არი,
მზევ, შინ შემოდიო!
ქალაქს არი, აკვნისთვინა,
მზევ, შინ შემოდიო!
უყიდნია, შინ ბრუნდება,
მზევ, შინ შემოდიო!
ვაჟის მამას მოუხდება,
მზევ, შინ შემოდიო!
თეთრი კაბა ატლასისა,
მზევ, შინ შემოდიო!
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,
მზევ, შინ შემოდიო!
ყაბახს სროლა-ბურთაობა,
მზევ, შინ შემოდიო!
მზევ, შინა და, მზევ, გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!

წმინდა გიორგივ, ცხოველო,
შენს სალოცავად მოველო,
მამირეკია ცოლ-შვილი, _
შენსა წყალობას მოველო!

მასპინძელ კარგად მასპინძლობს

გულითა მხიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა
მარანში სიარულითა.

მთიბლურები

ცელი ვლესე და ვერ გავლესე,
გადალესული ყოფილიყვა...
ცოლი ვწურთნე და ვერ გავწურთნე:
თავში უწურთნი ყოფილიყვა.

ცელცუდაო და ცოლცუდაო,
მთიბელო ვეღარაისაო,
ცელლამაზო და ცოლლამაზო,
მთიბელჩი ნამხრევ-მშვენიერო.

დედა ენაცვალოს შვილს გიორგის,
ერთი მთა ერთ ნამხრევად უნდა,
მეორე _ თივის სათრელადა,
კოჭამდე მიწის სათხრელადა.

დედავ, ნუ მიმცემ ბასილასა,
ეგ ცელის ტარზედ ელღვეოდა,
ცელი ნამხრევში გადაეგდო,
თვითონ ქალებში ეთრეოდა...
თუ მიმცემ, მიმეც ბაჩანასა,
მთიბელთ სრუ თავზე ევლებოდა.

მარტო მთიბელო, მოიჭივრე,
ცოლი გყავ ახალ-მოყვანილი,
ცხვარში ყოფილა, გამოგხედავს,
არვინ მიჯობოს მთიბლებშიო...
თორე შინ მიხოლ წუხრიხანა,
ცოლი მოგცემდა საყვედურსა,
აღარ დაგიწვენს ბროლის მკლავსა,
აღარ ჩაგიხვევს ბროლის მკერდსა!

ცელო, ლესვითა ნალევი ხარ,
ბალახთა ძირის დამლევი ხარ!
ცელო, გამიჭერ _ გზისპირია,
ჩამაივლიან _ სირცხვილია!

ჩემო ჩარგალო, ცოტინაო,
აბრაშუმ საბლით მოზომილო...
ჩარგალ ცას შაღგავ ღრუბლიანსა,
დღით სამჯერ იცვლის გუნებასა...
ქალო, რომელი გირჩევ ქმარი _
ქისტაური თუ ჩარგალელიო?!
ქისტაურ _ პურსა არ მოგაკლებსო,
ნადირის ხორცსა _ ჩარგალელიო!
ქალმა ქისტაურ დაირჩივნა:
«ხორცი რად მინდა უპუროდაო!»

სალაღობონი

ბაიაშვილ ავად გახდა,
მთვრალს შასცივდა წუხელისა,
უცხელებენ ნიორ-წყალსა _
ეგ რა სნეულს უშველისა!

ნარეცხ მაინც მოუტანეთ
ნაარაყალ ჭურჭელისა!
მართამა თქვა: «დაიმეხოს,
სიკვდილი სჯობს უქნელისა,
ზომა რაით ვერ გაიგო
მაგ გასახეთქ მუცელისა?!»
ავადმყოფმა დაიუბნა
მცნება დიდის რუსთველისა:
«ისევ მაძღრის სიკვდილი სჯობს,
მინამ _ უსმელ-უჭმელისა!»

სერზე მიდის სამი მგელი,
ტუჩმოკლე და კუდაგრძელი,
ერთმანეთს ეუბნებიან:
ჭალას არის ლურჯა ცხენი,
ერთმა ცხენს თავს დაურბინოს,
ორმა გავკრათ გავას ხელი,
პატრონს კაცი გავუგზავნოთ:
«ნუღარ გინდა თივა-ქერი!»

ხახათ მარიამ ვერა სჯობ
ჩემ მძახალ ხმალგრძელთ თინასა,
რახანის წახვალ ქალაქსა,
მერდინს უზიდავ, შილასა;
აგივსავ სიზიკებითა, _
დროშასავითა ბრწყინავსა;
აცა, გაზაფხულ მოვიდეს,
რარიგად მოვრთავ თინასა!
შორით ყურებას დამიწყებ,
ლაშარს რო დავდებთ ბინასა _
მეძრახებოდეს შორითა,
მაწვდიდეს სავსე მინასა!

კარგა ვიცი, ისევა დგას
ქალაკმაის ჭურჭელშია,

მამიტანეთ მწარე წყალი,
რო ჩავასხა მუცელშია...
მაგის ფარდაგშიმც გამხვია,
როგორც მთვარე ღრუბელშია!
სხვას კი არას დავაშავებ, _
ხელს კი ჩავყოფ უბეშია.

პეტრია-საზანდარი ვარ,
ლექსების გამომჩარხავი,
აზნაურებში მავალი,
ბევრი თავადის მნახავი,
პურადიაფის მაქები,
და პურადძვირის მძრახავი...
თქვენი მტერი და ორგული _
სულ პირქვე დასამარხავი!

ტაბახმელელ პატარძლებმა
არ გაიხარესო,
სტვირის გუდა დამიხიეს,
ნიფხვად ჩაიცვესო,
ფიფინურები დამიხსნეს,
ღილად აისხესო,
გაიარ-გამაიარეს _
დააჟღარუნესო.

სიძე-სიმამრი

ღელე-ღელე შევიარე,
სარტყელი ვნახე ორკეცი.
რავარიც კაცი იყავი,
მისთანა ქალი მოგეცი.
აცა, შვილო, აცა, შვილო,
ლუტიძე და პაქსაშვილო!
შენ მომეცი გლახა ხარი,
მე მოგეცი გლახა ქალი:

მე ქე დავკლავ გლახა ხარსა.
შენ რას უზამ გლახა ქალსა?!

ირემმა ირემს ახარა:
«პამპრაძე ავად გამხდარა,
თოფის ხმა აღარსად ისმის,
იქნება კიდეც მამკვდარა!»
გამოსტყვრა თოფი ამ დროსა,
ირემმა ტლინკი აყარა:
«თუკი პამპრაძე მამკვდარა,
მაშ, თოფი ვიღამ გვახალა?!»

მგელი

ორშაბათ დილა გათენდა,
თეთრ ვირს გაუღეს კარიო,
ჯოხი ჰკრეს, ჭალას ჩალალეს;
«მანდ ხვრიმე ლურჯი ნარიო!»
შემოეყარა ვირს მგელი:
«ვირო, შენ ვისი ხარიო?!»
«არა ვარ გლეხიკაცისა _
ბაგრატიონთი ვარიო...
ქალაქით მამიტანია
სამნი მარილის ქვანიო,
პატარას შენც გინაწილებ,
რომ შაინელო მხალიო!» _
«მე მხალი-მხული არ ვიცი,
მხალს არ ჭამს ჩემი გვარიო,
ჩემს მამა-პაპას უყვარდა
გამოსახრავი ძვალიო!
მოიცა, ვირო, მამიჭერ
პატარა ბეჭის ძვალიო!
დიდი არ დაიყროყინო,
არ შემიყარო ჯარიო!
კუდი არ გაიცანცარო,
არ გამომთხარო თვალიო!»
ახმეტური პატარძალი

ახმეტური ქალი ვიყავ,
ახ, ნეტავი მეო,
ოცდახუთი წელიწადი
ოსტატს ვებარეო,
ნემსს ყუნწი საითა ჰქონდა,
ის ვერ ვისწავლეო.
საპატარძლოდ მომამზადეს, _
ეს მეამა მეო;
უმარული ბევრი ვისვი,
ფერი ვიჭარბეო,
ნეფიონი რომ მოვიდა,
ზურნას ვერ ავყეო,
ჯოხი რომ დაარაკუნეს,
ჩამოუარეო;
ქურანი ცხენი მომგვარეს,
ზედ გადავჯექ მეო,
უზანგში რომ ფეხი ჩავდგი,
გადავალაჯეო;
საყდრის კარსა რომ მივედი,
მღვდელსა შავძახეო:
«აბა, ჩქარა, შე სულძაღლო,
კარი გააღეო!»
მღვდელმა წიგნი ვერ იკითხა,
ხელში წავგლიჯეო,
დიაკვანსა გავუჯავრდი,
თავში ვაწყვიტეო,
შარი ვუგდე, ქვეშ მოვიგდე,
ზედ დავაწექ მეო,
საოხრო წამოსდგომოდა,
ზედ ჩამოვეგეო;
ცოტა ავ გუნებად ვიყავ,
კარგა გავხდი მეო...
მაყრიონი არსად ჩანდა,
ცხენს მოვახტი მეო,
გავწიე და წინ წავედი,
არვის ვუცადეო,
დარბაზის კარს რომ მივედი,
ძირს ჩამოვხტი მეო,
წინ ტაბლა რომ მამაგებეს,
ჯამი გავტეხეო,

ჯიხვით ღვინო მამიტანეს,
ის მეამა მეო,
დედამთილი მომეგება, _
პირი ვარიდეო,
პირში შაქარი ჩამიდო, _
თითი მოვკვნიტეო;
შიგნი-შიგან რომ შევედი,
სკამი შევზვერეო,
ზედ ბალიში ავიტანე,
რბილად დავჯექ მეო;
დედამთილსა წავჩურჩულე:
«პური მშიან მეო»,
ერთი მწვადი რომ შემიწვა,
ის მეწყინა მეო,
დავუარე თაროებსა,
ერბო მოვძებნეო,
ცეცხლზე ტაფები შემოვდგი,
კვერცხსაც მივაგნეო,
ასი კვერცხის ტაფამწვარი
მარტომ შევჭამეო;
დედამთილი ვჯოხე, ვჯოხე,
მული ქვეშ ვიგდეო,
იმათი თმების ნაგლეჯი
ბანზე მოვფინეო,
მამამთილსაც ხელი მივყავ,
წვერი ვაგლიჯეო,
იმისი წვერის ნაპუწკი
ღობეს მოვფინეო;
ნეფეს წიხლი მოვახვედრე,
კარებს ვაწყვიტეო,
ერთი კაი შვინდის სახრე
მაზლსაც ვუშხივლეო,
მაზლი კარებს ეფარება, _
ღმერთო, გადავრჩეო...
ორი კვირის პატარძალმა
შვილი ვშობე მეო,
მერე ქალებში წავედი _
დავიტრაბახეო!

ჩემო ნათლიდედაო...

ჩემო ნათლიდედაო,
ღმერთი შეგეწევაო,
ჩემი მონათლული ვაჟი
დიდი გაგეზრდებაო,
შორი გზიდან ნარები ვარ, _
ცოტა მეშივებაო,
ხაჭაპური გამომიცხვე _
ყველი გეშოვებაო,
ჩხავრის ღვინო ამომიღე,
ჭურში გექონებაო,
ყვინჩილაი დამიკალი,
ხარჩვა ნუ აკტებაო,
ვარიკაი ქე გუუშვი _
დედლად მოგესწრებაო,
ცხენსა ჩალე მიმირთმიე,
ზვინზე გეშონებაო...
ჩემო ნათლიდედაო,
ცოტა მეჩქარებაო,
აზნოური ქალი შემხთა,
სახში არ დამხთებაო,
მეზობლებში გედიარდა _
გამიარშიყდებაო,
ახალგაზრდა კაცი ვარ და
თავი მომეჭრებაო...
შენ მოგიკტა ნათლიაი _
კაბა დაგიძველდაო,
გაგიხუნდა ნათლიაი,
ვიღა შეგიკერდაო!

ბაზრობა _ ქალაქური!
მწარე ხახვი _ დიღმური!
ჭურჭელი _ მცხეთური!
ერბო _ მაღალი, წინარეხული!
კირი _ კავთისხეური!
ჭილობი _ იდლური!
ცივწყარო _ ჩივაძიანთ-უბნური!
თეთრი მამალი _ ჩოჩური!
კუდა აზნაური _ მეტეხური!
გრძელი ძილი _ ხანდაკური!
ხველა _ სასირული!

პატარძალი _ გრაკალური!
ჭიდაობა _ გორული!
ღვინო _ ატენური!
სეტყვა _ ხოვლური!
შვინდ-კერკი _ თვალადური!
ცარიელა საბძლები _ ახალციხური!
ჭორი _ ყარაღაჯული!
ჭალა და ჭაობი _ სკრული!
დიდი ზარები _ ზემოხანდაკური!
ტყუილი _ ქარელური!
ქერი _ ერთაწმინდული!
ლობიო _ სასხორული!
კვრინჩხი _ ნოსტური!
სახრავი ატამი _ თეძმისხევური!
შეშა _ წყნეთური!
შავი მელა _ ნიჩბისური!
არშიყობა _ გორული და
ყბედი ხალხი _ ახალქალაქური!

რძალდედამთილიანი

«პატარძალო! პატარძალო!»
«ბაატონო! ბაატონო!»
«ქათმებს ქერი დოუყარე!
დოუძახე! დოუძახე!» _
«ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი, ექვსი, შვიდი, რვაა...
მეცხრე საცხა დაკარგულა,
წოუღია ძერასაო...
ღმერთო, დროზე მომაშორე
დედამთილის ცქერასაო!»

«პატარძალო! პატარძალო!»
«ბაატონო! ბაატონო!» _
«ქათმებს დოუძახე! დოუძახე! დოუძახე!»
«ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი, ექვსი, შვიდი რვაა...
მეთერთმეტე დაკარგულა,
აღარსად ჩანს ნაცარაო...
რა კარგი დედამთილი მყავს _

ღმერთმა არ დააცალაო!»

«პატარძალო! პატარძალო!»
«ბაატონო! ბაატონო!» _
«ქათმებს დოუძახე! დოუძახე! დოუძახე!»
«ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი, ექვსი, შვიდი რვაა...
მეცამეტე რაცხა არ ჩანს,
გადასულა ხნულშიაო...
შავო ძაღლო, შენ მიაკვდი
ჩემს დედამთილს სულშიაო!»

ამ ჩემი მოკლე ჭკუითა
ღამე სჯობიან დღესაო...

ბევრი ისეთი ქალია,
კარგად იშვენებს თავსაო,
კოხტად გაივლის ხალხშია,
ვერავინ დასდებს ბრალსაო;
ყელს მაიღერებს, საყვარლებს
ჩუმად ჩაუკრავს თვალსაო,
ცხვრიდან ქმარი რო მოუვა,
თეთრად აჩვენებს შავსაო:
«მე შენი გამკვირვებია,
როგორ მანებებ თავსაო!»
ცოტა ხნის განმავლობაში
მალ-მალე ჰკითხავს ქმარსაო:
«შენ ცხვარში როდის წამიხვალ,
შემოგევლები თავსაო!
კარგს დაგიმზადებ საგზალსა,
ქათამს გაგატან ცხელსაო»...
ქმარი რო ცხვარში წაუვა,
იბარებს საყვარელსაო:
«ქმარი შირაქში გავგზავნე,
მე დავიბადე დღესაო!
წასვლისას ერთი მაკოცა, _
ვითომც რო რწყილი მკბენსაო.
შენ მირჩევნიხარ იმის თავს,
ამაღამ მოდი ჩვენსაო!
თავქვეშ დაგიდებ მუთაქას,

საბანს დაგხურავ ჭრელსაო,
გვერდს თვითონ მოგიგორდები,
შემოგეხვევი ყელსაო...
ამ ჩემი მოკლე ჭკუითა
ღამე სჯობიან დღესაო!»
დღე თუ ღამე

დღეი სჯობავ თუ ღამეი? _
ხალხნო, მე გკითხავთ ამასა.
ღამე ნიადე კარგია,
დღეი სინათით ძალავსა.
მანათობელი ქვეყნისა _
მზეი ამუა თანაცა,
გააშრობს დილის ცვარ-ნამსა,
მწყერ ყანას ეტყვის სალამსა.
ცხვარ-ძროხა მაეფინება
მაღლა მთას, დაბლა ჭალასა, _
მაგრამ ღამე რო არ იყოს,
ეგაც ღმერთმ დაიფარასა!
ნაქნარსა ქვეყანაზედა _
რამდენ სიუფრეს მალავსა!
რა დადგას ღამის წყვდიადი,
ბევრას უხარის ქალასა,
ძმობილთან წასვლას აპირობს,
ძნელა რო დაიშალასა.
ვაჟიც მოელის სწორფერსა,
არ უცდის პურის ჭამასა,
წავა, გაიგებს ლოგინსა,
გაიბუნბულებს ჩალასა.
გულშია გულის მისნადა,
თანაც კი ფიქრობს ამასა:
«კი არა მამივიდეს რა,
რამე არ შამეშალასა!»
ქალ მიდის წყნარი ბიჯითა,
არ ააჩქამებს ჩალასა,
ამაიტოლებს ბოთლასა,
ჯალაფთად მონაპარავსა.
მოყმე თავს მოიმძინარებს,
«მძინავ», - ატყუებს ქალასა,
ქალ მაინც გამააღვიძებს,
არც ალევიებს ხანასა.

რა შუღამის დრო მოვიდას,
საუბარ გაიშალასა,
ბოთლით დაღლევენ არაყსა,
«გუნება შაგვეცვალასა»,
ყბა რო ყბას გამაეტოლოს,
მკერდი მკერდს შაახალასა,
გაახშირებენ კოცნასა,
პირიდან ნერწყვის პარვასა.
სამადლო საქმეს ვინ იზამს
ქალ-ვაჟთან ელჩისთანასა?
ელჩო, გულ ნუ გაგიტყდების,
ქალ მაინც იტყვის არასა,
ვაჟსაც რო უთხრა, ისიც კი
დაგიწყებს წარა-მარასა,
რა ორთავ ეცინებოდას,
მხარს ხელ წაჰკიდე ქალასა, _
უწინდელ ნაცნაურია,
ნდომას აღარას მალავსა...
ეგ ლექსი დაუბარებავ
კახეთით ალამქარასა,
ბევრაი ამბობს ლექსებსა
ცუდსა და წარა-მარასა,
მართალს ვერავინ გიამბობს,
ფანდურო, ჩემისთანასა.
დღე თუ ღამ, რომენი სჯობნის? _
ხალხნო, მე გკითხავთ ამასა.
ტურფა ქვეყანა თვალით ჩინს,
სიკეთით დღეი ძალავსა,
მანათობელი ქვეყნისა _
მზეი მაუდის თანაცა,
გააშრობს დილის ცვარ-ნამსა,
მწყერ ნანას ეტყვის ყანასა.

ჩალუბანს ქალი მომკვდარა,
სიმონეთს მარგლის ბოსტანსა...
ქალსა _ კაცი ნუ ენდობა
ნურც მკვდარს და ნურცა ცოცხალსა!

აკი გითხარ, დედამთილო,
სარჩული სჯობს საპირესო...
სიცილით რომ მომიყვანე,
ახლა რაღა გატირებსო!

აკი გითხარ, დედამთილო,
ნუ გამგზავნი წისქვილშიო,
იქ ბიჭები დამხვდებიან,
ჩამაგდებენ სირცხვილშიო!

პატარუნა ქალაი ვარ,
ყანასა ვმკი ღულითაო,
ჩემ დედმამათ რა იციან,
ქმარი მინდა გულითაო!

დედაჩემო მზევინარო,
მამაჩემო ღვთისავარო,
დროც არის, რომ გამათხოვოთ,
კაი ოცი წლისა ვარო,
თორემ თვითონ გავთხოვდები,
ქალი თავის ჭკვისა ვარო!

ეს ჩვენებური ქალები
ქარივით მიმოჰქრიანო,
დაგვისხდებიან ბატონად,
სახლსაც არ გამოჰგვიანო,
თითო ყმაწვილს გაგვიჩენენ _

ბუზღუნით გაგვიზრდიანო.

რა ვქნა, რა ვუყო თავსაო,
ამ ჩემს პატარა ქმარსაო?!
არცა აქვს შენახვის თავი,
აღარც მანებებს თავსაო!
ცოტა ხანს კიდევ მოვუცდი,
მერე გავყვები სხვასაო.

ამბობენ კოლექტივებსა,
გამაგონებენ ჭორებსა,
მე უფრო გამიხარდება,
მამიქუჩებენ სწორებსა, _
ერთ ქვრივს მეც ავეყუდები,
როგორც ბაყაყი ყორესა!

ბეჩაო მამასახლისო,
კაცნი კაცადა გთვლიანო,
ზოგნი გიცხობენ ქადასა,
ზოგნი ხინკალსა ჰყრიანო...
მაშინ რას იზამ, არ ვიცი,
მაგ ჯაჭვს რომ ჩამოგხსნიანო?!

მანანის დედა ნანულობს
მანანის გათხოვებასა,
მანან კი არა ნანულობს
ორი აკვნისა რწებასა:
ექვსჯერ _ ბოსელში შესვლასა,
თორმეტის დაბადებასა!

მამამთილო _ იისაო!
დედამთილო _ ბიისაო!
მაზლო, გული მღერისაო,
ძმა ხარ რძლისა შენისაო...
მულო, შენ ამომივარდი,
რომ ხარ გლახა ენისაო!

მოხისში ერთი მღვდელია,
შავ თხას მიუგავს წვერია,
საყდარი დიდი დაუდგამთ,
შიგ ხატი არ უსვენია, _
ქალებზე თვალი უჭირავს,
რომელი უფრო სქელია.

მამაძაღლი ჩვენი მღვდელი
ფინთად აცმაცუნებს წვერსა,
საცა ტაბლას დაინახავს,
იქით მიაჭენებს ცხენსა,
ხორაგს ხურჯინში ჩაიწყობს,
ქოთანში ჩაისხამს წვენსა.

ანდუყაფარ...

ანდუყაფარ სანადირად
საქართველო შაჰყარაო,
შველიც მოჰკლა, ჯეირანიც,
კურდღელმა კი დასცარაო...
«ჩამომეხსენ, მაჩაბელო,
ნუ ხარ გლახა მასხარაო!
ცხენი ცხენსა არ მიხალო,
არ გამიწყდეს ავშარაო!»
მაჩაბელმა გააჭენა
და ცხენი ცხენს ახალაო,

ანდუყაფარ გადმოვარდა
და თავი ქვას ახალაო...
ცოლ-შვილს წიგნი მოუვიდა:
«ანდუყაფარ მამკვდარაო»...
«ანდუყაფარს რა მოჰკლავდა,
თუ ღვინით არ დამთვრალაო!»

გენაცვლე, ლურჯავ ფურაო,
დღესაც იმედო, ხვალაცა,
ხანდახან მაჭმევ ერბოსა,
ხან მახვრეპინებ ხალასა;
თუ შენ სიკვდილი გაბედე,
ყელში გავიგდებ დანასა;
კაცი ხომ ძვირად შახვდება
საქონსა შენისთანასა...
ვინც მე შენს ნაწველს მიქაჯავს,
ვინც მე შენს ნაწველს მპარავსა,
ვინც მინდორთ გწველის ქურდულად,
ძაღლ-ციცა _ იმის მამასა!

ნატვრა

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო:
ოქროს სასახლე ამიგო,
ჭრელის წალკოტით წინაო!
მუხრან-ბატონი ყმად მომცა,
ამილახვარი _ ვინაო!
ჩერქეზის ქალსა აქებენ,
ის გვერდით მომიწვინაო!
კახური ღვინო, წითელი,
მილებით მომიდინაო!
თორმეტი კოდი კორკოტი
ერთ ჯერად გამიჩინაო!
ლალისყურის გალავანი
ჯამად დამიდგა წინაო...
სადაც დიდი ჭანდარია,

კოვზადაც მომცა შინაო.

ჩამოტიროდა ბაყაყი, _
მოსთრევდა ტიტველ ფაშვია,
«დაჯექ, მიამბე, ბაყაყო,
რა ამბავია ფშავშია?!»
დაჯდა დაიწყო ტირილი:
«წასვლა მამერგო ჯარშია,
არცა მაქ ტყვია-წამალი,
არც მაგის სყიდვის ფასია,
ეგების რამე მირჩიო,
დამარიგებდე ჭკვაშია»...
«მე იმას გირჩევ, ბაყაყო,
რომ გადაფრინდე წყალშია!»

ბახამ თქვა, ჭორაიშვილმა, _
მიტენ-მოტენა გუნება:
«ქალს რო დაეტყან ძუძუნი,
შინ აღარ უნდა ბრუნება»...

ბედიანასა მისცემენ
გაბიდაურნი ქალსაო,
ნახანის დაუბერდება,
გამოუცვლიან სხვასაო.

იმას დასჯერდი, კონია,
რაც მამა-პაპას ჰქონია, _
ხორცი ქოთანში უხარშავს,
ქვაბი არც იმას ჰქონია!

ის ურჩევნია მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა,

მამას გრილოში ეძინოს,
შვილი უმკიდეს ყანასა!

დედას გიტირებ, ჯაბანო,
ჩემთვის ლექსების მბარესა!
ერთ ლექსს მეც გამოგიგზავნი
ზარავანდივით მწარესა!

«ქალო, დედის ნებისაო,
შენთან მეძინებისაო»...
«შენ ჩემთან ვინ დაგაძინებს,
თვალნიმც დაგეთხრებისაო!»

«ცარიელაიმც დაგხვდება,
ნეფევ, დედოფლის უბეო!»
«არ იყო ცარიელაი _
ორ თხილის გულა უძეო!»

ჩემო ქმარო, სამიწეო,
აკავანი დამირწეო...
არ თქვა ახლა, მრცხვენიაო, _
ნახევარი შენიაო!

სამი კაცი დუქანს არი:
ნიკო, ლუკა, ლუარსაბი,
ნიკო ლუკას ქალს ურიგებს,
ლუარსაბი უარს არი!

დილით მზე ამოკაკუნდა,
მასკვლავებს გააქვთ ჭრიალი...
ქვეყანაზე რამდენია
გიჟი და ოხერტიალი!

მე რა გავიგო ქალისა, _
ქალი სულ ქალსა ჰგავისა:
თავს ჭრელი დაუხურავის,
ტანთ კაბაც ჭრელი სცვავისა.

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
«აღაპი არის რუსეთსა,
მე წასვლა არ მეზარება,
თუ გამიძღობენ მუცელსა».

ბუთლაი, ბერონაშვილი,
ყოფილა თავის ჭკვისაო:
ახალსოფელში ქალს ირთავს,
ჰკითხავდა არავისაო:
ბევრ მაუვიდა მზითევი,
ფულით აივსო ქისაო,
ტანთაც ლამაზად ჩაიცვა,
ვალ მაიშორა ძლივსაო;
მე ვუთხარ: არაად გინდა,
საფერ არ არის მთისაო,
კახის ქალ არა ჰყოლია
ჩვენს მამა-პაპას ტკბილსაო,
ხო ვერ ჩაგიყრის ხინკალსა,
ვერცა ფაფილად ფქვილსაო!

ბერო, რო რძალი გითხოვავ,
წავიდეთ სანახავადა,
შენ ყაჭით ნაქსოვ ჩაიცვი,
მე შამოვიცომ ტყავათა...
რომელიც კაი ბიჭი ვართ,
შენ რძალ შაგვატყობს თავათა!

მადლიანი ხარ, თამარო,
ადრე დაიგებ ლოგინსა,
კარებს დასტოვებ ღიასა,
წაწალს დაუწყებ ლოდინსა.

ჩემ დაბარებულ უთხარით
ამ ჩემს ძალუა შვენასა:
ნუ გეწყინება, ძალუავ,
შენი ქმარ-შვილის ლხენასა,
შაჰყვარებიხარ ხარიკას,
თეთრფეროვანსა, ქერასა,
მაგას რძე-ხაჭოს უცხელებ,
მე კი პურს მაჭმევ ხმელასა!
ჩაგივლევს უნამუსოდა
მაგდენ პატივის-ცემასა,
გახდება ბუღასავითა,
შენავ დაგიწყებს ჩხვერასა...
თქვენდ იყოს, მდომიარენო,
რასაც ჩემდ იტყვით წყენასა!

მე რომ დედა გამემაკოს,
რა უნდარის ქვეყანასა?!
ვაჟს გააჩენს _ ძმა მექნება,
მამაშორებს ბეგარასა;
მთა-ბარშიაც წილს ჩავიდებთ,
სოფელ გვიზამს ვეღარასა;

თუ ქალს შობს და _ და მექნება,
მოვაქვივნებ მზექალასა, _
რო მოვკვდები, დამიტირებს,
გააკვირვებს ქვეყანასა!

კაწალხევს გადავიარე,
გომურ ავიღე ქირითა,
ხარი მყავს გასაკვებავი,
უნდა გავკვებო თივითა;
თამარიძის ქალ, ციკაი,
არაყს მიზიდავს მინითა,
საბძელში შამამიჩნდება,
როგორც ცისკარი დილითა;
დედა დაუწყებს ძახილსა:
«ციკიავ, ქათმებ ყივისა!»
«მერცხალის მკლავზედა ვწევარ,
დაძეხით ჩემის ჭირითა!»

ვინ მეძახის თხაწვერასა,
ნეხვი იმის სკამ-კერასა!
მამზადებენ საციმბიროდ,
მიპირობენ დაჭერასა;
სამჭედლოსაც დამიკეტვენ,
მიუქმებენ მარჯვენასა;
ჩამომართმენ საქონელსა,
შესაბმელს და საწველავსა, _
აღარაფერს შემარჩენენ
კაცს შვიდი წლის ნატყვევარსა.

მე ფშავლის ქალმა გამზარდა,
მამა ქისტ იყო ძირადა;
დიმიტრი ქასნელიშვილმა
ამტეხა თავის ჭირადა;
განა არ ვიცი, ვინც არი,
წინავ რო იყო გზირადა;

მიგზავნის კაფიეებსა,
არც მე ვექცევი მბილადა...
უთხარით, ჩემთან მოიდეს,
მოვუსაუბრებ ტკბილადა!

ვაჰმე, რა ძნელი ყოფილხარ,
სიღარიბეო ტიალო!
მეექვს-მეშვიდე წელია,
ერთ ახალუხნი მცმიანო,
შიგ მამიკრუხდნენ ტილები,
წიწილაებსა ზრდიანო,
საოცარ ნაშენობა აქვთ,
თითოს რვა ფეხი სხმიანო,
დამართეს სასახლეები,
ადიან, ჩამოდიანო...
«ვაჟკაცი არის, შარცხვება!» _
ამას კი არ იტყვიანო!

მალექსეს ახიელებმა,
ამავუღივარ ძირითა...
ჩამადან-მძივიანებო,
დაზრდილნო ცოდვა-ჭირითა,
როსაც დასძღებით, იცინით,
რახან მოგშივდასთ, სტირითა!

«ყველი მაჭამე, ელიბო,
რად მინდა მწარე ნიორი!»
«ჩემ ცოლ-შვილ რა ყველს გაუშვებს,
ჯარი მყავს ბატალიონი!»
«თევზ მაინც დაიჭიროდი,
ახლო ჩამოგდის იორი!»
«მე სტუმარს იმით დავხვდები,
რაისაცა მაქვს იოლი!»

რო მოკვდება წუწკი კაცი,
გაახვევენ ტილოსაო,
გათხრიან და ჩააგდებენ:
«ემანდ იყავ, შვილოსაო!
ვინაც შენ შენდობა გითხრას,
ღმერთმა შაარცხვინოსაო!»

ბერუაი ყიდულობდა
ყაბალახსა ოსურსაო,
ჩარგალს მაყრად გაჰყოლია
გულის წაწალს ორსულსაო...
ვაჰმე, თვალი ვეღარ მავხკარ
ჩარგლით სახლჩი მოსულსაო.

ბეწინავ, ციბაურთაო,
შორით რად იცი ბარება?!
თოფით რო მემუქარები,
ანკი იცია ხმარება?!
საცა შენ დამდებ ნიშანსა,
შენ ქალიმც დამეფარება!
ტყვიაიმც გაგეჭედება,
წამალიმც გაგეპარება!

ამაგის მალექსებელსა
არ მიბერდება გულია,
კარგ ვიყავ სიახლეშია,
სულით კი არ ვარ კრულია;
მარტო ვყვარობდი ქალებსა
ხევსურეთს გადასულია;
ბევრმა მამართვა ქალამა
წეკვაი დაშაქრულია,

ბევრი გადავსვი მინაი
ჩემ წილად შანახულია...
ბევრ ხევსურის ქალ წავიდა
ომაის გაგაზულია!

მათურით დაუბარებავ
ღვინის სმაშია ქალსაო:
«აიქ და აიქ მიხვიდი,
ბანი რო აბავ ბანსაო;
ყანის წინ დერიფანია,
ლოგინ დაგხვდება მზასაო...
გული ნუ შაგიღონდება,
ცოტა ხანს მარტუასაო!»

ჩიოდა მუშტათ ჭრელაი:
«დამიდიდგულდა შვილები,
ოთხთავ იყიდეს ცხენები,
ოთხივე დაჭედილები;
რუსულებ პალტოები სცვავთ,
გულზე _ მოსკოვურ ღილები;
ქუდები _ ჩერქეზულები,
საპირეჩაგრეხილები,
რატინის _ ახალუხები,
დადიან დადრეცილები...
ას თუმან ადგილში მისცეს,
მე, მამას, მჭამენ ტილები!»

გამშორდი, მამაო მღვდელო,
სულ სადა გკოცნო ხელზედა!
ვაჟის მაყარსა ჰგევიხარ,
რო გადასჯდები ცხენზედა!
ერთხელ თვალივში დამეთვერ,
მათენებინე ველზედა,

წამოგაზიდვის, ხუცესო,
გადაგწმინდოდი წვერზედა...
შენ როცა არაყს გადაჰკრავ,
აღარა ფიქრობ მრევლზედა!
კიდევ ხათრი მაქვს მაგისი,
ჯვარი რო გკიდავ ყელზედა,
არსაქნელ საქმეს გიზამდი, _
მე მღვდელი მკიდავ ფეხზედა!

ფინთნი ხართ მიგრიაულნი,
მარტსა ჰგევიხართ მწარესა,
ხილიანაში რძლებს დასდევთ,
თქვენსას და სხვისას ქალებსა!
ისეთ ნაბიჭვრებ დაგიდისთ,
ჰგვანან ხუთმეტის მთვარესა!
ეგ რო ხელმწიფემ გაიგოს,
გამოგიგზავნით ჯვარებსა,
ბაკურსა, მამას ყმაწვილთა,
დაჰკიდებს ორსავ მხარესა...
ფინთნი ხართ მიგრიაულნი,
მარტსა ჰგევიხართ მწარესა!

მეცხვარის ცოლი ჩიოდა:
«არა მქონია დავლათი!
ჩემ ქმარ თრიალეთს წასულა,
ჩაუვლავ შუა ქალაქი,
უვლავის კახპეებშია,
უძლევავ თითო მანათი,
ჭირი მამჭამოს ოხერმა,
თავ შამაჯავრა ძალათი,
თუკი მაგაზე იქნების,
ახლა ჩემ ღნახას ღალატი:
მეც იმას მოვახვნეინებ,
ვინაც ხელ იცის ჯარათი...

მალიმალ დავიპატიჟა,
მალმალ გაუდნა კარაქი!»

ჯაბან წავიდა ტყეშია,
გამასდგომიყო მელასა,
მელა სოროში შაუძვრა,
თხრის და ვეღარა ჰხელავსა.
«რა არი, ძმაო ჯაბანო,
რასა სთხრი მაგოდენასა?!»
«მა რა ვქნა, შენი კვნესა მე,
უნდა წავიღო თელავსა,
თავისად ჩოხა ვიყიდო,
კაბა ვუყიდო ლელასა,
მივუვალ გაზაფხულზედა
ტიტველსა, ცარიელასა!»

ჭიჩოს დათხოვდნენ ქალები, _
ჭიჩო ბაღდადი ჰგონაო...
მაგათი ასე და ისე
ითრიონ ფიჩხის კონაო!

ბაიაშვილ ქვაზე დაჯდა,
კუპლეტსა წერს პატარასა:
დამიბრუნა ჯეილობა,
ვინატრებდი სხვას არასა.
ღმერთს ისეთი რა ვაწყინე,
რო მხდის ქვეყნის მასხარასა?!
დილას გზაზე დამწვდა ქვრივი,
ვაჭარი რო ბარდანასა,
თითქოს მაგის მზითევი ვარ,
შინ მიპირებს შატანასა.
სიკვდილი სჯობ, ჩემო ძმაო,
ამ სირცხვილის ატანასა,
გადავწყვიტე თავის მოკვლა,

მივდევ სოფლის გზა-შარასა.
დაე, ლეში ძაღლმა ჭამოს,
სული დარჩეს სატანასა.
სიცოცხლე მაშინა ღირდა,
ჯაჭვს რო გლეჯდა, ავშარასა,
ეხლა სწორა ვერა ვშარდავ,
თავქვე ჩამდის ცვარ-ცვარასა!

უთხრა სახლის ანგელოზმა
გარეშამოს ანგელოზსა:
«ეგებ კარგა მაუარო
თავის საყმო-სახელოსა!»
ნეფემ ხელი ჩამოუსვა
დედუფალის საყელოსა:
«ბალღი არი, გალაღდება,
ეგებ ვაშლებ დახელოსა!»

ამ ჩვენებიანთ ქალსაო
თვალები უგავს ცხვარსაო,
ჩამაივლისა წყაროზედ,
კოკას გაიდებს მხარსაო, _
ამოივლის და ჩაივლის,
ბიჭებს მოავლებს თვალსაო.

უფლისციხიდან წამოველ,
გადმოვიარე გორზედა,
რძალ-დედამთილი ჩხუბობდა
ახალშედღვებილ დოზედა...
რძალმა აჯობა დედამთილს _
თავი უხალა ბოძზედა.

ყეინიანთ მიხა არ ვარ, _

ჩავიხედო სარკეშია!
თოთხმეტ თუმან ცხენში მივცე,
თხუთმეტ თუმან სარტყელშია!
ცხრა თუმანი ბეჭედშია,
თითზე ჩამოსაცმელშია...
უკვენ რაღა მივიფარო,
ამ ვალებით სავსეშია!

კარკუჩით წამაიყვანეს
ქალი მაიკო თმიანი,
შვიდი მაყარი გამაჰყვა,
შვიდივე ცხენოსნიანი;
არ მაიშალა მაიკომ
შავი თვალების ბრიალი,
წყალათ ხიდთან რო მავიდეს,
ატყდა ხანჯლების ტრიალი...
ბევრი მინახავს ქორწილი,
ბევრსაც ვარ გადანაყარი,
ის კი არ გამიგონია,
დედუფალს ჰკოცნის მაყარი!

«ბეჩაო ქალის მაყრებო,
თქვენ საქმე არის ცერადა:
დედოფალს ბალღ ვერ უშოვნეთ
კალთაში ჩასასმელადა»...
«მე თქვენ სადედე მაჩვენეთ,
ბალღ გავაკეთო ხელადა!»

ჰოი, მდადეო, მდადეო, _
არ გირქენ, გამომცადეო, _
ეგ ჩემი საწყალი თავი
შენს ძუძუებში ჩავდეო!

□□□□

ნეფეო, ჩემი ძმა ხარო,
მთავარანგელოზს გავხარო,
ღმერთმა ხელი მოგიმართოს,
რასაც საქმესა სდგახარო!

სტუმარო შორიელაო,
ლოგინსა წევხარ ხმელასა,
ადექ და ჩემთან გადმოდი,
ფეხი არიდე კერასა!

რა კარგია ქალთან წოლა,
უბეშია ხელანია!
პატარიკა ძუძუანი
ვაშლის ოდოდენანია!
შემოდგომის ღამეც იყოს,
უმთვარეო, ბნელანია...
ოცი წლისა ვაჟიკაცის
გაგრეხილი წვერანია!

შეგროვილიყვნენ ქალები,
ანგარიშობდნენ წლებსაო:
«რად გვინდა ბერიკაცები,
აცანცარებენ წვერსაო,
ჩვენ გვინდა ჯეელ ბიჭები,
მაგრად შეგვიკვრენ წელსაო!»

«შენა ის კაცი ხვარა ხარ,
რძალთან რო ბალღი შაჰქმენო?!»
«მენა ვარ, შენი ჭირიმე,
ვაკეთებ, არას ვახდენო!»

თრიალეთო, თრიალეთო,
მანდ რო ბერი ტრიალებსო,
თუ ის ბერი არ დაკოდეთ,
ქალებს გაგიტიალებთო!

ის შაიბრალეთ, ქალებო,
იმაზე საწყალ რა არი,
ყელთავქვე დაკიდებული,
ორივე თვალით ბრმა არი,
მივა და იქ გადახტება,
საცა ყველაზე ღრმა არი...
იმითვე დაგასაჩუქრებთ,
თუ გამოიცნობთ, რა არი.

ბევრ ქალ კი შავაყინტრავე
თხილობა-შვინდობაშია,
ბევრას ვათქმიე ქალასა:
«მოგხმარდეს მშვიდობაშია,
ნეტავი შაგეხსნებოდეს, _
ჩავდებდი კიდობანშია».

კარგა ქალა გაუზრდია
მამასახლის ბეწინასა,
დაკვართულა მწყერივითა,
ვინატრი და ვეტყვი რასა:
მაგასთანამც შამაგდებდეს
ტუსაღადა ერთ კვირასა,
რარიგ დუმას ავუწევდი, _
ხევსური რო ჭედილასა.

შავსთხოვე ერთსა ქალასა:
«თუ გაქვ, ნუ დამიმალაო».
თვალით მანიშნა: «ექა მაქვ,
ზედ ყორნის ბოლო ჰფარაო.
დანელდეს ამის მამგონი,
სიცოცხლე გამიმწარაო.
რო მქონდეს შენი იმედი,
მოგცემდი, განა არაო,
მაგრამ შენფერა მუშტარმა
სხვამაც ბევრმ ჩაიარაო,
დღემდი ვერავინ ეღირსა,
ვერცვინ მუხლ მაიყარაო».

«ჩემი ვირიმც გქნა, გიორგი,
ქოჭს დაგადგამდი ტანზედა,
გადაგკიდებდი შეშასა,
გავლევდი ჭაფნაგაზედა».
«ვირი კი არა, ცხენიმც მქნა,
შენ ქერ გეჭმია ძალზედა,
შვიდი წლის აჯილღაი მქნა,
შენს ცოლს ვევლევდი წყალზედა,
ფაფანაგს ამოვსჩვინთრავდი,
გადავახვევდი თავზედა,
მალიმალ წავჭიხვინებდი,
ტოტთ წავასხამდი მხარზედა».

«ისეთ სტუმრის დედაც რა ვქენ,
თორმეტ ხინკალ შასჭამოსო!» _
«ისეთ მასპინძელისაცა, _
სტუმრის ნაჭამ დასთვალოსო!»

«წოწოთ კარატიელი ვარ,

ცოლ-ქალ ვავლევ ქოლგაითა»...
«ქალ ქოლგაით მოარული
დიდიც დავწვი, ცოტაიცა!»

«ღვინო მწყურია, ვერა ვსომ
ჩემი ცოლაის შიშითა!»
«ვისაც აგეთი ცოლი ჰყავს,
ჩემიც დავწვი და სხვისიცა!»

ხვედურელი გოგოები,
ოხერ-ოღრო-ჩოღროები,
ლეღვის ფოთოლს იფარებენ, _
არ შეუძვრეთ კოღოები.

დუშმანსამც დაუღამდება
ავჭალასა და მცხეთასა,
შინაც არავინ შეუშვებს,
პურს არ მოუტეხს ბეჩავსა.

ჩამოვიარე წილკანსა,
თხა მოვაწოვე თიკანსა...
ცოლი ლაშქარში წასულა,
ქმარი _ ერდოზე ტლინკავსა.

ღმერთმა დასწყევლოს ტყვიავი,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
რაც რო მოსავალი მოვა,
მოვა ბატონი, წაიღებს.

ქალაქს-ზევითა სოფლები
ნეტავ ვიცოდე ვისია...
სულ თარხანიანთ ყოფილა
წოდორეთი და ლისია.

რას ვაქნევ შავშვებს, ნაწრეთსა,
ტირიფონაზედ მამულსა, _
ვერ ნახავ წყალსა, წისქვილსა,
ვერცა-რას ხეზედ მაბმულსა!

რას ვაქნევ შავშვებს, ნაწრეთსა,
ნადარბაზევსა ქვიანსა, _
მეჯუდის გორის ჭირიმე,
ირემს ჰგავს ქორბუდიანსა!

ნეტავი თევზი მაჭამა
ქვემო ხანდაკის წყლისაო,
ზედ ღვინოც დამალევინა
მუხრან-ბატონის ზვრისაო!

არ მინდი, ქინძო, ქონდარო,
არც ნიახურო, მხლათაო!
არ მინდი, ნაჯოხის გორო,
არც ქისტაურო, ქმრადაო!

მეჯვრისხევო მშვენიერო,
წყალგაღმითა ვარიანო,
ვისაც კარგი ქალი გინდათ,

ახალდაბას არიანო!

ჩამოვიარე სურამსა _
მარხილი გვერდზე ცურავსა...
აზნაურისა ქალებსა
ყელი მიუგავთ სურასა.

ვარიანი _ ვალიანი,
უტყეო და ქარიანი,
არაშენდა _ გადაშენდა!
თედოწმინდა _ ლეკმა წმინდა!

ანანურს _ ციხევ მაღალო,
საყდარო გუმბათიანო,
ქალო და რძალო ლამაზო,
ვაჟკაცო ლაზათიანო!

კეხველი კაცი მგელსა ჰგავ,
აჩაბეთელი _ ტურასა...
ხეითელები მოდიან _
აფხაკუნებენ გუდასა.

ბაღდადი არის დიღომი,
რომ არ იცოდეს ქარია,
სიმინდი ბევრი მოსულა,
ყველას დაუდგამ ძარია.

მე ხომ ტირძნელი არა ვარ, _
ცერცვი დავთესო გზაზედა!
ყანდაურელიც არა ვარ, _
ძაღლი გავცვალო თხაზედა!

მე ხომ ბოსლელი არა ვარ, _
დათვის შემიხდეს მსხალზედა!
დუმაცხოელიც არა ვარ, _
ჩოხა გამთრევდეს გზაზედა!

მე ხომ კეხველი არა ვარ,
ქათამი დავკლა ქვაზედა!
არც ხელთუბნელი არა ვარ, _
ჩამოვხმე დუქნის კარზედა!

მე ხომ ჩოხელი არა ვარ, _
ჭიანურ ვუკრა გზაზედა!
გახლავარ მეჯვრისხეველი, _
ღვინო დაასხი ჯამზედა!

ლეკიანობა

ხმალს ეტყვის შატილიონი:
ამღის პირდაპირ _ ველია...
სადაც-ვინ შამოგვეყრების,
სუყველა ჩვენი მტერია!

ალაზნის თავსა, კლდის თავსა,
სისხლის წყარონი დიანო,
არცა სმენ მონადირენი,
არც როდის დაშრებიანო;
ის ურჯულონი, დიდონი,
სასმელად ჩამოდიანო,
უკუღმა ჰკმაზვენ ცხენებსა,
უკუღმა შასხდებიანო;
იჭერენ ქართველთ ტყვეებსა,
ხანჯრით ყელებსა სჭრიანო,
დაიქცევიან მანდითა _
დაღისტანს ჩაცვივიანო.

ლეკები

ის მამაძაღლი ლეკები
ალაზანს ჩამოსდიანო,
ჩამოივლიან სოფლებში,
ცოცხივით ჩამოჰგვიანო.

სულ მიწას ჩასცქერს პირკუპრი,
სახე აქვს რკინის ფერიო,
ტანით მცირეა, დაბალი,
გაწყდომაზე აქვს წელიო.
ჩხუბში ავნია რჯულძაღლნი,
იარაღს უძევთ ხელიო,
თუ გააჯავრე, ერიდე,
ტყვია იციან ცხელიო...
სატევარს ენით გალოკვენ,
გახდება უფრო მჭრელიო,
ბალღი რო დაებადებათ,
უნდა შაუკრან წელიო, _
სწორი გამახყვეს მხარ-ბეჭი,
არ დასცინოდეს მტერიო,
თოშიან წყალში გაღბანენ,

ჯანი ექნება მრთელიო, _
უყვარდეს თავის სამშობლო _
ომში _ თოფი და ცხენიო.
ნუმც იხდის...

ნუმც იხდის ხევსურთ შვილები
ნახადსა ბადაისასა,
ორჯერ დიდოეთს გაჰყიდეს,
მესამედ _ დაღისტნისასა...

იქიდან გამაიპარა,
კვალს ვერ გაიგებს გზისასა,
წინ ლეკი შემოეყარა,
სულს ამქრევს ბუსურბნისასა.

«ნეტავ დღე არი, თუ ღამე,
კაცო, მიამბე ღვთის მადლსა!»
«დღეც არი, გურჯო, მზეც არი,
ძალს უქნავ შიმშილისასა!»

«პატარა პური მომეცი,
ცხონებას შენი მკვდრისასა!»
დასვა და პურიც აჭმია,
დანდობას დახე მტრისასა...

ახლა გზას გამოასწავლის:
«საბრძანოს დაჰყე მზისასა,
წითელ კლდეს მარცხნივ დასცილდი,
ბუდესა ვეფხვებისასა!»

დაღესტანს კოშკში ატირდა
ნანა, თორღვაის ქალია...

დაღესტანს კოშკში ატირდა
ნანა, თორღვაის ქალია:
«შენ, მამაჩემო თორღვაო,
წელს ნუღარ გრტყმია ხმალია,
ნუღარ გიხოცავს ლეკები,
ნუმც გიკვლევია გზანია!
მომერგო მეწისქვილობა,

ორშაბათ-ღამე არია;
იქავ მომიხდენ ლეკები,
თავს დამაქციეს ბანია,
იქავ მომიკლეს ძმა ლევან,
სისხლისა დადგა ტბანია;
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ დავაფარე თმანია;
ხელ მოსჭრეს, უბეს ჩამიდეს,
გადამატარეს მთანია;
ავიხსენ საყურ-ბეჭედი,
იმით დავნიშნე გზანია,
მკლავით ვიყარე ზალტები _
მდევართ გაიგონ კვალია...
შენც, ჩემო ქმარო გიორგი,
სად ხარ ამდენი ხანია!
ადექ და ჩქარა წამოდი,
მაღლა შაიბი ხმალია,
აისხი ტანზე აბჯარი,
მხარს გადიკიდე ფარია,
ჩამოდი დაღესტანშია,
ნახე, რა დღეში ვარია!
ჩონგური ხელში დამეწვა,
აწ ვაი ჩემი ბრალია!
ქალი, ქმრის უნაწილოი,
ურჯულოს ვრჩები ცალია!
მაჭმევენ ცხენ-კვიცის ხორცსა,
ლამის ბუსურმან ვარია...
ტყვის სახსარს ნუღარ მოსძებნით,
უნდა მოვიკლა თავია,
თუ დროზე არ მომეშველნით,
სათქვენო აღარ ვარია!»

ვინა სთქვა, ენამც გახმება,
«ჩარგალში ცუდი ყმანია»...
აფხუშო-ჭიჭახევაზე
სამას ლეკს მოსჭრეს თავია;
აფხუშურაზე გამოჩნდა
სისხლისა ალაზანია,
წინ მააქვს ფარი და ხმალი,

უკვენ _ ლეკების თავია.

ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა,
ათი მთა გადამატარეს,
მეთერთმეტე კავკასისა.
ჩერქეზთ მინდორს რომ გავედით,
ნისლი იდგა შავი ზღვისა,
შვიდი ქალი თივას თიბდა,
შვიდივ _ ჩერქეზთ ბატონისა;
შვიდთავ ეჭირათ ცელები,
ცელებს _ პირი ალმასისა!
მარმალილოს სალესვლებით
მკვირცხლად აუწყობდენ პირსა;
შვიდნივ ისე გალობდიან,
როგორც ანგელოზნი ცისა,
არ მენახა, გამიკვირდა
მთიბელობა ქალებისა...
ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა.

ხალიაიძის სიკვდილსა
ნუ იტყვით ლეკებთანაო!
თუ გკითხასთ, აის უთხროდით:
«ქალაქს ას, ბატონთანაო!»
ბატონმ თუ გკითხასთ, უთხროდით:
«ომში ას, სწორებთანაო!»
სწორებმ თუ გკითხასთ, უთხროდით:
«სულეთს ას, უფალთანაო!»

ალიხევო და ტევალო,
შეკრულო ყურძნის მტევანო,
მანდ რომ ქალი დავიკარგე,

განჯას თათარსა ვყევარო;
დღისით მიყრიან ბორკილსა,
ღამით თათართან ვწევარო,
ჯერ რჯული არ დამიგდია,
თავის რჯულზედვე ვდგევარო;
ქალო და რძალო ლამაზო,
სულ ჩემო მოსადევარო,
შაკრიფეთ თითო შაური, _
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო!
სირცხვილი თქვენი, ვაჟებო,
თორო მე კარგა ვყევარო:
ტანთ მაცვავ სიასამური,
წუღა-ქოშებზე ვდგევარო...
ნეტარ ვეღარა გნახავა,
შე საქართველოს მძლევარო?!
ლუხუმი

მზირი შაყრილა გზებზედა
თუშეთის, დაღესტნისაო...
ლუხუმის ამხანიგებსა _
მანდილიმც დიაცისაო! _
გაექცა ამხანიგები,
მჭერ აღარ შარჩა მხრისაო.
მესამე გამოხტომაში
ლუხუმს მუხლ მასტყდა მგლისაო:
გადაუმტვრიეს ხირიმი,
ხმალი აართვეს გმირსაო,
ხელი მარჯვენა მააჭრეს,
წესიც არ იყო მთლისაო...
დაჩეხა თოფის კონდახი
საფიცრედ არტახისაო,
შიმშილით შაღონებულმა
ქუჩი მოძოვა მთისაო,
წყურვილით შაწუხებულმა
ცვარნამი ლოკა ცისაო...
ლუხუმს გველ შამოეჩვია,
მკლავს ულოკს, უკურნისაო,
ორი კვირა რომ გავიდა,
ლუხუმს მუხლ ექნა მგლისაო,
ჭალაისაკენ წამოვა,
ჩხრიალი ესმა წყლისაო,

წყლის პირზე დათვი მოვიდა
დიდი კახეთის ტყისაო,
ლუხუმისაკენ წამოვა,
დათვს სუნი ეცა ყმისაო,
«ღმერთო, დათვს რადღა შამყარე,
ხმალ არ მაღირსე მტრისაო!»
დათვი წყალმ ქვემოთ წაიღო,
წაიღის, დახკარგისაო,
ლუხუმი წყალში გამოვა,
ცურვა სცოდნია წყლისაო...
დაგლიჯა ქერის თავთავი,
ემაგით შანაყრდისაო,
მეორედ მგზავრი შამაჰხვდა
ლეკისა ბაგოზლისაო,
წამაიყვანეს ლუხუმი,
ბოღმისგან ცრემლსა ღვრისაო...
მარჯვენა არ აქვს ლუხუმსა,
მარცხენას ხმაროზდისაო.

არას დაგიდევს ჯამრული,
ამხანიგ წყალს რო ჩაჰქონდეს...
ლეკისა უყვარს მარჯვენა,
რო საშინაოდ მაჰქონდეს.

ილალო, მამის იმედი,
არაგვს ყანასა მკისაო,
გადმეეშლება ლეკები
ურჯულო დაღისტნისაო;
ზოგნ ფეხით მაინადგურნა,
ზოგებს ნამგლითა სჭრისაო,
მაგის დაჭრილი ლეკები
ლეკის მთას გადადისაო,
ადის და ვეღარ გადადის,
პირს სისხლი ამასდისო.

ნაკუდავ, გამაროშვილო,
კახეთს რა გქონდა სავალი?!
ვერცხლი შინ გედვა, ოქროი,
მთას ცხვარი გყავდა მრავალი,
ცოლად გყვა გოისძის ქალი,
მზეი გორისპირ მავალი,
გზაი შეგიკრეს ლეკებმა,
თოფებს უმატეს წამალი...
ნაკუდავ, შენსა მომკვლელსა
ლეკმა ლეკს მისცა სალამი.

ოი, შენ კი გენაცვალე,
ჩემო ანდრია-მჭედელო,
შენ რო ხმალი არ მოგეცა,
ლეკები დამიჭერდენო!

ქართლის ტყვე გამოპარულა,
გამამხდარიყო ზღვასაო;
ნუ ჩაუხდები, მთვარეო,
ნუ ჩაუბნელებ გზასაო!
ნუ გაუყინავ, მყინვარო,
გადასავალსა მთასაო!
ხიდნო, ნუ ჩაუცვივდებით,
გაახდინოდით წყალსაო!
ნუ აუტირებთ დედასა,
გასათხოვარსა დასაო!

ნეტარ, არ გამაჰყიდდესა
თილისძენ გორგის ხმალსაო?!
თუ გამაჰყიდდეს, ვიყიდდი,
მივსცემდი ათას ცხვარსაო;
ჩავდებდი ციხის ლიბუში,

გამიმაგრებდა ქავსაო...
ლიბუში რომ იქნებოდა,
ლეკებს მისცემდა ზარსაო.

ხოგაის მინდი

არხოტით მზირი გავიდა, _
ქისტეთს მიუდისთ გზანია, _
ერთ იყო _ ხოგაის მინდი,
ოთხნი ეტანნეს სხვანია;
ჯერ ჩაავლივნა ჭალანი,
მემრ თვირთვილიან მთანია,
პირიქით გადავიდიან,
მითხოს მაავლეს თვალია;
მინდს სოფლად ჩასვლა ეწადის,
ძმობილ ჰყავ ფიცნაჭამია;
ეგ მიზუ _ აკლებულია,
შიგ ალაჯაის ქალია, _
გამაეგება მინდისა:
«მოსულხართ ჩემნი ძმანია»...
დანდობით ციხეს შეუძღვა:
«ქისტის სტუმარი ხარია!» _
წეს ას _ იარაღნ აჰყარა,
გამაუჯარა კარია;
შენაქოს კაცი აფრინა:
«ჩქარა, გვიჭირეთ მხარია!
მინდი ჩავიგდეთ ხელადა,
სისხლის აღების ხანია!»
საგათენებოდ აივსო
მიზუს ქავციხის კარია,
მოცვივდნენ ქისტის შვილები _
სულხან, ბათაკა _ ძმანია:
«გვაჩვენეთ ხოგაის მინდი,
ბევრი გვიკიდავ ვალია!»
«რად გინდათ ხოგაის მინდი,
წელთ არ არტყავის ხმალია!»
მინდი თავის ძმას ეტყოდა:
«ძმავ, ნუ გატეხით ხარია!»
კვირიკამ, ნანაისძემა,
ციხეში ბანდნა ჯღანია,

ჯერეთ ის გადმაუფრინდა,
ვეფხვმა დახია ჯარია:
«მინდის ნუ მახკლავთ, ქისტებო,
ხელში მიეცით ხმალია!
აბჯარ მისცენით მინდისა,
დააცდეინეთ თავია!» _
მინდის რო თავის ხმალ მისცეს,
არწივმ გაშალნა მხარნია,
თორმეტი მოკლა, მაშინვე
დადგა, ჩააგო ხმალია...
არ დაიჯერეს ძაღლებმა,
შამააწვინეს მკვდარია...
...
ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა,
კაცს, ლომკაცს სული ხდებოდა...
ცხენი იმისი ტიალი,
ლურჯა, ტოტზედა დგებოდა,
ცოლი იმისი ბეჩავი
სანთელივითა დნებოდა,
დედა იმისი ბეჩავი
სულ შავად იმოსებოდა,
ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე ჩადიოდა, ჰქრებოდა,
ჩამოდიოდა ვარსკვლავი,
მთვარე უკუღმა დგებოდა.

ღმერთი გაუწყრეს ხიწოსა

ღმერთი გაუწყრეს ხიწოსა,
გზა ვინ ასწავლა მთისაო!
ბევრისა დედა ატირა,
ბევრისა კაი ყმისაო!
არ დახვდნენ ჩიღოველები,
ქავციხე ჩამოსტირსაო,
იქ დახვდა მთვრალაიშვილი,
თოფს გაუმართავს პირსაო;
ქავციხით ტყვია გამოდის,
ბარეორს შუბლში სჭირსაო,

შააკლდა ტყვია-წამალი,
დაჯდა, ქალურად სტირსაო;
«გამაგრდი, ბიჭო გიორგი!» _
დედა ეტყოდა შვილსაო,
ცოლი იქიდან სტუქსავდა,
ჭკვას არიგებდა გმირსაო:
«ცუდავ, ხმალდახმალ გადადი,
ქნევა ხომ იცი ხმლისაო!»
გადაერია გიორგი,
«ცუდაის» ხმალი სჭრისაო,
ოცი აკაფა ხმალდახმალ,
ნათოფარს ვინღა თვლისაო!
ემაგ ლექსისა მათქომი
დაცა ვარ გიორგისაო;
გიორგის ციხის კარზედა
ჩავიჟღრიალებ ღილსაო...
ცოლადაც დავუჯდებოდი,
თუ წესი იყოს დისაო!

ყმაწვილის მოკვლა
ჭორმეშავს

ხმა სადამ გატყდა ჭორმეშავს:
«არავინ იცის, რაზედა,
ქისტებს ყმაწვილი მოუკლავთ
ჭორმეშავის ძირ წყალზედა...»
გოგოთურ წოვაისშვილი
მივა სახლიკაცთ კარზედა:
«ადექით, თუშის შვილებო,
აღარ გვესხდომის ჯარზედა!
ავდგათ, ჩავიდვათ საგზალი,
შავდგათ სამტერო გზაზედა!»
გამუდგა მძიმე მდევარი,
წამოვა უგზო გზაზედა,
ჩავიდეს ქეშლოს ჭალასა
წუხრ ვახშმობისა ხანზედა,
სოფლადაც ჩასვლა სწადიანთ,
ქისტს ჩამაუვას წყალზედა...
მაჟარი უთურგაისი
გავარდა ფეხის ჩქამზედა,
ნასრევი აბაკაისიც

ქისტს დაეშინჯა ტანზედა;
«ძაღლიკაისიც იქნები,
მალ-მალ წაგლალავს წყალზედა!»
დაბრუნდეს ნასახელარნი,
მალე გადმოვლეს მთაზედა,
წამაასვენეს ძაღლიკა,
შამაახდინეს ბანზედა...
ქისტებს ყმაწვილი მაუკლავთ _
არავინ იცის, რაზედა!
ლომ-ხუზაურნი

თინიბექმ უთხრა მამასა:
«მამავ, შავყაროთ ჯარია,
ჩავიდეთ მათურაშია,
ამოვირეკოთ ცხვარია!»
«შვილო, მათურას ვერ ჩავალთ,
მოკლედ აჭრიან მთანია!»
«მაშ, ხოშარაში ჩავიდეთ,
იქ მრავალ ქალი-დ რძალია!»
«არა, ხოშარას ვერ ჩავალთ,
სახვევიანი გზანია!»
«გოგოლაურთას ჩავიდეთ,
სიმდიდრე იქაც არია!»
«გოგოლაურთას ვერ ჩავალთ,
იქაც ავნია ყმანია,
კიბულს არ ჩაგვაცილებენ
ლომ-ხუზაურნი ძმანია»...
«მაშ, ცაბაურთას ჩავიდეთ,
ბეღელს მოვშალოთ თავია!» _
თინიბექმა და ალეკამ
შეჰყარეს ქისტის ჯარია,
დაესხენ ცაბაურთასა
ბეღელს მოშალეს თავია.
დილა-ადრიან ხუზაურმ
მტრის ლაშქარს მოჰკრა თვალია,
ძმას გადასძახა ლომასა:
«ადეგ, გალესე ხმალია!
ცაბაურთაში ქისტისა
ლაშქარი ჩამომდგარია,
კოჭლას ნუ გააგებინებ,
სად ივლის, ხაიბარია!»

ჯვართანას წყალთან მაუსხდეს
ლომ-ხუზაურნი ძმანია,
არ დაანებეს ქისტებსა
გადასავალნი გზანია,
მარტო მაცნედღა წავიდა
ალეკა, ჯარის თავია.
ალეკას გამაეგება
წინა უნცრუა რძალია:
«მამამთილაო, რა უყავ
თინიბექ, ჩემი ქმარია?!»
«ჯვართანას წყალზე მოგვიხდეს
ლომ-ხუზაურნი ძმანია,
წვიმურა წვიმდეს ისარნი,
ელვად ელავდეს ხმალნია,
კოჭლამ კი ჯვართანას გორით
ბეღელს აკერა მკვდარია,
წამოგვწვდენ მუჭის ღელესა,
მკვდარზე შაყარეს მკვდარია»...
«მამამთილაო, რა უყავ
თინიბექ, ჩემი ქმარია?!» _
ხელახლა ჰკითხავს ალეკას
თავის უნცრუა რძალია.
«თინიბექს ჯიბეს უპოვნეს
დის მზევინარის თმანია,
ზედ დაანათეს ხანჯრები,
დაკუწეს, როგორც მხალია;
იქ დარჩა მუჭის ღელესა
წითლის არაყით მთვრალია;
გვერდით დავუბი ლურჯაი,
ტიროდა როგორც ქალია,
თავით დავუსჭვე დროშაი,
აჟრიალებდა ქარია».

წოვეთში, გიგის ციხეო,
ქვამც ნუ სდებულხართ ქვაზედა!
მოგიხდეს ჭარელთ შვილები,
ალი დაგხვიეს თავზედა.

გამაგრდი, გიგის ციხეო,
ჯაჭვი გადიცვი ტანზედა!

გიგი ცოლს ეუბნებოდა:
«წამალი მიწყე წამზედა,

რომ შემოგვაკლდეს ტყვიაი,
ღილი აიჭერ ტანზედა»...
თოფი მოარტყეს გიგისა
მარცხენა ძუძუს თავზედა,

წაიღეს გიგის სიათა,
გადვიდნენ ლეკის მთაზედა,
ხელიც მოაჭრეს გიგისა,
ჭარს ჰკიდავ ციხის კარზედა...

ამაგ ლექსისა მათქომსა
ქალს ცრემლი მამდის თვალზედა,
გიგის ხელების ნაწვეთი
მაღლით ჩამომდის თავზედა.

როსტომი

გამზრდელიმც დაილოცება
თუშისა როსტომისაო,
ალაზნის თავზე შემოდის,
მწყემსი გვეგონა ცხვრისაო;

გადაიარა ბორბალო,
შიში არა აქვს მტრისაო,
ჩამოდის ქისტის ჭალაზედ,
სწავლა არ უნდა გზისაო;

გავიდა ქორვის მთაზედა
ნამი გაბერტყა მთისაო,
მარტო ჩავიდა ახვაში,
თან კვალი ჩაჰყვა მგლისაო...

როსტომსა, სისხლის მძებნელსა,
იმედი აქვის ხმლისაო,
თოფს არ გაისვრის როსტომი,
გატეხა არ უნდ ხმისაო...

მოკლა ხაწეთა ბათირი,
მამკლავი ძმობილისაო...
გამზრდელიც დაილოცება
თუშისა როსტომისაო!

ავად არს ლომი კოჭაურ, _
კვდების, მორჩების ვეღარავ!
თუშეთის ქედებს გაჰყურებს, _
მთანო, დაგლახავთ ვეღარავ!
დედის ჩაყრილო საგზალო _
ველად გაგიღებ ვეღარავ!
ცოლის ნაქსოვო ჩითებო _
ჯარჩი ჩაგიცვავთ ვეღარავ!
შილდისთავს გრილო წყაროვო _
ზედ დაგაცხრები ვეღარავ!
ამდინ-ჩამდინარ ლეკებო _
გზა ჩაგიჯდებით ვეღარავ!

თუშეთს ვინა ხარ, მოყმეო,
თმაჩამოშვებულ ძმაზედა?!
ჭირით დალიე ზამთარი,
ზაფხულს მოელი ძალზედა;
ბარად ჩამოხვალ, კითხულობ:
«ლეკებ სად დიან გზაზედა!»
«თუ მკითხავ, თუშო, მე გეტყვი,
ჩაუჯექ სტორის წყალზედა».

შატილს გადიდდა ხოხობი

შატილს გადიდდა ხოხობი,
გულდიდად დაჯდა ჯარზედა,
დაზარდა შვიდი წიწილი
არწივის ნაბუდარზედა;

შვიდნივ იზარდნენ ლომებად,
განთქმულნი დაღესტანზედა,
შვიდთავ უყიდა ჩაჩქნები,
შვიდთავ დაჰხურა თავზედა,
შვიდთავ უყიდა ფრანგული _
ხელი მიუდისთ ხმალზედა:
«შვილებო, მიხვალთ საომრად,
ფრთხილად იყავით გზაზედა,
შინამც ნურცერთი მომსვლიხართ,
თუ ვინმ გაჯობათ ცდაზედა,
თუ ის ქალ ახადის ციხით
აქ არ მამგვარეთ კარზედა! _
გზას თვითონ ჩაასწავლიდა, _
ჩაჰყეთო ფშავის წყალზედა...»
ახადს, გოდერძის ციხეო,
მოგადგნენ თენებაზედა,
სიმურგვლივ შემოგიარეს,
კარი გაგიღეს წამზედა;
თუ ეგრე მალე გაგტეხდნენ,
ქვაც ნუ გდებიყო ქვაზედა!
ცოტა ხან როგორ ვერ გასძელ,
ალი დაგხვიეს თავზედა,
გამაიყვანეს პირად მზე,
მოსტირის, მოჰყავთ გზაზედა;
ახადზე ჩამოატარეს,
გახდეს მათურის მთაზედა,
მიდიან, მიშილინდობენ,
მისაუბრობენ ცდაზედა,
წინ ფშაველ შამაეყარათ,
თხის ტყავი სცვავის ტანზედა,
დადგა და კითხვა დაუწყო:
«პასუხ მითხარით წამზედა,
ეგ ქალი საიდან მოგყავთ,
ცრემლი რომ მოსდის თვალზედა?!»
«ქალი ახადით მოგვყავის,
ბეგარ ავიღეთ ფშავზედა,
მაგის საქმარეც აქა გვყავ,
შატილს ჩამოვსხავთ ჯარზედა!»
«ვაჰმე, რა საქმე გიქნავისთ
ლაშარის ჯვარის ყმაზედა!
ბეგარს ვინ აგაღებინებთ,

ცხენისმჭამლებო ფშავზედა?!»
«რამ გადაგრია, ფშაველო,
რამ შაგაწყინა ჭკვაზედა?!
ჩვენ ვართ ხახაბის შვილები,
განთქმულნი დაღესტანზედა!
შენ წერას აუტანიხარ,
მიტომ გვიდგები შარზედა,
გიჯობს, ჭკვიანად წახვიდე,
სანამ თავ გაბამს ტანზედა!» _
«მეც კი გახლავარ ფშაველი,
არ გაგექცევით განზედა,
მოდი, გაუშვით ეგ ქალი,
ნუ გავალთ მუქარაზედა!
თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,
წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა!» _
შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა
ხმლები აანთეს წამზედა;
ეგრე ფრინავდა ფშაველი,
რო შავარდენი ცაზედა;
ექვსს _ წუთში დასჭრა თავები,
მკვდარი შაყარა მკვდარზედა,
მეშვიდეს _ ყურებ დასთალა:
«ამბავ მიართვის ჯარზედა!»
შვიდსავ იარაღ აჰყარა,
აისხა ლერწამ ტანზედა,
თავის იარაღ ქალს მისცა,
უთხრა: «დავ, გასწი გზაზედა,
მამას უთხარი, გოდერძის,
კაცს რა გამოლევს ფშავზედა,
ნუ ეტყვი ჩემსა სახელსა,
ჩვენ ვიყვეთ და-ძმობაზედა»...
«თუ შენი გულისაც იყვეს,
ჩვენ ვიყვეთ ცოლ-ქმრობაზედა...»
ქალი შინ გამააბრუნა,
გაჰგზავნა მამის კარზედა...
გამაეთხოვეს ერთმანეთს,
ცრემლი სდიოდათ თვალზედა.

ბატატი

გარდმოვიტანე ფანდური,

ჩავათამაშე ხელია,
ხევსურეთს ბატატ გაითქვა,
რო წინა დროში ლელია.
სხვა არვინ გამიგონია
ქალი ვაჟების მტერია,
ახლა გამოჩნდა ბატატი,
ბაჩლელ ლელაის ფერია:
«მითხოში უნდა გარდვიდა,
წამოვიყვანო ცხენია, _
სხვაგან არ მოიხელთების
ბატატის შესაფერია.
ტახტის თავითი მიკიდავ
აბჯარი ასასხმელია:
ხანჯალი სპილოსტრიანი,
თავით-ბოლომდე ჭრელია,
ხირიმი დასევადული,
მამპაპეული, ძველია.»
აიმას ამბობს ბატატი:
«თოვლის გაშრობას ველია, _
ქისტეთში უნდა გარდვიდე,
მითხოს ვადინა მტვერია!»
შიკრიკი გამოუგზავნეს:
«ბატატო, დაგვეხსენია,
ძირს ნუღარ გაუნედლებდით,
გახმეს მტერობის ხენია!»
ბატატმ მისწერა წერილი:
«აჩარო მაინც ჩემია!»
მითხოს დაადო ბეგარა,
ცხრა გაუკვეთა წელია.

გაუგავ არხოტივნებსა,
ურჯულო დადგა ძალზედა,
წავიდეს მონადირენი,
შამახდეს ტერღის მთაზედა.
ტერღის-წვერ-გადამდინრებსა
ყორნები დაჰყეფს თავზედა,
შამახდეს არხოტივნები
ქისტებს სასწორო გზაზედა,
ჯერ იქ მოითვრნეს სისხლითა,

აწ ჩავლენ ტერღის წყალზედა...
ბოსელთ აბრუნდეს არწივნი,
ეთელებიან მკვდარზედა.

ბაადოს, ბიძიგიშვილსა,
თუშეთს თუშად სთვლის ვინაო!
დაარჩევს თუში ქისტებს და
გამაუძღვება წინაო.
სამ ძმათა, ბადურიშვილთა,
წუბროვანს უძე ბინაო,
იქ რო მოვიდა ბაადო,
მწყემსურად შამუსტვინაო.
«შარშანდებული სწადიან,» _
ლეგუამ ჩაიცინაო,
გაუდვა სანგალზეითა
გაშავებული რკინაო...
ეძახის ამხანიგები:
«ბაადო, წამო შინაო!»
ბაადო ვეღარ წამოვა, _
სამუდამოთა სძინაო.

ქისტების დასხმა ფშავლების ცხვარზე ანდარუყოს მეთაურობით

წამოვლენ ბარის ქისტები,
დიდ უდგასთ საუბარია,
მაუვლენ ანდარუყოსა:
«დიჩინ, გვიჭირე მხარია!»
ემზადა ანდარუყოი,
ფეხზედ ჩაიცვა ჯღანია,
უბეს ჩაიდვა სუდარი,
ჯალაფთ დასწერა ჯვარია;
მოვიდეს კალოთანასა,
იყვას ვახშმობის ხანია,
მონახეს ქიბიშაურნი _
უღლად ხევსურნი ძმანია;
ქისტურად ჰკითხეს ამბავი;
ერთურთს დაუცეს თვალია, _

ეტყვიან ქიბიშაურსა
გიორგის: «მოგვეც მხარია!»
ემზადა ქიბიშაური,
ვეფხვმა აისხა ბწკალია,
ხკითხევდა ანდარუყოი:
«ფშავლებს სად უდგა ცხვარია!»
«ვიდინათ, ანდარუყოო,
ჯერ მიგვიდიან გზანია!»
შუღამის ხან რო მავიდა,
ქისტებმ მააწყვეს ჯარია,
იეჭვა ქიბიშაურმა:
«რა დროს სტუმრობის ხანია!»
გულში სთქვა: «ქისტო, იცოცხლე,
შენ მოგიმოკლდეს გზანია!»
დაგვიკრა ანდარუყოსა
ობლის ნალესი ხმალია, _
ქიბიშაურის ფრანგულმა
აისხა სისხლის ცვარია...
გიორგი ქიბიშაურმა
შააღო «სუდის» კარია,
«ნაჩალნიკ» გაუჯავრდება:
«ხევსურო, შენი ბრალია!»
«მავხკლავდი, შენი ჭირიმე,
ქისტებმ გაბედეს ძალია,
წელთ მესხა იარაღები,
განათუ ვიყავ ქალია!»
ამა ლექსისა მათქვამი
კალოთანს კოშკში ჰბრძანია...
სალექსო გამომიგზავნე,
გიორგივ, ჯიხვის რქანია!

ჭალაში თუშნი ჩავიდეს,
ნისლი თან ჩაჰყვა ცვრიანი,
ერეკლე შაწუხებულა:
«გზა ვერ გავიგნე ტიალი!»

შამოუძახა თუშებსა:
«აღარვინ ხართა ხმლიანი?!»
ბოღოსძის მაჟარ გავარდა,
ლეკ დარჩა სისხლ-ტიგრიანი.

ბულაჩაურში ჩავხედენ,
ქოფაკი ყეფდა ბაკზედა,
მგელაის ჯარჯო დავლანდე,
ბაკს მაუარა გარზედა...

ლეკი ამხანიგს ეძახის:
«მომეშველენით ხანზედა,
მგელაის ჯარჯოს შავვარდი,
ხმალ მამალეწა თავზედა»...

«ლეკო, ესრ ნუ დავიშლებით,
ნუ გავიყრებით ხმალზედა,
მოდი, გავიდეთ მინდვრადა,
დავბრუნდეთ ხანჯრის ტარზედა!»

გიყვარდა იარაღები,
წელზედ შემორტყმა ხმლისაო,
უბის მასრები გიყვარდა,
თორმეტისა და ცხრისაო,
საპირისწამლეც გიყვარდა
კოხტად გათლილი რქისაო...
უშიშრად ჩამაიარი
საშიში ჭალა ხდისაო.

ამ ძაღლსა მელესიშვილსა,
ამ მგელს და გველსა ჭრელსაო,
შამკობილობა უხდება,
თოფ-იარაღი წელსაო,
კისერი ბუღას მიუგავს,
თვალები შავარდენსაო, _
აშალა დაღესტანი და
წინ წამოუძღვა ლეკსაო,
შემოესია ყვარელსა

ფერიცვალობა დღესაო,
ქალი და რძალი არჩია,
გადაუყენა მთებსაო,
სულ ფეხშიშველი გარეკა
შვიდ ღამესა და დღესაო...
ეს ძაღლი მელესიშვილი
სიტყვას ამბობდა ჭრელსაო:
«საბელადოში აგიყვანთ,
იქ ამოგარჩევთ ერთსაო»...
მოვიდა, გამოარჩია _
ღამეს ანათებს ბნელსაო!

ყარა-ნამაზი

ბორჩალოელი თათრები
ბორნით გამოვლენ მტკვარსაო;
დაჰყვება ყარა-ნამაზი
ალგეთის ხეობასაო,
კითხულობს ფშავლის ფარებსა,
სად აყენებენ ცხვარსაო,
გაიძმობილებს ყვავ-ყორანს,
მის კვალზე ლეში ყარსაო,
ვისაც კი გზად შეეყრება,
მინდორთ გასწირავს მკვდარსაო...
ნუ მიხვალ, ყარა-ნამაზო,
ემანდ ვეფხი წევს გზასაო,
ბევრ თათარ უნადირებავ
ყაყიჩათ გამიხარდსაო...
არ იშლის ყარა-ნამაზი,
მოათამაშებს ხმალსაო:
«რაად მიძოვებ, ფშაველო,
საიალაღე მთასაო?!
იარაღ მამცენ, ყაყიჩავ,
თორემ ხმლით მოგჭრი თავსაო!»
«დამეხსენ, ყარა-ნამაზო,
ნუ მიბოჟირებ ცხვარსაო!
ნუ მიტრიალებ ქეჩებსა,
შირაქში მიმდინარსაო!
ფშავლის ბალღ რისთვის მაჰკალი,
რად მახვევ ცოდო-ბრალსაო?!

შენ დაჩვეულხარ, რჯულძაღლო,
გზაზედ მგზავრების ცრცვასაო,
ჯიბეში ხელის ჩაყოფას,
ხელზე ფულების თვლასაო!» _
გაჯავრდა ფშავლის გაზრდილი:
«ჩემსას გაგაცნობ თავსაო!
არ მოგცემ, ყარა-ნამაზო,
ჩემს ხანჯარსა და ხმალსაო!
არ უბარებავ ჩემს გამზრდელს,
მზევინარს, ყაყიჩთ რძალსაო,
აიყაროდი თოფიცა,
მიაწვადოდი სხვასაო!»
გადაუფრინდა ფშაველი,
ამაეფარა ქვასაო,
თოფ დაჰკრა ყარა-ნამაზსა,
სისხლ ორგნით იქამს ჩქამსაო;
თათარ ცხენს გადმაეკიდა,
შაშვივით აღებს ყბასაო...
ყარა-ნამაზის მამკვლელსა
რად არ აძლევენ ჯვარსაო?!
ეგ რო მაეკლა ყროლ რუსსა,
გახდიდენ აფიცარსაო...
ემაგის მალექსებელი
მათრახს ვუჭრელებ ტარსაო,
ბერდიაი ვარ, ჩარგლელი, _
შირაქს ვაძოვებ ცხვარსაო.

დალიე შასანდობარი
ლამაზის გიორგისაო!
ძაღლისა ლეკის ტანზედა
ხანჯარი იცნო ძმისაო...
შარაში წამაეგება, _
ორთავ ხელებსა სჭრისაო.

ზეზვა

კახეთში ფუნჩაის შვილი
აფხავებს შუბის წვერსაო,
თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს,

ლიტრა ქერს აჭმევს ცხენსაო.
ოსმალში ერთი თათარი
ენას აუბნებს გრძელსაო:
«ბახტრიონს ავჭრი ვენახსა,
ზედ დავასახლებ ელსაო,
არც თუშებს შევეპუები,
არცა ზეზვაის ცხენსაო!»
ეს რომ გაიგო ზეზვამა,
ცხენს მოუმატებს ქერსაო;
«ჩქარა გასუქდი, ლურჯაო! _
გავაზე უსვამს ხელსაო, _
დავემწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო,
თოფს დავცემ, ხმალსაც შემოვკრავ,
დღეს დავაყენებ ცხელსაო...
თავსაც იქ დავდებ ჭაღარსა,
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო!»

ანჯარ, დასტურთა მაურავ,
არწივს ღგავ მაღლის მთისასა.
შაიბნენ ლეკებ-ფშავლები,
ჩამოქცევას ღგავ ცისასა,
გაძვირდა ტყვია-წამალი, _
ხმლით აპირებენ მისვლასა.

გიგლია

ფარსმის თავს მოწყდა ვარსკვლავი,
გირევს დაეცა თავზედა,
ვინა ხარ გულჭირიანი,
დიკლოს ვინ ბრუნავ ბანზედა?!
ზაფხულს ჩამაჰლევ ჭირითა,
სთველს კახეთს წახვალ ცხვარზედა...
ჰკითხავდი საბუელებსა:
«მტერი სადა დის გზაზედა?!»
«თუ გვკითხავ, ვაჟო, გიამბობთ,
ლოპოტს ჩაუჯე წყალზედა!»

ქართლით მაუდისთ ტყვეები,
ქალი მოტირის ძალზედა...
«ქალო, ნუ სტირი, ქართლელო,
გიგლია გიზის გზაზედა,
თუ ლეკებს წაგაყვანინოს,
წვერი ნუმც სხმია ყბაზედა!
ნუმც მიუშვებენ სახლშია,
სწორნი ნუმც დასმენ ჯარზედა!»...

ისტორიულნი

შვიდი წლის ქალი მობრძანდა,
თამარი დედოფალია,
ჩიქილა გადაიქნია, _
გადააქანნა ზღვანია,
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
არ გადმასცილდეს ცვარია!
ლურჯცხენა ყმაწვილ მობრძანდა,
ლაღი ლაშარის ჯვარია:
«ერთურთის პირდაპირ დავდგეთ,
ვიმსახურნოდეთ ყმანია!»
შიბი გაუდვავთ ხიდადა
შორს ზღვებზედ გასავალია.

თამარ-დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიღე,
ისპაანს დავდე ბეგარა,
სტამბულს ხარაჯა ავიღე;
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემკენ მავიღე,
უწყლოსა წყალი ვადინე,
უგზოსა _ გზები გავიღე;
უსიერი ტყე გავკაფე,
ქვაზე საყდარი ავიგე...
ამა საქმეთა მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე!

ლევან ბატონიშვილი

ხმალი სჭრის ბაგრატივნისა
მეფისა ირაკლისაო;
ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ, შვილსაო.
სალეკო შემოამტვრია,
ზვავმა რო წვერი ტყისაო;
წავიდა სარუსეთოდა,
რუსის ხელმწიფე ჰკვირსაო:
«რამ გაადიდა ჭარელი,
ნარჩომი ჩვენი ხმლისაო?!»
ჯარები გამოაყოლა _
დაღისტნისაკენ დისაო...
ლეკთ უფროსები შაშინდა:
«ჩვენკენ რაით იქს პირსაო,
მაგან თუ პირი ჩვენკენ ქნა,
საქმე ჭირს დაღისტნისაო»...
ვინ მაახსენა ლეკებსა
სიკვდილი ლევანისაო?!
მამკვდარა ხორხის ბატონი,
ბრძანება იქნა ღვთისაო...
ემა ქართულის მათქვომი
გლეხი-კაცი ვარ მთისაო:
მტერი ვერ გაულაღდება, _
ერეკლე ცხენსავ ზისაო!

ერეკლე და აბდული

აბდულის კარაულები
ქალაქის ხიდზე მდგარაო,
მანდით აყრილა აბდული,
ქალაქში ჩამამდგარაო,
ერეკლეს კაცსა ულალავს:
«ერეკლევ, ჩემო ლალაო,
გამამილალე სურსათი _
ჩემი ქალაქის ღალაო!»
ეგ რო ერეკლემ გაიგო,
სიცილით გამაძღარაო:
«რა ქნა მაგ წითელ მელამა,
ტყავ კარზე მამიტანაო!»

ვაჟები თიანელები
ჩაეჭრენ კარავთანაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი,
იფრინეს, როგორც ფარაო...
ეუბნებოდეს ოსები:
«კარგი, მთიულო, კმარაო!»
გამოქცეული აბდული
სამშვილდეს ჩამამდგარაო,
წამაეგება დიაცი:
«ბიჭო, რამ აგაჩქარაო?!»
«სუ დამიღუპა ჯარები,
მანდ რო ერეკლე მდგარაო!»

ერეკლე ბატონიშვილი
ნაურვალ ცხენზე მჯდარიყო,
მთლად შემოევლო ხმელეთი,
მაშინღა ჩამომხდარიყო.

მეფის ერეკლეს დროშია
შორს გავრეკნოდი ძროხანი,
წავწოდი, წავიძინოდი,
წავიხურნოდი ჩოხანი.

ერეკლეს სტუმარი

მოდის, მოგელობს,
ღიღინებს ნელა,
ფეხებსა ხლართავს,
უყურებს ყველა.
ჰკითხეს: «სად იყავ?»
«მეფესთანაო,
ისიც კაცია _
ჩვენისთანაო!»

გიორგის ცოლი ატირდა,
იმერელთ მეფის ქალია:
_ ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა,
დაჰნათობს კელაპტარია.
სანამდის იყო ცოცხალი,
პირაღმ აბრუნა წყალია,
თავისი _ თავისი იყო,
მორჩილობდიან სხვანია?
ეხლა სცხვენოდეს იმასა,
ვისაც აქვს მისი ხმალია.
მცხეთას დგას ოქროს კუბოი,
დაჰნათობს კელაპტარია,
შიგა წევს მეფე ერეკლე _
ბაგრატიონთა გვარია!

თუში ვარ, ცხვარშიც კარგი ვარ,
ომში ვსჯობივარ სხვასაო...
ფეხს დავკრავ, გადავევლები
ბახტრიონ-გალავანსაო!

თამარ-მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი,
ათას წყალობას დაჰპირდა.

თამარს უამბო დედამა:
«შვილო, სიზმარი ვნახეო,
საწუთროს ჯამში ჩავხედე,
ქვეყანა დავინახეო, _
შენ გერგო მთელი ხმელეთი _
შაგნებით შაინახეო!»

თამარ-მეფევ, თამარე,
სად ყოფილხარ, თამარე?!
ვის ეომე, ვინ დარისხე,
ვინ დაამხე, თამარე?!
მტერი დაგიმარცხებია,
დავლით მოხვალ, თამარე!
სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ,
ძლევით მოხვალ, თამარე!

ლატალს მობრძანდა თამარი,
ლაჰლას ნათელი მოჰფინა...
«სვანეთი ვაკე მეგონა _
სულ მთა და გორი ყოფილა!»

ბოდავის წმინდა გიორგი
ვაბრძანივარ უღრან ტყესა,
თამარ-მეფემ ამაშენა
სისხლის წვიმის წინა წელსა,
ქვა, ნარიყი, ესრეთ ზიდეს, _
ხელმა მიაწოდა ხელსა...
ოთხი საკირე დამჭირდა,
ძლივს მეხუთე მაბამს წვერსა!

ვახტანგ-მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა,
ალანები დაიფრინა,
ჩერქეზები გადარეკა.

პირდაპირ შემოვხედევდი
ციხის გალავნის პირსაო...
მეფე ყოფილას გორგასლამ,
მშვილდ უჭეხებავ გმირსაო.

ხმალმა თქვა ვახტანგისამა:
ბევრი მინახავს ომია,
ათასი შუბი და ხმალი
ბევრჯერ პირისპირ მდგომია,
უკან არ დაუხევია, _
პატრონი ჩემი _ ლომია, _
დაუკრავს, გაურღვევია,
დუშმანს კისერში სწვდომია!

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია,
საჩალეში გადუგდიათ,
მონადირეს უპოვნია.

ერეკლე, ჩვენი ბატონი,
ერთი პატარა კახია, _
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა მხარი და გახია.

ცა და ქვეყანა დაღრუბლა,
კოკისპირული ღვარაო...
ერეკლე აწყვერს ვერ დადგა,
ჯავახეთს გაეჩქარაო;
ასპინძის ბოლოს გავიდა,

დელიბაშს დაეხალაო...
რუსმა აართვა ღალატი,
ქურდულად გაიპარაო...
ერეკლემ, ნაღალატევმა,
ცრემლები გადმოყარაო:
«მაცადე, ჩემო ბერქვენო,
მაცადე, ჩემო ლალაო,
მე გაგიმართავ დოგუშებს,
თუ ღმერთმა დამაცალაო!»
აშურმიანი ლეკები
უკუღმა წყალში ყარაო.

ერეკლეს, ბატონიშვილსა,
პირს მზეი ეფინებისა,
მოუკლავს კოხტა ბელადი, _
გლეხი არ ეკადრებისა...
შვილი ტყვედ წამოიყვანა,
მსახურად დასჭირდებისა.

ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო,
ალვანში თუშმა გაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა.

ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარია,
აღარ გყავთ მეფე ერეკლე,
გშორდებათ ნაომარია;
დამდგარა ბაირახები,
აღარ ჭეხს ზარბაზანია;
მცხეთას დგას თეთრი საყდარი,
გვერდზე ჩაუდის მტკვარია,
კუბოში ჩაუწვენიათ
ბაგრატიონთა გვარია;

გარდაიცვალა ერეკლე,
შვილებს დასწერა ჯვარია:
«უფროსმ გიორგიმ შაირტყას
ჩემი ნაბამი ხმალია!»

დავით აღმაშენებელი

გიამბობ სიფრიადესა
დავითის, აღმაშენთასა:
მტკიცესა მკლავსა, გამგესა,
ნიჭთა მათ, მოსახსენთასა,
ხიდთა, გზათა და ქსენონთა,
ხანაგათ სპათ საყენთასა!
სწყალობდეს დავით მოძღვართა
ათინით მონავლენთასა,
ათენსა სწვრთნიდეს ჭაბუკთა,
იყალთოს მონასმენთასა!

თამარი

ღვთისშვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედოფალია,
უფლისგან ჰქონდა ბრძანება,
შაერტყა მამის ხმალია,
მამის სამეფო აეღო, _
თითონ ბრძანდება ქალია,
ხმელეთი თვისად მაიგდო,
იმდენი აქვის ძალია,
პირდაპირ უდგას გორზედა
ლაღი ლაშარის ჯვარია,
შაძლებულ მიდგებ-მოდგება,
წელზედ არტყავის ხმალია,
გვერდს უდგას ნისლისფერაი,
ტრედივითა ჰქონ მხარნია,
ოქროს უნაგირ ზედ ადგას,
ოქროსწყლის ლაგმის ტარია;
დალოცვილ შამზადებულა,
დაფანტული ჰყვან ყმანია,
მიეშველება ერთგულთა,
რო იყოს მისვლის ხანია.

ზურაბ ერისთავის
გალაშქრება ხევსურეთზე

დუჟეთს იყრების ლაშქარი,
არ ერგებიან გზანიო,
სასმელად არ ეყოფიან
ბაზალეთურნი ტბანიო,
სადგომლად არ ეყოფიან
თრიალეთურნი მთანიო...
ქვეით, ღულისთავს მოვარდა
ნაკარვებს ცხენოსანიო,
ბაცეს სუმბატას მიუდგეს:
«სუმბატავ, შინა ხარიო?»
«შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,
სამნი გვტანიან სხვანიო,
სკამზე გვიწყვავის ისარნი,
გამოვა ჯორის ცალიო»...
ჯერე ფარ გამაიყოლა,
მემრე შიშველი ხმალიო...
ბაცეს სასისკროდ ატირდა
აჭეს ჩაბაკის ქალიო:
«მიშველეთ, ჩემნო მამულნო,
მტრისა მოგვიხტა ჯარიო,
მამიკლეს თათარ-ქართველთა
ხევსურთ მემეტე ქმარიო!»
საკამატვილოს წამოდგეს
ცხრანი ძიბლანი ძმანიო,
კვათეს ჩაყარეს ისარი
ცხრაჯერ ას-ასი ცალიო,
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,
რო საკალმახე წყალიო...
ვინ იჯექ ღორღლოვანასა,
გაგიწყრ კარატის ჯვარიო,
დაგუბებულსა ლაშქარსა
შენ გაასწავლე გზანიო.
გუდელას დაჯდა ზურაბი,
ატირდა, როგორც ქალიო:
«დამაკლდა სათვალავშიგა
სამოცი ხმალოსანიო!»
«გაიქეც, ერისთვისშვილო,

მოგდევენ ხევსურთ ყმანიო!
აგერ, ღულისთავს გახენე,
მძიმე გადმოდგა ჯარიო!»
რბოლით ჩაკრიფა ზურაბმა
გრძელნი არაგვის გზანიო,
ჩარგლის კართ დახვდა ფშავლები,
აყოლეს სისხლის კვალიო...
ცოლი ეტყოდა ზურაბსა:
«რად არ მოგიღეს მკვდარიო!»

ხევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთვობასა,
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა!

შვილნი ნუმც დამრჩან, ზურაბო,
თუ შენნი იქმან ყმანია,
ურჩევავთ ბატონ-ყმობასა,
ზურგს აიკიდონ ქვანია!

ომი ორწყალში

ერისთავ შაჰყრის ლაშქარსა,
კანჭის ქედს დაგროვდებისა,
სახევსურეთოდ ჰგულავის,
არაგვზედ შამადგებისა;
აკუშოს წინ-წინ მავიდა, _
ხმა ლიქოკს დავარდებისა:
«წყნარად ვიდოდეთ, მინდოდავ,
თორე გზა ჩაგვიგძებისა;
ფშავის ორწყალში ჩავიდათ,
მანდ ომი მაგვიხდებისა,
მანდ მოვლენ ფშაველ-ხევსურნი,
ზურაბიც მაშავდებისა...»
იანვარ წოწკურაული

მშვილდს ძალზე ეზიდებისა,
ელიზბარ ფოცხვერიშვილი
ხმალს _ «გასჭერ!» _ ეუბნებისა...
ერისთვის აზნაურებსა
ყორნებ პწკლით ეზიდებისა.

ზურაბ ხოყანა აიფრა,
ბევრ ვაჟს უტირა დედაო,
ბევრ ქალს გაუხსნა საკინძე _
უკბინა ძუძუზედაო.

არ კადრობს ბაგრატიონი
ზურაბის მკლავზე წოლასა, _
ის კი არ იცის, ზურაბი
ვერცხლსა სჯობ თავის წონასა.

ომი აკუშოს

კალოთგორ ჩამომდინართა
ისართ დასცვითნეს ყიანი,
უქას აწითნეს წისქვილნი,
აკუშოს თავნი კლდიანნი.
ზურაბ ჩასტირის ჩარგლის კართ,
როგორც რო ქალი თმიანი,
მსახურებ ეუბნებიან:
«ზურაბ, ვერ იყავ ჭკვიანი!
აკუშოს რად მიდიოდი,
ჯვარი ჰყავს დობილიანი;
მოგდიეს ვან-ხევამდინა,
მშვილდნი მოჭეხდეს რქიანნი,
მოგდევდესთ, მოგაწუხებდესთ,
ხმალნი მოწკეპდეს ფხიანნი;
წამოგეწივნეს, ზურაბო,
დღე დაგიღამეს მზიანი,
ჩაგიღეს აკუშოს ძირა,
ლოგინ ჩაგიდგნეს წყლიანი.»

უქადებს ერისთვის შვილი:
«ფშავლებს წავართვათ ცხვარიო!»
«თუ ცხვარი წაგასხმეინოთ,
წელთამც ნუ გვრტყმია ხმალიო!
ნუმც გვიტირებენ დედანი,
ფშავისხეურნი ქალნიო!»

მამუკა ქალუნდაური

გადმოდგა სადღვებელაზე
ქუჩუმიანი ფარია,
კითხულობს ქალუნდაური:
«სად ომობს ჩემი გვარია?»
«ბეგენგორს, ქალუნდაურო,
ომს ება შენი გვარია»...
მარტუა ჩაჰყვა ლაშქარსა,
ხოცა ზურაბის ჯარია,
მეთორმეტეს რომ შამოჰკრა,
დადგა, ჩააგო ხმალია...
ომიდან მობრუნებულმა
სამნად ჩაჰყუდნა ქვანია.

ფშავში ამოხვედ, ზურაბო,
ღალას და კულუხს ელიო;
ფშავლებმა გამოგაქციეს,
დღე დაგაყენეს ცხელიო;
სირბილით ჩამოგავლიეს
არაგვის ჭალა გრძელიო...
თვალივის ყელში რო მოხველ,
იქ გაგახსენდა ცხენიო!

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი,
ნაკრებნი შვიდის თვისანი?!
ჩაუშვენ მათურაშია, _

თვალნი გაგიწყრნეს ხთისანი,
დაგიხვდეს ფშავლის შვილები,
გაწითლებინეს ქვიშანი!

შიოლა და მთრეხელი

აქამდე, ღუდუშაურო,
სკამს იჯე ერისთვისასა,
აეხლა გამისხორიგდი,
მსახურს გაფერებ სხვისასა.
არ გაუტიე მთრეხელი,
ხევს მიმავალი დისასა,
ცხენი მასთხოვე, მოგართვა,
მშვილდს რაღად სთხოვდი რქისასა?!
«მშვილდ თაოდ უნდის მთრეხელსა,
ნაპირის ადგილისასა!»
დაიკრიფა და გულს დაგკრა
ბატონსა აჩხვატისასა:
«აქამდე სჭამე აჩხვატი,
ახლა მე გაჭმევ მიწასა!»
გამაბრუნდების მთრეხელი,
დაელნებას ღგავ ცისასა,
მასდევენ ღუდუშაურნი,
რისხვასა ღგვანან ღვთისასა;
მიღმართა ყოვლაწმინდასა,
ნაგებსა ბასრის ქვისასა,
კარ არ დაუხვდეს ღიანი,
ვაბ, დედას მთრეხელისასა!
მივა და შაიხვეწების
ძმისა მამკლავი დისასა:
«დაო, ვერ შემინახევდი,
ცხონებას შენი ძმისასა?!»
«შამოდი, შავო და ბნელო,
თუ სულს ვაამებ მკვდრისასა!
ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო,
ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა!»
კარში რო არ შაუტივნა,
საკმით დაუკვრენ ისარსა, _
ამბობენ ჩამოქცევასა

ახალციხურის კლდისასა...
ვერ შეინახა სტუმარი,
ვაი ვა დედას მტრისასა!

ბედიანაიმც დაჯდების
ლიქოკს ლიქოკელთ ჯარზედა!
სათავეს უსხენ უფროსნი,
აძრახდებიან ჭკვაზედა;
ბოლოში უნცროსებ უსხავ,
ხელებ მიუდისთ ხმალზედა;
უხოცავთ აზნაურები
დაბლა, აკუშოს წყალზედა;
ცხენთა შამახდა მკერდზედა,
მხედართა _ უზანგაზედა, _
უხიდოდ არ გაივალის
იმ სისხლის ალაზანზედა.

თუშთ მოურავსა უბოძეთ
ზურაბის ცხენი საღარი!
ტყავ-კაბა საგინაშვილსა,
ქუდიც ვათაღრის მაღალი!
ბარამ-ბატონსა შახვდება
ზურაბის ქამარ-ხარჯარი...
«საფურცლეს მახკლეს ზურაბი,
ძილ დააძინეს მაგარი».
ზურაბის დაწყევლა

ზურაბო, ერისთვის შვილო,
შვიდსამც წელსა ხარ სნეული,
მეშვიდე წელსამც მახკვდები
სიმამრის ხელმორეული...

გიბარებს სიძეს სიმამრი
საფურცლეს, როგორც შვილსაო...
ხილი მოგართვეს ზურაბსა:
«ზურაბ, შეექეც ხილსაო!»
ჯერ სვი და ჭამე ზურაბმა,

მემრ შეუდექი ლხინსაო...
დაგადგეს მოჩანგეები,
ნანას გეტყვიან ტკბილსაო,
მოგისხდეს მოღალატენი
მძინარეს ყურის ძირსაო,
ხმალი გცა თუშთ მოურავმა:
«დახკარით კახპის შვილსაო!»
ხანჯარ ხკრა ყორჩიბაშიძემ
ბეჟანმა გულის პირსაო...
სამუდმოს, გაუღვიძებელს
დაგაძინებენ ძილსაო!

შენ, გიო ამილახვარო,
გუნება-თაღლითიანო,
ხან აქეთა ხარ, ხან იქით,
საითაც ქარნი ქრიანო!

შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო;
ფერეიდნამდე იარეთ,
ისპაჰანს გზები ლახეთო;
გახსოვდეთ ენა ქართული,
ის კარგად შაინახეთო...
ვისაც გიწიოთ სიკვდილმა, _
ქართულად დაიმარხეთო!

რუსეთში არხოტიონსა
რუსულ ქუქუნაკ სცვავისა,
რუსულა ქუდი დამხურეს,
შუბლში ლიშანიც ხკრავისა.
ამაგის მალექსებელი
სრუ გოსპიტალში ღგდავისა...
არცა-რა მარტუაი ვარ,
ხალხი სხვაც ბევრი ხყრავისა.

ერთს კიდევ ვიტყვი სიტყვასა,
მოდით, დამიგდეთ ყურია:
არ მოგწყინდათა, ქართველნო,
რუსთ მეფის სამსახურია?
კაც, მაგათ ხელში ნამყოფი,
სრუ დამწვარ-დადაგულია...
ცოდვიანიმც ხარ, ხელმწიფევ,
შენიმც სახელი კრულია!

დროება გამოიცვალა...

დროება გამოიცვალა,
კაცი სრუ ყველა ხკვირსაო,
რუსეთით მოდის ამბავი:
«ნიკალა დასცეს ძირსაო».
ბევრის ცოდვისა მომტანო,
მშობელ გაგიწყრა ღვთისაო,
გეწია ცოდო ქართვლისა, _
ცოლ ნაწოლი გყავ სხვისაო!
ომი წააგე, დაგემხვა
სამეფო ეშმაკისაო!
უცხო რად გვინდა ბატონი
ადგილსა ქართველისაო?!
წინავაც გვიბრუნებია
ლაშქარი მრავლის მტრისაო,
სცოდნია მამა-პაპასა
ამომღერება ხმლისაო!

ქრისტინე მჭადიჯვარელი

იქ რო ბებერმა საქმე ჰქნა,
ის არ უქნია სხვასაო:
ორი ბელადი მაუკლა
მანდ შაყრილ დაღისტანსაო...
ღმერთო, აცხონე ბებერი, _
წავიდა თავის გზასო.

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ჭრელსაო:
«ახმეტას ავჭრით ვენახსა,
შიგ ჩავასახლებთ ელსაო!»
შაიტყვეს თუშის შვილებმა,
მაღლა შაირტყმენ ხმლებსაო.

ზეზვა გაფრინდაული

ჭირსაც მავხპარავ ზეზვასა,
გაფრინდაულის შვილსაო;
საც ომში დაეტანების,
მარცხნივ და მარჯვნივ სჭრისაო,
საც არა სტანავ ზეზვაი,
ლაშქარი ცუდად დისაო.

გაგიორგულდა, ზეზვაო,
გაფრინდაულო, ცხენია _
არმად მაგექცას, ლურჯაო,
პატრონის ნაჭმევ ქერია!
რად წაექეცი პატრონსა,
რად გაულაღე მტერია!

ამილახვარსა გივსაო,
ციხე უდგია ქვისაო,
შავა და შიგ დაიძინებს, _
შიში არა აქვს მტრისაო.

ზეზვაო, გაფრინდაულო,
თუშო, მოკლეო ენითა,
ცივ-გომბორს გადმოგატარეს,
ნებას დაჰყევი შენითა;
ჩამოგიყვანეს ქალაქში
ძუაშეღებილ ცხენითა,
მოდიან თათრის აღლარნი,

თვალით ვნახოთო ჩვენითა...
ზეზვა რად გინდათ, ძაღლებო,
მკვდარია თქვენის ხელითა!
იქ უნდ გენახათ, ბახტრიონს,
ბრუნავდა ლურჯის ცხენითა,
მოგდევდათ, მოგაწუხებდათ,
მოგჩხვერდათ შუბის წვერითა...
დიდი ალვანის მინდორი
ლეშით აავსო თქვენითა!

ხმალმა თქვა: ლეკმა გამჭედა,
ქართველმა მლესა ფხაზედა,
შამკიდეს სააკაძესა,
მაკურთხეს გმირის ტანზედა;
მაგარმა მაჯამ ჩამიგდა,
მალაღა ქვეყანაზედა,
მიმაგდის ჯაჭვ-მუზარადზე, _
ვწიოდი გველის ხმაზედა.

იამბე, ციხის ნაშალო!

იამბე, ციხის ნაშალო,
რა დრო გაქვს გამოვლილიო,
ვისი რა აგებული ხარ,
ვისი რა ჩამოშლილიო!
სიტყვა სთქვა ციხის ნაშალმა:
«საქმე ვქმენ გასაკვირიო, _
შალვაის აგებული ვარ,
რკინისა მედგა ძირიო,
დღედაღამ მყარაულობდეს,
მშვილდს აჩქამებდეს გმირიო.
ხმლის ქნევა, ფარის ფარება,
ჯაჭვის პერანგი გრილიო,
ჩემი მკერდი და ფერდები
სულ სისხლით ჩამოსვრილიო,
მერჩოდა, ვერას მაკლებდა
ზურაბ ერისთვის შვილიო».

აქამდე, ღუდუშაურო,
სკამს იჯექ ერისთვისასა,
ახლა კი _ დარუყებულხარ,
მსახურს გაფერე სხვისასა!

ვიყავით ცოტინიკანი

ვიყავით ცოტინიკანი,
ადგილ გვეჭირა ხმლითაო,
ვხოცილვართ სიუჭკოვითა
და ძაღლით ზურაბითაო...
აისივ ფეხზედ დავმდგარვართ
და ვცხოვრობთ სისხლის ღვრითაო!

ბევრჯერ ეომა ზურაბი
მაქ ქუდნისლაის გორსაო,
ებრძოდა, ვერას აკლებდა
სამხარაულსა ლომსაო, _
სამხარაულის ლაშქარი
გაჩვეულია ომსაო!

ალექსანდრე ბატონიშვილი

ჩვენს ბატონს გასჭირვებია,
წითლად ჩაუხდენ მზენია,
გიორგი ჩოლოყაშვილო,
ეგეც ნაქნარი შენია!
შე ქვეყნის მოღალატეო,
მოგედვას ცეცხლის გენია,
თავის სისხლ-ხორცი გაჰყიდე,
იუდის საქმა ჰქენია,
ყაზახებ გამამიყენე,

დღე დამაყენეს ძნელია!

მეფე ერეკლე და
დათუნა ბოსტაშვილი

ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა
შეჰყარა დიდი ჯარია,
ორპირ ქიზიყი აავსო,
ხელთ მისცა წინა მხარია.
ალაზანს გაღმა გავედით, _
პატარა ნაბახჩარია, _
ნაბახჩარს ჩასაფრებულა
ჭარ-ბელაქნელთა ჯარია;
მივედით, გავაქციენით,
როგორც ნადირმა ცხვარია,
ბატონს კი ცხენი მოუკლეს,
ფერდში ჰკრეს ზარბაზანია.
დაიქვეითა ბატონმა,
ხელთ აქვს შიშველა ხმალია,
ეს ბოსტაშვილი დათუნა
კარგ ბედაურზე მჯდარია,
გადმოხტა, ბატონს მიართვა:
«გენაცვლოს ჩემი თავია!»
ცხენზე შებრძანდა ბატონი,
ქვეშ უქრის ნიავქარია,
ერთი მათრახიც გადაჰკრა,
ქიზიყს ამოყო თავია,
გუმბათის ბოლოს კითხულობს:
«ეს ცხენი ვისი არია?»
«შენი ჭირიმე, ბატონო,
ბოსტაშვილისა არია!»
«ეგ კაცი ქალაქს მომგვარეთ,
თუ უნდა საჩუქარია!»
დათუნა ქალაქს ჩავიდა,
ეხვევა დედოფალია:
«შენი ჭირიმე, დათუნავ,
შენ გადმირჩინე ქმარია!»
აზნაურობა უბოძა,
მამული საკუთარია.
გირავს ჩამადგა მუცალი

გირავს ჩამადგა მუცალი,
დიდი მუცალის ჯარია;
თუშებს მასთხოვეს ბეგარად
სოფლად ნარჩევი ქალია;
მირგვალს დაგროვდა თუშები,
დიდ დადგა საუბარია,
ზოგთა თქვეს თუშთა: «მივსცოდეთ,
მტერმ დაგვაყენა ძალია»,
ზოგთა თქვეს: «მოდი, ნუ მივცემთ,
ჩვენც გავლესოდეთ ხმალია»...
ხახონის ქალმა, ნანამა,
ხუთნი დასწყივნა ძმანია,
ციხეზე გადმაუფრინდა,
გადმააფინა თმანია:
«ან მიპატრონეთ, თუშებო,
ან ქალს შამარტყით ხმალია,
გავალ და გადავერევი
ლურჯ პერანგიან ქალია,
თქვენ შაგრცხვენდებისთ, ვაჟებო,
რო ვინ მინახნას თმანია!»
ცხენს ჰკაზმავს ბიჭი ლაგაზი,
საისკე მიმავალია?
სუ ღამით ჩამაიარნა
დიდნი თუშეთის მთანია,
შუაღამისას გააღა
თელავს გალავნის კარია.
შამასწყრა ლევან-ბატონი:
«რა დროს სტუმრობის ხანია!»
«ჯერ მკითხე, მერე გიამბო:
მტერმ დაგვაყენა ძალია,
ეხლა თუ მოგვეშველები,
ვიქნებით შენი ყმანია!»
წამადგა ლევან-ბატონი,
იძახა თავის ჯარია,
აივსა მამლის ყივილზე
თელავს გალავნის კარია...
«ბატონო, ანდარეზაი
ნუ გყავის პატიმარია,
გაუშვით, ომში გვჭირდება,
ვეფხია, მეომარია!»

გაუშვეს ანდარეზაი,
გაუღეს ციხის კარია,
ხელთ მისცეს მაშხალაები:
«გაინათოდით გზანია!»
...
გირავის ჭალას შამორბის
ყმა ლურჯის პერანგითაო,
მუცალ კარავში აკაფა,
ნაკუდარაის ხმლითაო;
გაიქცა მუცალის ჯარი,
ქალივით ატირდისაო;
მიზდევენ თუშიშვილები,
წკეპა ამადის ხმლისაო;
დამარცხებული ლაშქარი
ფარსმის თავს გადადისაო...
მუცალის ცოლი კითხულობს:
«მუცალმა რაღა ქნისაო!»
«მოგიკლა ანდარეზამა,
ყორნებს ამააქვთ ბწკლითაო.»
«ვეუბენ, არ დამიჯერა,
ქალმა ვაჯობე ჭკვითაო,
თუშეთს ნუ წახვალ, ცუდაო,
არამც ვინ დაგხვდეს ხმლითაო!»

ბჭობა
არხოტისა და ღილღოს შესარიგებლად

დავჯდები, დავსაგონდები,
ხანია ლექსის ბეჭდვისა,
კიდევ გამასთქვამს მერცხალი,
როსაც რო დაითვრებისა...
შაყრილა კაც-შუაკაცი, _
ადგილს ტერღისკარს ვეტყვითა, _
იმთვენა ღილღვებ მოსულა,
ცახცახ გაჰქონდათ ყბებისა,
ორ-სამგან ცეცხლი დავაგზით,
ცხვრებიც დავხოცეთ, თხებიცა,
გიორგიობის ღამეი
სუ თეთრად გათენდებისა;
მავიდა ჭეგაიშვილი,

ძაღლივით იღერღებისა,
ეგრე მაგრა კი ჩიოდა,
ხარ რო ხარს ეჭიდებისა;
ქისტებს სამ-სამ ცხვარ უთქვამის,
მიმცემ ვინ იყო ერთისა!
სისკარათ იონეური
ქაღალდში რასამ წერდისა,
ფიცხელათ ნაროზაული
წითელ გველივით ქშენდისა.
ამბობენ, ფარეშაშვილი
დვირბინით იცქირებისა,
აქეთ თათარა მოვიდა,
აივსა ჯიბგირებითა,
ხელში «ბერდენკა» უჭირავ,
არ ვიცი, რა იქნებისა.
იძიეს, ვეღარ მახელეს,
ფიჭვის ძირებში ძვრებისა,
გულმოსულს ვეღარ ვაბრუნებთ,
იქისკენ იზიდებისა,
აბეჩავ, არხოტივნებო,
მაგარს პირზედ კი სდგებითა!
ჭალაზედ ქავი გაღმართეთ,
ქორიც ვერ გაფრინდებისა,
შიგ გისხავთ მეთოფეები,
«ბერდანკაები» ტყვრებისა,
თუ სამ გამოვა ლაშქარი,
ჭალა მკვდრით აივსებისა,
სისხლის წყალმ უნდა წაიღას
ხიდებიცა და გზებიცა...
გამაგრდით, არხოტივნებო,
გატეხით რა იქნებისა!
ვინაც მაკვდების, დავღმარხათ,
სხვა კიდევ გაჩინდებისა,
ხმა შორად გაგვივარდების,
მტერი ქვე დაშინდებისა!

საყმაწვილონი

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა, კარგი სწავლითა,
სახლი გაუხარებია!

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო!
საქმე რომ არა გქონდეს-რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო!
გადგიშლი წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ბევრსაო...
გიმღერ და შენცა გამღერებ,
ლექსებს გასწავლი ძველსაო.

ნეტამც არ დაგძინებოდა,
ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა!
ჩამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს მაღლა მთაზედა.

მელია და მამალი

ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარი დგებაო,
ეს ჩვენი წუწკი მელია
საომრად ემზადებაო.

წავიდა, იქ მიცუნცულდა,
სადაც მამალი ჯდებაო:
«პატარა ხორცი მიბოძე!» _
ალერსით ეუბნებაო.

«შენ ჩემს ხორცს როგორ შეირგებ, _
ყელს ძვალი დაგადგებაო!
ერთს ისეთს დავიჭყრიალებ,
სოფელი შეიყრებაო,
ჩემს პატრონს კარგი თოფი აქვს,
მეხივით გავარდებაო...»

«მეც კარგად ვიცნობ შენს პატრონს, _
უყვარს მუცელზე გდებაო,
თოფი კაჩხას უკიდია,
ჩახმახი უჟანგდებაო,
რომც მუგუზალი დაადოს,
მაინც არ გავარდებაო!»

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა!

კურდღლის სიზმარი

კურდღელმა თქვა: «ჩირგვში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო;
გავიხედე სერზედაო, _
ბატონი ზის ცხენზედაო,
წინ მეძებრები მოუძღვის,
დაგეშილი ჩემზედაო...
დამისიეს, გამომიდგენ,
გავექეცი გვერდზედაო,
აღმართში ხომ მე ვაჯობე,
იმათ _ დაღმართ სერზედაო,
ერთმა წუწკმა მეძებარმა
კბილი გამკრა ფერდზედაო;
გამწიეს და გამომწიეს,
ჩამომკიდეს ცხენზედაო,
მზარეულებს მიმაბარეს, _
«კარგად შესწვით ცეცხლზედაო!»

ცალი გვერდი ალზე იწვის,
ცალი ნაკვერჩხლებზედაო,
უყურეთ ამ მსუნაგებსა,
რა ყოფა აქვთ ჩემზედაო!
ამარიგეს, ჩამარიგეს
წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,
ხორცი ხორცად შემიჭამეს,
ძვლებს იმტვრევდენ ცერზედაო».

მოდი, ვნახოთ ვენახი!

მოდი, ვნახოთ ვენახი,
რამ შეჭამა ვენახი?!
მიველ, ვნახე ვენახი _
თხამ შეჭამა ვენახი...

მოდი, ვნახოთ თხა,
რამ შეჭამა თხა?!
მიველ, ვნახე თხა _
მგელმა ჭამა თხა...
მგელმა _ თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ მგელი,
რამ შეჭამა მგელი?!
მიველ, ვნახე მგელი _
თოფმა ჭამა მგელი...
თოფმა _ მგელი,
მგელმა _ თხა,
თხამ ვენახი შეჭამა...

მოდი, ვნახოთ თოფი,
რამ შეჭამა თოფი?!
მიველ, ვნახე თოფი _
ჟანგმა ჭამა თოფი...
ჟანგმა _ თოფი,
თოფმა _ მგელი,
მგელმა _ თხა,
თხამ ვენახი შეჭამა...

მოდი, ვნახოთ ჟანგი,
რამ შეჭამა ჟანგი?!
მიველ, ვნახე ჟანგი _
მიწამ ჭამა ჟანგი...
მიწამ _ ჟანგი,
ჟანგმა _ თოფი,
თოფმა _ მგელი,
მგელმა _ თხა,
თხამ ვენახი შეჭამა...

მოდი, ვნახოთ მიწა,
რამ შეჭამა მიწა?!
მიველ, ვნახე მიწა _
თაგვმა ჭამა მიწა...
თაგვმა _ მიწა,
მიწამ _ ჟანგი,
ჟანგმა _ თოფი,
თოფმა _ მგელი,
მგელმა _ თხა,
თხამ ვენახი შეჭამა...

მოდი, ვნახოთ თაგვი,
რამ შეჭამა თაგვი?!
მიველ, ვნახე თაგვი _
კატამ ჭამა თაგვი...
კატამ _ თაგვი,
თაგვმა _ მიწა,
მიწამ _ ჟანგი,
ჟანგმა _ თოფი,
თოფმა _ მგელი,
მგელმა _ თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

საბრალო დედაბრისასა

საბრალო დედაბრისასა
თაგვნი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა
და ვეფხვნი შეუკვრიანო;
ირემნი ურემს უბიან,
კალოსპირს ძნასა ჰყრიანო,

შველნი კევრებში შებმულან,
კალოს გარშემო რბიანო,
ზედ ანგელოზნი უსხედან,
წვრილ ხმაზედ დასძახიანო;
ჭინკები მარდად უქცევენ,
ნამკალსა გაჰფოცხვიანო,
ტახნი მისწევენ კალოსა,
მელები კუდით ჰგვიანო,
წერონი ანიავებენ
და ბატნი დაჰკაზმიანო;
დათვებს ჰკიდიათ ტომრები,
ორმოში პურსა ჰყრიანო,
მგლები წისქვილში გაგზავნეს, _
პურს მალე დაუფქვიანო...
შაშვი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს,
კაჭკაჭნი ამოჰქნიანო,
მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა
და გვრიტნი ამოჰყრიანო;
ვარიები ამზადებენ,
იხვნი სუფრასა შლიანო;
ზეცას ტოროლა გაგზავნეს, _
ფრინველნი მოჰკრიბიანო:
«შენს მადლსა, ჩხიკვნი არ გვინდა _
ტკბილს სუფრას აგვიშლიანო!»
სილამაზითა ხოხობნი
შუაში ჩაისვიანო,
ბულბული გალობისათვის
სუფრის თავს დაისვიანო;
საწყალი ბერი ქედანი
ბოლოში მოიგდიანო...
ერთად სმენ, სჭამენ, ლხინობენ,
ჰარალეს დასძახიანო.

დათვის სიზმარი

დათვმა თქვა: «სიზმარი ვნახე,
რაც რომ თავს გადამხდებოდა:
სიმინდი ბევრი შევჭამე,
ხილად არ გამიხდებოდა;

მეღორის ტყეში გადაველ,

იქ ღორი მეგულებოდა,
ერთი ბურვაკი შევჭამე,
შხამადაც შემერგებოდა;

სოფელზედ გადმოვიარე,
სოფელი ჩოჩქოლდებოდა,
სოფლის ბოლოს რომ გავედი,
ვიცოდი, არ შემრჩებოდა, _

ლამაზ-ლამაზი ბიჭები
თოფ-იარაღში სხდებოდა,
მაღალ-მაღალი მწევრები
სულ ფეხის ბწკალზე დგებოდა;

წამამაყარეს ისარი,
სიკვდილი მომწყურდებოდა,
გამიგდეს ისეთ მინდორში,
თვალი ვერ გადასწვდებოდა;

ჩამაგდეს ისეთ ხევ-ხუვში,
ქორი ვერ ჩაფრინდებოდა,
იქ დადგა სისხლის მორევი,
ზედ ნავი მოცურდებოდა...

მოფრინდა ყვავი, ყორანი,
ჩემი სისხლითა თვრებოდა;
ორბებმა გამინაწილეს,
სვავი ძვალ-ძვულით ძღებოდა».

ჩიტი იძახს: «წიო!
კალოს პირას ვზიო!
მარცვალაებს ვკრეფო,
კუჭმაჭაში ვყრიო!
წისქვილაში ვფქვავო,
მოვიტან და ვცრიო!»

ნანა ნინო-ქალასაო,
აჩუჩუნებს ჩალასაო,
ძილი მოსდის თვალასაო

ანგელოზის ცალასაო.

იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავნანინაო!
იას ვარდი რით სჯობია,
იავნანინაო!
რით უფრო მშვენიერია,
იავნანინაო!
სილამაზით ყაყაჩო სჯობს,
იავნანინაო!
ყანა დაუმშვენებია,
იავნანინაო!

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი მამკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში _ არ კმარიყო!

შენ, ჩემო ღორო, ქედაო,
ცამეტი შვილის დედაო!

შენ, ჩემო ღორო, ქედაო,
ცამეტი შვილის დედაო,
საბალახოზე გაგიშვი
კვრინჩხების ბოლოზედაო?

მესამე დღეა, არ ჩანხარ,
სად ეშმაკში ხარ ნეტაო?!
ვაი, თუ მგელმა შეგჭამა,
ჭრელი გოჭებიც ზედაო...

ნეტავი, ღორო, გიპოვნო,
მოგაჯდე ქეჩოზედაო,
მოგცხო და მოგცხო კომბალი
მაგ დინგის ნესტოზედაო!

საწყალი მელა ჩიოდა...

საწყალი მელა ჩიოდა:
«არ მომივიდა ძილია,
ერთსა საქათმეს მივაგენ,
გამოვუთხარე ძირია,

იხვსა, ბატსა და ქათამსა
ყველას გავკარი კბილია,
შემიტყო მაგის პატრონმა, _
ძაღლი ჰყოლოდა ფრთხილია, _

უკუვიხედე, მომდევდა
პატრონი გზირიშვილია,
მხარზე გაედო კომბალი _
გათლილი შინდის ძირია,

გადმომკრა, გადმომიშხივლა,
ლამის გავასხი ტვინია;
დავჯექ, დავიწყე ტირილი:
«ვაჰმე, ცოლი და შვილია!

ცოლი მალე გათხოვდება,
ობლები დამრჩა წვრილია...
ობლებიც დაიზრდებიან, _
თავი დავკარგე გმირია!»

ეესო, მეესო...

ეესო, მეესო,
მელი ჩიოდესო:
«ჩემთვის ტყეში მივდიოდი,
ძაღლით დამკვლიესო;
გავიქეცი, გამომიდგენ,
სოროს შემაგდესო,
შემომაბოლესო,
შიგ გამომაღრჩვესო;
კავი შემოყვესო,
გამომათრიესო,
მაღლა დამკიდესო,
ჩამომატყავესო,

ურემს დამიდესო,
ქალაქს წამიღესო,
ამატარეს, ჩამატარეს,
ფასი ძლივს დამდესო,
სომეხს მიმყიდესო,
გამაქათიბესო,
ქალ-ბნელს მიმართვესო,
ყელს შემომავლესო,
გამადედოფლესო,
ნეფესთან დამსვესო!»

ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ
ჩვენს ეზოში დილ-დილასო,
ვერ წამართმევ, არ გაგატან
ჩემს პატარა წიწილასო!

სერზე მიდის სამი მგელი,
ტუჩმოკლე და კუდაგრძელი,
ერთმანეთს ეუბნებიან:
«ჭალას არის ლურჯა ცხენი,
ერთმა დაურბინოს თავსა,
ორმა _ გაჰკრას გავას ხელი,
პატრონს კაცი გავუგზავნოთ:
«აღარ გინდა თივა-ქერი!»

ბატონი ბირახი (მგელი)

ბირახმა ჩამოიარა
თავისი დიდი ჯარითა,
მურია გამოუვარდა,
როგორც ხევსური ფარითა...
მურია წამოიყვანეს
ყმუილითა და ზარითა.

ვხედავ მეცხვარეს
ჯოხით მხარზედა,
წინ უძღვის ცხვარსა,
მიდის მთაზედა,
სალამურს უკრავს
ზარის ხმაზედა,
ცხვარიც მეტი ჰყავს
თავის თმაზედა.

სიკვდილმა ჩამოიარა

სიკვდილმა ჩამოიარა,
ბერკაცი დახვდა შინაო,
შაუჭახუნა ბერკაცმა,
სიკვდილი შააშინაო...
იმას გამოსცდა სიკვდილი,
ობოლი შახვდა წინაო:
«მე მამკალ, ჩემო სიკვდილო,
ობლობა მომეწყინაო!»
«შენ არას მოგკლავ, ობოლო,
შენი პატრონი ვინაო?
არა გყავს დამტირებელი,
არც სუდარი გაქვს შინაო!
მე კახეთისკენ მივდივარ,
მეტის ბოღმისგან ვგმინაო,
გამრავლებულან ცხრა ძმანი,
უნდა შაუხდე შინაო,
ისინი უნდა გავყარო,
თავთავად მივცე ბინაო,
თავთავად ლოგინ დავუგო,
თავთავად დავაძინაო!»

სიზმარი

«წუხელი საზმარი ვნახე,
ნეტავ, დედავ, რაო? _

ალვისხე რომ წამოიქცა,
ნეტავ, დედავ, რაო?» _
«შვილო, შენი ტანი არის,
ვაჰ, შენს დედასაო!» _
«ხეს რომ ტოტები მოემტვრა,
ნეტავ, დედავ, რაო!» _
«შვილო, შენი მკლავებია,
ვაჰ, შენს დედასაო!» _
«ვაზს რომ ფურცელი სცვიოდა,
ნეტავ, დედავ, რაო?» _
«შვილო, შენი ქოჩორია,
ვაჰ, შენს დედასაო!» _
«წყალს კიდობანი მოჰქონდა,
ნეტავ, დედავ, რაო?» _
«შვილო, შენი კუბო არი,
ვაჰ, შენს დედასაო!» _
«ეზოში ძროხა ბღაოდა,
ნეტავ, დედავ, რაო?» _
«შვილო, დედაშენი არი,
ვაჰ, შენს დედასაო!» _
«ტყეში ირემი ჰყვიროდა,
ნეტავ, დედავ, რაო?» _
«შვილო, მამაშენი არი,
ვაჰ, შენს დედასაო!»

«დედავ, დედაშვილობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!»
«მე შენ არას გენაცვლები,
მამა გყავს და... ინაცვალე!»

«მამავ, მამაშვილობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!»
«მე შენ არას გენაცვლები,
დაი გყავს და... ინაცვალე!»

«დაო, დაო, დაძმობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!»
«მე შენ არას გენაცვლები,

ძმაი გყავს და... ინაცვალე!»

«ძმაო, ძმაო, ძმათძმობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!»
«მე შენ არას გენაცვლები,
ცოლი გყავს და... ინაცვალე!»

«ცოლო, ცოლო, ცოლ-ქმრობასა,
«სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!»
«მე შენ არას გენაცვლები,
საყვარელ გყავს... ინაცვალე!»

«საყვარელო, საყვრობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!»
«გენაცვლები, შენსა მზესა,
გზა საით არს _ მიმასწავლე!»

ნარჩევი ვაჟების ჩახოცვა

სიკვდილმ თქვა: «არ დავიჯერებ,
ნაბრძანებს ვიქამ ხვთისასა,
სათავით ჩამავხყვებოდი
ბოლოს გამავალ წყლისასა,
ჩავხოცდი არხოტივნებსა,
ნარჩევს ვაჟებსა მთისასა _
გაბუურთ ალუდაურსა _
შავსა ღრუბელსა ცისასა,
მინდიას თეთრაულისძეს _
წელ-შუ მუშასა სმისასა,
მარტიას შუქიაურსა _
ხმლით მჭერელს ადგილისასა,
ბადათ მაუკლავ ბადასა _
ყარაულს ზენ-უბნისასა,
უშიშას ოჩიაურსა _
მგელსა, მჭამელსა მტრისასა,
აქუათ ქასას მავხკლევდი,
თესლს დავლევ არწივისასა,
ალიათ ბაბღის მავხკლევდი,
მშინეს ბევრაის მტრისასა,
ამღას ბერდიას მავხკლევდი,

გმირსა წინაის ჟმისასა,
ახლებში თამარისძესა _
ვეფხვს, ვეფხვს მავხკლევდი კლდისასა,
ჩანგლათას ბაჩაყაურსა,
მთვარესა თხუთმეტისასა», _
სიკვდილმ თქვა: «სულეთს ჯარს დავსხამ
ნარჩევის ვაჟებისასა,
წინითი ჩხუტსა ჩამავდგამ,
კოშს ჩამურიგებ რვლისასა...
უწინ მას დავალეინებ,
ვინც მაღლა შაჰკრავს ისარსა»...
ნარჩევი ქალების ჩახოცვა

სიკვდილმ თქვა სატიალემა:
«შავივლი ჭალაისასა,
შავხდები ბარისახოსა,
მუსრს ვიქამ ქალაისასა:
ბეწუკელთ მავხკლავ ძილასა,
მასკვლავს მოვსწილავ ცისასა;
ემა ბეწიათ დედიკას,
ცისკარსა თენებისასა;
ბაბუათასა ლელასა,
მთვარესა ხუთმეტისასა;
მზევინართასა შუქიას,
ჭკვა-გონსა ქალებისასა;
ბაძიათასა ნანუას,
მნათესა სოფლებისასა...
მაიას არას მავხკლავდი,
დღეთა შავსწევდი სხვისასა,
თითისწვერებზე მავალსა,
მწიგნარსა ტალავრისასა».
სიკვდილო, უსამართლოო!

სიკვდილო, უსამართლოო,
არ აიღებდი ქრთამსაო?!
თუ აიღებდი, _ მაჰკრებდი
ფშავს კომლზე უღელ ხარსაო!
ცხვარს, ცხვარს მოგცემდეს ფშავლები,
შაგითეთრებდეს მთასაო!
თუ აიღებდი, მოგცემდი
მეც იარაღსა რვალსაო!

ცხენსაც მოგცემდი, სიკვდილო,
შავრას დავსწერდი ჯვარსაო...
თაოდ ვარ რკინის მჭედელი,
ოთხსავ დაგიკრავდ ნალსაო!

ქალმა თქვა: ვნახე სიზმარი
დამდეგს ენკენის თვისასა,
ცა წითლად, ყვითლად ელავდა,
სეტყვას ისროდა ქვისასა;
ბაღში მიმტვრევდა ხეხილსა,
ტოტებსა ალვის ხისასა,
ხელში მიქრობდა სანთელსა,
ჩამოქნილს კელაპტრისასა;
თავზე მაქცევდა ჩარდახსა,
დახურულს ყავარისასა, _
ვნახე და კიდეც შავესწარ
სიკვდილსა თავის ქმრისასა.

ვაი, შენ, წყალო მდინარო,
ცივო ტუმბოო მთისაო,
შე თეთრის ცხენის ჩამთქმელო,
ზედ ლაღის ჭაბუკისაო...
ვინ არის გამომტანელი
ქუდის და მათრახისაო?!

შავეთში ჰკითხეს მოყმესა:
«მოჰკვდი, ქონების რა გერგო!»
«ნეტავ კი ჩემი დღეის დღე
მე სიცოცხლეშივ გამეგო!
ის ჩემი ციხე-დარბაზი
ზედ შუა გზაზე ამეგო,
გამვლელის, გამომვლელისთვის,

ყველასთვის კარი გამეღო,
მშივრისთვის _ პური მეჭმია,
მცივანი _ ცეცხლთან გამეთბო...
ამდენის ცოდვის მოქმედსა
სული მით მაინც მამეგო!»

სიკვდილმა ბრძანა: ნუ დამწყევთ,
არ დავალ მე ჩემს კვალზედა,
ხვთისგან ვარ გამწესებული,
ვარ იმის ბრძანებაზედა:
მე რო არ ვიყო, სიკვდილი,
კაცნ გაივლიდეს ცაზედა,
დიჩინთა, ამპარტავანთა
ვინ მაიყვანდა ჭკვაზედა!

ატირდნენ თუშის ქალები

1

თუშებს დახვივნა გორზედა
შავნი ღრუბელნი ცამაო,
თორმეტი თუში დალივა
ერთის ფერდაის ზვავმაო.
ბევრმა ჩაბერტყა ქოჩორი
ლამაზის ქალის ქმარმაო,
ნეტარ რაი ჰქნა დიდომა,
უშიშაისძემ ხარმაო?!
გაფრინდა, ვერ გაეხვეწა,
შორით მაუჭრა ზვავმაო...
«რად არ დაგვლივა მტრის ძალმა,
ან კაი ვაჟის ხმალმაო,
რად ჩამოგვყარნა ტიალმა
ამ უდაბურმა მთამაო?!»

2

ატირდნენ თუშის ქალები;

«დაგვიგვიანდნენ ქმარები,
ვაБ თუ დაუხვდნენ ლეკები,
დააყრევინეს თავები!
რა უყვათ ცხენ-ოხერებსა?!
ჩანაყეს ნალ-ლურსმანები!»
ზოგთა თქვეს: «ბოსელთ შავყარათ,
გამაუჯარათ კარები!»
«მინდორთ გავუშვათ, _ ზოგებმ თქვეს, _
იქ ცვითან ნალ-ლურსმანები!»
ზოგთ კიდევ: «უკუღმ დავხკაზმათ,
ზედ თავად შავსხდეთ ქალები,
გადვიდეთ ხევსურეთშია,
იქ ავირჩიოთ ქმარები!»

მკვდარი დობილი

წამავედ მინდორშიითა,
ლურჯაი მყვანდა ჩქარიო,
ნადობის კარზე შამავხე,
კართაზე მამჩეს თვალიო.
ნადედობ გამამეგება,
თვალცრემლიანი არიო,
დაჯდა, დამიწყო კითხვაი:
«როგორ გავიდა ცხვარიო?»
«ცხვარან კი კარგა გავიდეს,
ჩემ ნადობ როგორ არიო!»
«შენ ნადობ როგორ იქნების,
სამის კვირაის მკვდარიო!»
ჩამამეშალა ხელ-მუხლი,
დამედვა ოფლის ცვარიო:
«ეგიმც არ გეთქვა, ბებერო,
ის გეთქვა: «სხვაკან არიო»,
იქავ მოლოდინ მქონიყო, _
მოვა სადაცა-ღ არიო».
დავბრუნდი დაღონებული,
ცრემლით დავრეცხენ გზანიო,
ნადობს მავართვი გარმუნი,
მანათ გავიღი სამიო,
ნადედობს _ სატყავკაბეი,
თავზე სახური შალიო...
გავხენე, გადაშლილიყვა

თორმეტ ბინაის ცხვარიო,
საგონის გონობაშია
ჩამომლევიყვა ხანიო,
გაზაფხულზედამც დამლევდა
ალაღებული წყალიო!
ან ზვავიმც ჩამამაგდებდა,
რო დალხვებიან მთანიო!

სულეთისა

სულეთში ბეწვის ხიდია,
ხიდი, სავალად ძნელია,
ძირს, ხიდქვეშ დუღან ქვაბები,
კუპრი გამოდის ცხელია.
ბჭენი სხენ ხიდის ყურზედა,
მართლის სამართლის მქნელია,
ქალს, ქმრისა მოღალატესა,
მოსდეს ცეცხლი და გენია,
ობოლ შვილთ დამყრელ დედასა
უბეს ჩაუსხნეს გველნია,
სამან-საზღვრისა ამრევსა
ზურგზედ მახკიდეს კლდენია...
ობოლ შვილთ გამზრდელ დედასა
შემოაგებეს ცხენია,
დედ-მამის დამფასებელსა
ია და ვარდი ჰფენია.

ჯოჯოხეთისას გიამბობ,
სათქმელად საზარელია,
კუპრი დუღს, ალი ამოდის,
ქვეშ უკიდია გენია;
ამხანაგის მოღალატეს
ყელზე ჰკიდია გველია,
მამულისა მოღალატეს
პირს უჯის მორიელია.

დავღონებივარ სიკვდილსა,
სიმძიმეს სიპის ქვისასა,

ამხანაგთ მოშორებასა _
დაბნელებასა მზისასა.

ბრალია, გუჯაის შვილო,
მიწაში იწვე მკვდარია,
სპილენძის კუბო არ გედგას, _
ჩამოგდიოდეს წყალია!

შავეთზე ჩამოვიარე,
შვიდპირად იჯდა ჯარიო,
დავჯექ და ამბავს ვკითხავდი,
შავეთი როგორ არიო...
«სხვაფრივ ყველანი კარგად ვართ,
გველებმა გვიყვეს ძალიო,
შამოგვენგრივა საფლავი,
შამოგვედინა წყალიო;
ბევრს ვაჟკაცს ჩამოეშალა
როსტომისანი მხარნიო,
ბევრსა ქალასა ლამაზსა _
შვიდ რიგად ნაწნავ თმანიო.»

დალაი

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო!
დალაი! დალაი! ძნელია დალაობაი!
ბრალია, მეფე ერეკლევ,
შენი ულაშქროდ სიკვდილი!
დალაი! დალაი!
ჩვენ ნუვის შევატყობინებთ
მეფის ერეკლეს სიკვდილსა!
დალაი! დალაი!
ლაშქარს გიკითხვენ ლომები,
ომში არ წაგვიძღვებია?
დალაი თქვით, დალაი, მხედრებო!

დალაი! დალაი!
მტერთან _ ხმალამოღებულო!
ლაშქარს _ თავგამოდებულო!
დალაი! დალაი!
ჭკვიანო, საქცივლიანო!
გამბჭეო, მოსამართლეო!
დალაი! დალაი!
იმედო თავის ქვეყნისა,
გამრიგევ საქართველოსი! _
დალაი! დალაი!
ნეტავ შენ, სულეთს შემსვლელო
მტრედისფერაის ცხენითა!
დალაი, დალაი ვთქვათ, მხედრებო!
დალაი! დალაი! _
ძნელია დალაობაი!!!

ათათა, ბიჭო...

ათათა, ბიჭო, ათათაჰაე,
ათათაჰაე, ბალაჰაეო...
გადიდებულხარ ვაჟკაცაიო,
გამკვირებიხარ სამუკაიო.
სკლატის ცმა როდი იცოდიდიო,
შენ ლეგა ჩოხას იცომდიდიო,
ქედს არავისთან მოიხრიდიო,
ქუდაი გვერდზე მოიგდიდიო,
ადიდებულსა ღგვანდი წყალსაო,
ვერგასავალსა ცხენისასაო,
პირკვამლიანსა ღგვანდი თოფსაო,
ხმა-ძალიანსა სიათასაო,
პირდაფხაულსა ღგვანდი ხმალსაო,
ფრანგულსა სისხლში დაჩვეულსაო,
მგორიალესა ღგვანდი ქვასაო,
მთაჩიით ჭალას გავარდნილსაო...
შენ გინდან შენფერნ მატირალნი,
შენის კაცობის დამფასავნიო,
წვიმათოდენი გინდან ცრემლნი,
მასკვლავთოდენი სათვალავნიო...
ათათა, ბიჭო, ათათაჰაე,
ათათაჰაე, ბალაჰაეო!

დედის ნატირლები

დღეო, გადიდდი, ნუ ჰღამდები, _
დედაშვილნ ერთურთს ეყრებიან...
შვილო, მიდიხარ, აღარ იშლი,
უნდა გამოგყვე მენაც თანა...
შავეთში დაგაქორწილებენ,
თავზე დაგხურვენ შავს გვირგვინსა!
იქაურ ქორწილ რად ირჩივნე!
შენ საპატარძლო აქ სამ არი,
მტირალს მიყურებს შენს დედასა!
გადმოდგეს წინა, თუ გული აქვს,
მოგვცას ნუგეში დაღუპვილთა, _
შვილო, შვილობა გაგვიწიოს!

დედაშენს რა აქვს სატირალი,
სატირალი აქვს თემ-სოფელსა!
ხმალსა რო ჰგავდი გალესილსა,
ციხესა რკინისკარიანსა...
უშენოდ დარჩა თემ-სოფელი,
ციხე-გალავან-მორღვეული...
ახლა მე იმას გეხვეწებით,
მამკლავს ნუ დასწყევთ ამისასა, _
მამკლავის მამკლავ ესეც არის!

ხალხო, რად გიკვირთ, გიჟი რო ვარ,
რო ვარ გიჟი და დახელთილი!
შვილი დავკარგე ქვეყნის სწორი,
სახე ცრემლით მაქვს დასეტყვილი;
გული მაქვს, გული, დაგლეჯილი,
წეღან აქ ვინამ დამაყვედრა:
«სუყველა შენი ბრალი არი, _
სიცოცხლე თავად გააჩინე,
სიკვდილიც შენივ შვილი არი!»

კოწიწათ ქალი არა ვარა?! _
მწივანი თავმწვეტ გველივითა!
დამწყიოს წმინდა გიორგიმა!
მე იმდენ ყისმათს ვინ მამცემდა,
სამ-სამი ქალი გამესტუმრა,
ორ-ორი ვაჟი მექორწინა,
მეზიდნა საკვლეველეები,
ჭრელ ფარდაგები მექსოვინა,
მერე მზითევში გამეყოლა...
დედა ენაცვლოს ჩემ ქალებსა,
ჩემს ნინოსა და მარიამსა, _
ვზივარ ორ-კუბოთ-შუაშია!

ბეწიკუა ხარ, შაგენაცვლე,
შეგაშინებენ უცხოელნიო,
შემოგეჩვევის სურიელიო,
დაიგებს შენს თმათ ლოგინადა,
დაგასხამს გულზე წიწილაებს,
გველია, ბოლოს მოიბრუნებს,
დედის ძუძუი არ გეგონოს, _
არ მოჰკრა პირი უმეცარმაო!

«ცეცხლშიით ცეცხლში დავაბიჯებ,
მიშველე, ჩემო გიგათ ქალო,
მე ოროლი ძმა გავისტუმრე,
ოროლი შვილი ერთ წელშია,
ვაიმე, ჩემო გიგათ ქალო,
მიშველე, აგრემც გენაცვლები!»..

«შენ ვერას გიშველს გიგათ ქალი,
თავადაც უჭირს გიგათ ქალსა!
თორმეტის შვილის გამზრდელია,
თერთმეტის შვილის გამსტუმრები.

მეთორმეტე და მეცამეტე _
დედამთილი და მამათილი,
მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე _
უფროსი ძმა და იმის შვილი, _
სამ წელში მიწას მივაბარე,
მე ისევ დავალ სამზეოსა!..
შენ ვერას გიშველს გიგათ ქალი,
თავადაც უჭირს გიგათ ქალსა!»

ნეტავ მაქცია სიკვდილადა, _
სიკვდილსაც თავის შვილი მისცა,
ამივიყრიდი იმის ჯავრსა,
დავაკვნესებდი ჩემსავითა!

ნეტავი გაემარჯვა ღმერთსა,
შავეთსამც მისცა, შავეთს კარი,
რო შვილებისად თვალ დამევლო:
ჩემ სანათაი როგორ არი...
თამარ ვერ გაიზრდებოდაა
გასათხოვარი ნეტავ ქალი!

გორგიო, დედა შაგენაცვლა,
ბერის ჯიხვის რქათ გიგავნ წვერნიო,
ბევრაის დედა აატირე,
აეხლად ტირის დედაშენიო.
გორგი, შენა ხარ უთურგათი,
შენ სიკვდილ ქისტებს გაუხარდათ,
იყავ მითხოელთ ნიაღვარიო!

გაგორდი, ოქროს აკავანო,
გაფრინდი ქორის წიწილაო, _
ციხეში შეიჭუჭკენ მხარნიო...
ვიტირო, როგორ არ ვიტირო:
თაოდ მტირალსა ყმაწვილასა
სულეთს ავლევენ ტირილითა _
მეძებს დედას და ვერ მხელავსა.

ამაიარე გომეწარი,
გადმაიარე ლაღისთავი,
ჩამაიარე კალოთგორი,
დაემშვიდობე მთელ მთა-ბარსა...
ვაიმე, შვილო, კაი შვილო,
კარგ მაინც არა ჰყოფილიყავ,
არ გიტირებდი, დედილამა...
შვილო, ვინ მოგკლა, ბეწინტურო,
შე ხორხის მცველო ფალავანო?
ვინ ჩადგა, ვინა ცოდვაშია?!
ციხეს შაგვიხსნა რკინის კარი!
ამხანაგები ართუ გყვანდენ,
რად იყავ, შვილო, მარტუაი,
ჯანის იმედზე მინდობილი...
ხმალო, ვადაში გადამტყდარო,
დედის იმედო საფიცარო,
შვილო, გულს ნურას შამაიყრი,
მკვდარი სჯობიხარ ცოცხალს ბევრსა!
ვაჰმე, რა მკვდარი! ცოცხალი ხარ,
ტკბილადა გძინავს დაღალულსა,
ჭიუხთ მაგარი მუხლი უნდა,
დაგიცვდენ განა წრიაპები?
დაისვენე და დაიძინე _
გამაიღვიძებ ისივაცა...
ისე შენ მამკლავმ გაიღვიძოს!..

ნეტავი მოკლა მარჯეკალი _
ჩემი ხოშარას გამთხუები!

მე ხო ხოშარას ვერ ვიცხოვრებ,
პურსა ვერა ვჭამ ქერისასა, _
წმინდისასა ვარ დაჩვეული!
წყალსა ვერა ვსვამ გუბისასა, _
მდინარესა ვარ დაჩვეული!
ტვინსა ვერა ვკრეფ შვილისასა,
სისხლსა ვერა ვკრეფ მასრაშია,
ხორცთა ვერ ვაწყობ ერთურთზედა,
ვერ ვიხვევ უბე-კალთაჩია...
სამკალს ვერ ვივლი ბალღიანი,
ბრაწზე ვერ ვაბამ აკავანთა, _
მოხდება ტიალ მიწისძვრა და
ბაწარს გამიგლეჯს, აკავანნი
დაგორდებიან, ჭალას ჩავლენ,
ჩავდგები შვილის ცოდვაშია!
სანამ მე ჩავალ ჭალაშია,
მანამ ყორნები ჩამასწრებენ...
როსნამდე ვიყო ტირილითა,
როსნამდე ვკრიფნე ბალღის ხორცნი,
როსნამდე ვხვივნე კალთაშია,
როსნამდე ვაწყვნე ერთურთზედა?!
ჩამქოლეთ, ჩემო მოტირალნო,
ამის მეტს გეტყვით ვეღარასა!

დედილამ, შვილო, დედილამა,
ამას კი გეტყვის თავის დედა:
შენს მამკლავს ცოცხალს არ ვავლევდი:
ხეს რომ მეეკალ, ხეს დავწოვდი,
ქვას კი რა ვუყვა, ქვა-ოხერსა?! _
დავტეხო, უფრო გაბევრდება...

დედა ენაცვლოს ჩემს ლევანსა:
შვიდ კვირას იყო დაკარგული,
თოვლი ჰგებიყო ლეიბადა,
ზეითაც საბნად ჰხურებიყო,
დიდ ხეთაც შაეფარა თავი, _
ხეთაც დედურად შაენახვა.

მზეო, დედასთან მიმავალო,
ღმერთი რო შაგხვდეს, შამახვეწე,
ჩემ შვილ უკვენავ გამოგზავნოს...
ვაი, შენს დედასა, გატყუებენ, _
გველისა ბოლოს გაწუებენ,
გველი რო ბოლოს მაიბრუნებს,
შენ დედის ძუძუ გეგონება...

მამის ნატირლები

შვილნი წავლალენ თიბვაზედა,
ჩემი სულაი, კურდღელაი...
თვალით დავხვრიტე ახუნ-გორი,
არსად აჩინდა ნამხრევები...
ბერო, სტიროდე შვილთა შენთა,
ჩარგლის-კართ იყვნეს შვილნი შენნი,
შამაწოლილნი ვეძაზედაო _
ბრუნევდეს სისხლის მორევშიაო,
ხელში ეჭირათ შიშვლებ ხმლები,
ერთმანეთს ყორნებს ულალევდესო.

დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა,
დავბერდი, სიტყვაც დამიბერდა,
ვარ ორი ჯოხით მოარული,
აბა, გახედეთ ჩემ ნავალსა _
ცრემლშია ატალახებული.

გორო, დანელდი, შე წყეულო,

როგორ პირი გაქვს დაღებული!
ნეტარ ვერც ეხლა გასძღებია
ჩვენის სისხლით და ძვალ-ხორცითა?!
სიკვდილს ვენაცვლე, რა კარგია,
ჩვენს იცის მალ-მალ სიარული!
მიყვარხარ, სასაფლაოთ გორო,
მიყვარხარ, განა მართლა გშურობ, _
აქ არის ჩემი მამის სახლი,
აქ წვანან ჩემნი მამა-ძმანი!

დის ნატირლები

აეგეთასამც ნუვინ იხდის,
მე რო ვიხადე ფარსმის თავსაო:
ძმას მივეყუდე ნატყვიარსაო,
თავთით ყორნები უგოგავდაო,
თვალთად კი ვერა დაეწონაო,
ხელი სდებიყვა დაშნაზედაო.

შენს თვალთ ენაცვლოს შენი დაი,
თვალთა, მა ოფლით ჩამომწვართა!
შენს მუხლთ ენაცვლოს შენი დაი,
მუხლთა დაშაულთ, დაღალულთა!
მხართა ენაცვლოს შენი დაი,
მხართა, მა საგზლით დაღარულთა!
შენს მკლავთ ენაცვლოს შენი დაი,
მკლავთა, მა ჯაფით დაძარღვულთა!
შენს წვერთ ენაცვლოს შენი დაი,
მა ჯიხვის რქასავით დაკაულთა,
წაღმა-უკუღმა დაგრეხილთა,
სამჯერ კისერში ჩანასკვულთა!
შენს ფარ-ხმალს ენაცვლოს შენი დაი,
შენს თოფს და შენს ცხენს დარახტულსა!..
გორგიო, ის დრო არა სჯობდა,
ლეკს რო უჯედი გორის პირსაო,
ლეკი ზურნაზე თამაშობდა,

შენ თოფის ლიშანს აყოლებდი!

ძმაილავ, ძმაო, შენ მამკლავი
ხატშია ვნახე, სერობასა...
თოფიც ლამაზი ჰქონებიყო,
თვალნიც ლამაზნი სხდომებიყვნეს,
ხელნიც ლამაზნი ჰქონებიყვნეს...
დაჭრილსა ხარსა რას მისდევდი,
არ იცოდია, დაგჩხვერავდა!

მე ძმა გავაგზავნე ტერელოსა,
თორმეტ მეომარს გავაყოლე _
ჩემი ძმა, ჩემი ჯუღურაი:
«ტერელოთ სახელს მომიტანსო!»
თეთრ საჩიქილე დავაბარე,
საკაბე კიდენ წითლიანი...
უკვე მესამე თვე შასრულდა,
გზათაკ თვალი მაქვს, არ გამოჩნდა,
ეხლა გადმოჩნდა და-მამკვდარი,
მაგრამ გადმოჩნდა ხის ნავითა...
შავ საჩიქილე მამიტანა,
საკაბეც შავი ღამისფერი,
ვეღარც მარჯვენა მაიყოლა...
დამც ენაცვლება თავის ძმასა,
თავის და თავად უპატრონებს,
თავად წავალის ტერელოსა,
თავად მაუტანს მარჯვენასა,
მამკლავისასაც მაუყოლებს!

ცოლის ნატირლები

გამიცინებენ ლაღნი კაცნი,
ყმაწვილ-ყმუწვილნი უმეცარნი:
ქმარს სტირსო ტოლათ შუქიაი _

შვიდი კვირაის ახალზალი!

დაწვიმე, შენმა ოხრობამა,
არ ჩამოგიგდავ ჯერაც ნამი!
იქ რა ჩემს ნიკოს დაასველებს
ცხვარშიით მისვლა-მოსვლაშია!

სახლიც ტირის და კარიც ტირის,
სანაპირონიც ჩამოდიან...
წვიმათოდენი ცრემლი გინდა,
ფოთოლთოდენი მოტირალნი.

მთიბლად გაქებენ, ჩემო ქმარო,
წამოვალ, შორით გიჭერ თვალსა...
ლეგჩოხავ, წითელპერანგაო,
სასალესვლეში წყალს ჩაგისხამ,
ქასურ-სალესველთ მოგიმარჯვებ...
ადე, თავმკვდარო, რას უწევხარ,
რა ვუყვა მე შენს ჭირნახულსა,
სუ არე-არე გაფანტულსა?!
ანდა რა ვუყვა შენს ხარებსა?!
კარჩი დავსწირო, დასჭამს მგელი,
შინ შავყრი _ წყალში დაიხრჩვება,
ბანზეით ჩამონადენშია...

დანიშნულის საქმროზე ნატირალი

მოვიდა მზე და მოვყევ მენცა,
დედაო, განა დედამთილო, _
უნეფოდ მუედ პატარძალი!
კარში გამოჩნდი, დედისერთავ,

თორო შაგარცხვნი, წავალ შინა,
ანად მეზობლებს მივეცემი, _
მაყოლოს თვალი დედაშენმა!
ჩემო მამაო, მამამთილო,
ჩემი აქ მოსვლა ხვარ გეწყინა!
შენ შვილს მიქებდენ სანეფოდა,
მენაც წამუედ საცნობლადა,
კარჩიაც აღარ მამეგება,
ხმის გაცემაც კი არ იკადრა,
დავსწყიო _ დედისერთაია!
არადა, მყოლებ გამიწბილა!
ჩოხა მოვართვი ორშიანი,
წინდა-პაჭიჭი ყაჭისები, _
არ იღებს, გაჯავრებულია...
ნუ შამაიყრის ძაან გულსა!
მუედ და ეხლავ სახლში წავალ,
უკლო უკლოდავ გავბრუნდები,
ნეტავი ჩემი წასვლისასა
სახლსამც მაჰშლია დერიფანი,
დახვია ჯანღი სოფელსაცა,
დამინახავდა ვეროთ ვინა
ამ დამწვარ-აპრიალებულსა!
გვირგვინი მაგან გამიშავა _
აეხლად... მიწა გააშავებს!

მეზობლის ნატირლები

მაჰკვდია, ბეჩავ იერემავ,
დასდევა სიღარიბის ჯოხი?!
მიწანიმც დაილოცებიან, _
შიშველნი მოგიმალნეს ხორცნი.

ტანიეს ამბავ გავიგონე,
ციხემ ჩარდახნი ჩამოყარნა, _
მაუკლავთ ოჩიაურაიო...

გამაგრდი, შუქიაურთ ქალო,
გაჯავრდი, გაიმაგრე გული,
დაზარდენ ქორის ბახალანი,
წალალენ შურის საძებრადაო!

ნადირნი ნადირთ ახარებენ, _
ოხერხეურნი კიშხეურთა:
გაუტყდა მშვილდი მისრიასა,
ისარნი სწორებს დაურიგნა,
მშვილდისა კანჭნი _ ყმაწვილთაო.

თქვენი ჭირიმეთ, მოტირალნო,
ვაჟკაცს ცრემლი არ დაამადლოთ,
დაობლდენ ამის იარაღნი,
პატრონს კი ვერას აშვენებდენ,
თავად პატრონი აშვენებდა...
ახლა სხვის ტანი დააშვენონ,
უყარაულონ სხვის სახელსა!

ნეტავ ლოგინი შაგვეცვალა,
მე შენს მაგივრად მოვკვდებოდი, _
რა ჯალაფ დამიღონდებოდნენ,
რა ბალღებ ამიტირდებოდნენ?!

თქვენი ჭირიმეთ, ბერდიშვილნო,
დისწული მახკალთ ბერდიშვილთაო?!
დისწულს არ მახკვლენ დედისძმანი,
თუ მახკვლენ, იქვე იტირებენ, _
გააცინებენ ხევსურეთსაო.

სიკვდილო, დაგიმადლა ღმერთმა,
თუ მახკალ ბაბოთ გიორგიო!
ქალ-რძალს მაარჩინ, ჩალხიასა,
მაგათ ტაბლასა შხამიანსა,
ლუკმას, ნასრევსა ხელუკუღმაო!

უბისთავს შავხვდი შენს მამკლავსა,
დაღისტნის გზანი გავასწავლენ, _
რად არ ვიცოდი, იათამზევ,
თუ უბეს ესხნეს ხელნი შენნი?!

«რა ვქნისა» ციხე ავაგე,
ჯავრი შავაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
ამ ციხის სანახავადა;
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: «დრო რო მოალის,
კარ გაიღების თავადა!»

ნეტავი შამატყობინა,
მამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარული ცოლ-ქმარნი
უდროოთ რისთვის გაყრილან;
დაცლილან ნასახლარები,
ზოგან სულ წმინდათ აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მკვიდრნი შაქმნილან.

ოხერმა წუთისოფელმა
ძირმწარე დამალევინა,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევინა!

სოფელო, მიეთ-მოეთო,
საბრუნავისა მახეო,
ზოგსა ცათამდის აიყვან,
ზოგსა უკუღმა დაჰხევო!

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება!

გწყევ, ჩემი დაბადებისავ
ვარსკვლავო, გასაქრობელო!
სულმუდამ დაღონებისთვის
რად გამაჩინე, სოფელო!

წუთისოფელი ასეა,
ღამე დღეს უთენებია!
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია!

სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქმ _
ვახარებ ჩემსა იასა,
მოვკვდები, გაუხარდება
სამარის კარსა ღიასა!

როსტომ თქვა: «ერთი ქართული
ჩინს კედლის ქვაზედ სწერია:
«ვისიც მე ვიყავ ერთგული,
ის უფრო ჩემი მტერია!»

მე ჩემი კალო გავლეწე,
გადავაყენე ხარები,
არნადით ჩამიხვეტნია _
ანიავებენ ქალები...

რამ დამაბერა...

ვერ მიცნა ჩემმა სწორფერმა,
ქალამა ჩემის ხნისამა,
«რამ დაგაბერა?! _ ეს მითხრა, _
ბიჭო, სთქვი, ძალმა რისამა?!»
«ჩემ დაბერება, ქალაო,
წელმა ქნა სამოცისამა,
სამოც-სამოცჯერ შემოსვლამ
გაზაფხულისამ, სთვლისამა!
ჩემზედაცა ქნა ბოინი
მსაჯულმა სიცოცხლისამა,
აღრენამ, ადიდებამა
როშკას, ფონთანას წყლისამა,
დიდის ნიაღვრის მოვარდნამ,
წაღებამ წისქვილისამა,
წისქვილთან ერთად წაღებამ
მამაჩემისამ, დისამა!
წყალწაღებულის ძევამა,

ვეღარ მახელვამ მკვდრისამა!
ურჯულოსავით ნაქნარმა
მაშინ ჩემ დედისძმისამა!
ოფლ-შრომამ დედაჩემისამ,
შეძენამ მამულ-წყლისამა!
მამულ-წყლის გამოისობით
გაყიდვამ ტალავრისამა!
ცხოვრებამ სიდუღჭირითა,
სიმწარემ ობლობისამა!
სულ მარტუაის ყოფამა,
არვისგან ჭერამ მხრისამა!
ამაგან ჩამომაბერა,
სიმრავლემ დუშმან-მტრისამა!
ავკაცობასთან ჭიდილმა,
პირში თქმამ სიმართლისამა!
სიჭაბუკის დროს ღალატმა
ქალისა ლამაზისამა!
თავზე ასწილად გადავლამ
ჭორისა, საძრახისამა!
ზამთარ _ ქარბუქის გუგუნმა,
გრიალმა ზვავებისამა!
ზაფხულის სილამაზემა,
სიმრავლემ ყვავილისამა!
დილით შურთხების სტვენამა,
ღამით ყმუილმა მგლისამა!
ჭიუხში ღამისთევამ და
მიყოლამ ჯიხვებისამა!
«ზატვრის» ხელფიცხად ხმარებამ,
წივილმა შაშხანისამა!
ხარლაღის გაგორებამა,
ჩაჯახჯუხებამ რქისამა!
მიმდგარმა დასწრებაზედა
ბაგბუგმა ნაგნებისამა!
ბზესავით ტყვიის მაშლამ და
კივილმა ქისტებისამა!
ჩამომაბერა ოცნებამ,
ჩონგურმა ვერხვის ხისამა!
ჩაქრობამ, ჩანაცრებამა
ყველა ტოლ-მეგობრისამა!
ჩემ მარტუაის დარჩომამ,
ჩამოთეთრებამ თმისამა!

ვერგამართლებამ საქვეყნოდ
ნაქონის იმედისამა!
კაი დროების წასვლამ და
ვერმოსვლამ სიკეთისამა!..
აქ, ბარად ჩამოსახლებამ,
გაწირვამ არხოტისამა!..
«რამ დაგაბერა?! _ ეს მკითხა, _
რამ, ბიჭო, ძალმა რისამა?!» _
სიზმარში მკითხის ამბავი
ლელამა გაბურისამა,
მკვდარმა _ ვერდავიწყებულმა
ორმოცდაორის წლისამა!

განა ლაღი ვარ, რომ ვმღერი,
გულისა დარდსა ვიქარვი...
ვინც ჩემზე იტყვის: «ლაღია»,
ჩემსავით ლაღიმც ის არი!
ძმასამც მაუკვლენ ლეკები,
მამას _ ნასროლი ისარი...
ანამც მაუკვლენ ნაძმობსა _
არც ძმაზე ნაკლებ ის არი!

მამიკვდი, ძმაო ივანე,
მამტყდა მარჯვენა მხარია,
ცაზე დაბნელდა ნისლები,
მიწაზე დაშრა წყალია;
მზას დამახვედრე, თუ ძმა ხარ,
მენაც შავეთის კარია,
შენკე ვარ დაწუხებული,
უნდა დაგავლო თვალია!

პირველად ევამა ნახა
ედემის ბაღის ხილია;
აიღო, ადამს მიართვა:

«ნახეო, რარიგ ტკბილია!»
ვართ ნათესავნი ადამის,
ვართ ჩვენ სიკვდილის წილია!
ყველანი დავიხოცებით,
ვინც კი ადამის შვილია!

საჯინჭვლის ხეობაზედა
ქარი ქრის, ნიაღვარია;
სიკვდილმა ჩამოიარა _
მეცხვარეს გაჰკრა მხარია;
«ნუ მამკლავ, ტიალ სიკვდილო,
ალვანს მიმიდის ცხვარია»...
«შენ ალვანს ვეღარას ჩახვალ,
მორჩა _ აქვე ხარ მკვდარია!»

«მომკელი უზანდარელი
შენ მოჰკალ, ქალმა ლელმაო»...
«არცა მე მოვკალ, არცა შენ,
მამულმა მოჰკლა გრძელმაო...
მზე-მთვარის ჩასვლა-ამოსვლამ,
წუთისოფელმა ჭრელმაო!»

«დაბერებულხარ, გიორგი,
გამოგრევია ჭაღარა»...
«დუშმანიმც დაბერებულა _
გავჯეილდები აღარა...
მიკანკალებენ მუხლები,
ლახატოს გზებმა დამღალა,
აღარც «ბუზიკა» მახარებს,
აღარც ფანდურის ნაღარა!»

ვაჰმე, ვარ სევდის მოკლული,
სევდა სევდაზე დამერთო,
ნაკბენი მორიელისა,
ზედაც _ გველისა დამერთო.

ზღვა-ზღვა მივცურავთ უაფროდ,.
ნიჩბების მოუსმელადა
არცა რას ვდარდობთ, არც ვჩივით,
ბედი გვყავს წინამძღოლადა...
გავალთ თუ დავიღუპებით,
არავინ იცის სწორადა.

მარტუა ძროხაშია ვარ,
მაგრანეთისა თავსაო,
გავხედავ გადასახედსა
ჩვენის ხათხევის გზასაო,
დავჯდები, დავსაგონდები:
ნეტარ რა ვუყვა თავსაო!
ვაჰმე, რო თავი მოვიკლა,
თავი შევწირო რასაო?!

დასაბამიდან დავიწყოთ,
თუ ქვეყანაზე რა არის:
ქვეშ ხომ დედამიწა არის,
ზევიდგან კიდევ ცა არის _
ადამიშვილი ჩამოდის,
ათასფერადი სხვა არის!

ბერო, ნუ სჩივი ბერობას,
დაკლებას თვალებისასა!
მაიმატოდი ჭკვა-გონსა,
რიგებას ახლებისასა!
გაუჯავრდიდი სწორადა
თავისასა და სხვისასა!

ოხერო წუთისოფელო,
დაგცადე ათასფერადა,
ხორცო, გასუქე, გალაღე,
სულო, გაგიხე მტერადა...
არცა რა კარგი იმან ქნა,
ვინც ოქრო დადგა კერადა!

საწუთროსა მე რა ვთხოვე:
ენა-პირი _ ხელოვანი,
ზედსაჯდომად _ კარგი ცხენი,
წინ ზღვად _ მინდორ-ველოვანი,
საკოცნელად _ თეთრი ქალი,
თასით _ ღვინო ფეროვანი.

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება!
რასაც ერთურთს გავახარებთ,
თორემ მეტი რა შეგვრჩება?!
სამი ადლი ტილოს მეტი
სამარეში რა წაგვყვება?!

ტიალი წუთისოფელი

ხედვას არ გვაცდის მზისასა,
კაცნი ვართ, მაინც ვილხინოთ,
გულს ნუ ვახარებთ მტრისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა.

არცა-რა მარტო ტირილმა,
არცა-რა ცრემლის დენამა,
აჯობა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა...
კაცი ვერსაით წაუვა
თავის ბედსა და წერასა!

ნუღარც ნადირს ეშინიან,
ნუღარც წყალში თევზი თრთისა,
აღარ არის კუსრას ბიჭი,
აღარც მისი თოფი ტყვრისა...

ნაბოსტნარში _ ირემი სძოვს,
ნასახლარში _ ღორი თხრისა...

ჯავრიანი გული

გულო, ჯავრისგან მოკლულო,
რა დაგაყარო წამალი!
არ მოგიდგება ექიმი,
არ მოგეტევა სამარი!

ეს ჩემი გული ორია,

ერთში წვიმს, ერთში დარია,
ავტირდე _ შევყრი ღრუბლებსა,
რომ გავიცინო _ დარია;

ეს ერთი გული მეტყოდა:
«მოკვდი, რათა ხარ მრთელია!»
მეორე ამას ამბობდა:
«იყავ! აჯავრე მტერია!»
...
ეს ჩემი გული რასა ჰგავს! _
ცასა ჰგავს დაჯანღებულსა!
პირშეკრულს, დამძიმებულსა,
საწვიმრად გამზადებულსა!

ქალსა ჰგავს ქმარ-ყოფ-მოშლილსა,
მამისას დაბრუნებულსა,
ხმალსა ჰგავს, პატრონმომკვდარსა,
დაჟანგულს, ჯართში გდებულსა!

ცხენსა ჰგავს პატრონმომკვდარსა,
სადავე ჩამოშვებულსა!
წისქვილს ჰგავს, მიშლილ-მოშლილსა,
სათავე გადაგდებულსა!

წუთისოფელი რა არი!

წუთისოფელი რა არი _
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი!
ყველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი!
ჩვენსა და სომეხებ-შუა
განყოფილობა რა არი!
თუ ქალი გეტყვის დობასა,
ის უკეთესი და არი!
აგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არი!
თუ არ იწამებ ამასა,

მუცლით ნაშობი რა არი!

სხვადასხვა

მართალი არის, დავბერდი,
მაქვის მოკვდომის ხანია,
მაინც მიყვარან კიდევა
ჩემი სამშობლოს მთანია;
გავხედავ შამწვანებულთა,
რა ლამაზები არიან!
მომეწადინა ლექსობა,
ფანდურს გავუბი ლარია...
დაგწერე, ლექსო, გაგწირე,
დაგტოვე სახსოვარია!

პირველად ღმერთი ვახსენოთ!

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ჯერ ღმერთი დიდებულია,
მემრე ის წმინდა გიორგი _
ბევრ კარგში წილდებულია.
ღმერთო, შენ იმას უშველე,
ვინც რომ წყალწაღებულია...
შენი მადლით ჩვენა ვცხოვრობთ,
ცა შენი აგებულია.

პირმა დაგლოცასთ ღვთისამან!

პირმა დაგლოცასთ ღვთისამან,
ნაწილმა ბარძიმისამან!
ქალაქჩი სიონისამა
დარეკამ ზარებისამან!
მცხეთაჩი სვეტიცხოველმა,
გადმომცქერალმა მტკვრისამან!
ლომისამ თორმეწამემა,
პატრონმა არაგვისამან!

მა კობის წმინდა გივარგიმ,
პატრონმა დიდის მთისამან!
მა ბერმა წმინდა სამებამ,
პატრონმა ხმელეთისამან!
ივანე ნათლისმცემელმა,
პატრონმა ბალღებისამან!
მა ბახტრის წმინდა გივარგიმ,
პატრონმა მგზავრებისამან!

ძალო კვირაისაო!

მაღალო ღმერთო, შენ გეძახიან!
ძალო ხთისაო, ძალო კვირაისაო,
შენ გეხვეწების შიშია წიკლაური!
შენ შეიხვეწე, ოქროს ტახტში მჯდომელო!
ოქროს ბურთის მსროლელო!
მე არა გამეგების, ხორციელთ გამწესებელო!
შენ რა არ მოგეხსენების ხმელთაზეით,
ცის უფსკრულებზედ
ვარსკვლავების გამშლელო!
წმინდა გიორგი ცხენსა ზის

წმინდა გიორგი ცხენსა ზის,
ქვეშ უქრის ნიავქარია,
მხარზედა ჰკიდავ მათრახი _
სამოცდასამი მხარია;
ვისაც დაუქნევს, დააჩნევს _
მაგის დაკრული მწარია...
შამაუარა საყმოთა,
სუ შააგროვა ყმანია,
უგულოს გული ჩაუდგა,
წელზე შააბა ხმალია.

გუდანის ჯვარი

ქადაგობს გაიდაური:
ბრძანებს გუდანის ჯვარიო,
ჩემს კარზედ შაიყარენით
სამის ბატონის ყმანიო;

სამი ააბით დროშაი,
სამსავ შააბით ზარიო?
ახიელის ძირ ჩავიდათ,
ვატიროთ ქალი, ზალიო?
იქ უნდა დავზდვათ ბეგარი,
კვამლად თითოი ცხვარიო...
გაიგა არხოტის ჯვარმა,
წელთ შამაირტყა ხმალიო:
«სხვაკნით ამიღავ ბეგარი,
დამპალო, სად მოხვალიო?!»

ქალსა ვისმე...

ქალსა ვისმე, ქალსა ვისმე
ერქვა შუშანაო,
ოთხსა თითსა, ხუთსა თითსა
ეცვა ბეჭედაო,
ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა
იყო ბოსტანაო,
ბოსტან-შუა, ბოსტან-შუა
მოლი მოსულაო,
მოლსა-შუა, მოლსა-შუა
ნაძვი ასულაო,
ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა
ქორს ბუდე ედგაო,
ბუდე იყო, ბუდე იყო
აბრეშუმისაო,
კვერცხი ედო, კვერცხი ედო
იაგუნდისაო,
გადმოტეხა, გადმოჩეკა
მარგალიტისაო...
ღმერთო, ერთი, ღმერთო, ერთი
ჩემთვის გაზარდეო,
სანადიროდ, სანადიროდ
გზა გაუწალდეო,
ინადიროს, ინადიროს,
მოჰკლას ირემიო,
ეიკიდოს, ეიკიდოს,
შინ მოიტანოსო...
«ჩემო ცოლო, ჩემო ცოლო,
ტურფავ, ლამაზოო,

მაგ ირემსა, მაგ ირემსა
ბეწვი შეჰგლიჯეო,
შენ მაგისი, შენ მაგისი
ჩოხა დამირთეო,
ნაგულრისა, ნაგულრისა
წინდა-პაიჭიო...»
«ჩემო ქმარო, ჩემო ქმარო,
ლომო და გმიროო,
მაგ ნაძვისხეს, მაგ ნაძვისხეს
ტოტი შესტეხეო,
შენ მაგისი, შენ მაგისი
სახლი დამიდგიო!
ნაფოტისა, ნაფოტისა _
წისქვილ-ბეღელიო...
სიხარულით, სიყვარულით
გავლიოთ დღენიო!»

ყარაიაის ველებსა...

ყარაიაის ველებსა
ნისლები მააბნელებსა,
აჰყვებ-დაჰყვება ხელაი
ცივის, გომბორის სერებსა;
ზამთარს ყოიან იანი,
აქ კაცს რა დააბერებსა...
ფშავისხევს გამოვეთხოვე,
დავძმავდი კახეთელებსა;
მოველით კაი ღვინოსა,
თონის პურებსა, ბრტყელებსა;
კახელებს ხიხლიკუებსა,
ლურჯის ნიფხვების მცმელებსა,
პურ-ღვინო ბევრი მააქვის,
ვენახში ოფლის მღვრელებსა,
მოვლენ, სასმელად მოგართმენ
ხელადეებსა სველებსა...

ფშავისხევს დავემშვიდობე,
ხინკლებსა, ქადისკვერებსა,
ქალის დაგებულ ლოგინსა,
ბალიშს რო შააცერებსა...
ეხლა კი მადლი მაუათ _

დავშორდი ჩარგალელებსა:
მღვდელიც მარტუა მაილხენს,
წინ სუფრას გაიბრტყელებსა,
მარტოკა შესჭამს ხუცესი,
კისერსაც გაისქელებსა,
ლუკა დაიწყებს კვეხნასა,
თან კისერს მაიღერებსა,
გარსევანიანთ ლევანი
გამძღარზედ წაიმღერებსა...

ეხლა თქვენ იყოს ჩარგალი,
მშვიდობით მაიხმარეთა!
დიყელაშიაც წახვიდით,
ხოდასაც აიარეთა!
ხაჭო-ერბუებ აკეთეთ,
შიგ პური ჩაიყარეთა!
მკვდრებიცა მარხეთ თავადა,
მიწაც თქვენ მიაყარეთა...

ჩემს ამბავს ვერცვინ გაიგებს,
ნურცვინ დაიწყებს კითხვასა,
ვერც საქართველოს მიპოვით,
ვერც მხარეს დაღესტნისასა;
ნეტავ ვერ ვეღირსებია
სამარეს ახადისასა,
ადგილსა მამაპაპურსა,
მანდ გათლილ კუბოს ფიცარსა,
გულითად დატირებასა
ქალისასა და რძლისასა?!

აბრუნდა ლექსის ბორბალი

აბრუნდა ლექსის ბორბალი,
თამაშობს კალმისტარია,
გულს შამამაწვა დარდები
შირაქს _ შუაღმის ხანია.
თოვლიან-ყინულიანნი
ჰქრიან ლეკეთის მთანია,
ვერხვთა ჩრდილებში ნაწოლი
დუდუნებს ალაზანია,
ვარსკვლავთუფროსობს ცისკარი,

ლეკის მთით ამამხდარია.
შენ გეხვეწები, ცისკარო,
თუ ხარ მთას მიმავალია, _
ვიცი, დაჰყურებ როშკასა, _
მიამბე, შამიბრალეა!
სოფელს ნიშნობით გასწავლებ:
ყველგან ქვის გალავანია,
ბიბინებს თეთრი არაგვი,
სოფლის პირს ჩამდინარია;
სოფლის თავს, ფიცარ-კლდესთანა,
წევს მძიმე ხარავანია,
საჯუთო, საარხვატოსკე
დგას თორმეტ ფარა ცხვარია,
როშკის ხორხ იალაღზედა
ძოვს რემათ ქარავანია,
ქერით ნაკვებებს ხვადებსა
აკრავ ფოლადის ნალია,
სინდაურაის წვერზედა
მუდამ ნავარდობს ქარია,
შიბუთ მომართვი ამბავი,
ხვარ ჩინს ჯიხვების კვალია?
ან იმ დაჭრილმა მანძილამ
თეთრნი სად დასხნა რბანია?
მე არას მამწინს შირაქი,
ხალხთ რო მე დამდვეს ბრალია,
ჩემი გუნების ადგილი
მთა იყვა, განა ბარია.
აიმ მთათ გულისათვისა
წყდებოდეს ხევსურთ ყმანია,
თეთრნი ნათობდეს ფრანგულნი,
ჭყიოდეს მშვილდისარნია.
მაშინ არ იყვის თოფები,
იბრძოდის მკლავის ჯანია,
სრუ მზას იყვნიან გმირები,
როგორც მესაზღვრე ჯარია,
ტახტის თავითი ეკიდის
აბჯარი საომარია,
ხმალი, დაშნა და სამკლავე,
ფარზე სისხლისა ცვარია,
წრიაპნი ფოლადისანი,
ხარის გავაის ჯღანია,

სიცოცხლე იმათი ღირდა,
რო გვყვანდის მამ-პაპანია.
მაშინ სიგლახეს კაცისას
არ ჰქონდის გასავალია,
ხალხში მასჭრიდენ კალთასა,
ჯარ იყვის ჩამამსხდარია:
«შენფერს თემ-სოფლის შემრცხვნელსა
რად უნდა ტალავარია!»
ხელთით თას ჩამახყარიან:
«აქ სმის ღირს აღარ ხარია!»

წერილი შირაქიდან

ალაზნის პირზე ჯეილსა
ფიქრი დამაწვა მწარია,
გამუედ, გაჯავრებულმა
წყლის პირას გავიარია.
შენ რო ხარ ლეკის მიჯნაი
და გქვია ალაზანია,
ნეტაინა გქნა არაგვი _
ფშავიდან მომდინარია,
ტკბილად მეკითხა ამბავი:
ფშავის ხევ როგორ არია,
ჭალები გუდარახისა,
გამოღმა ჩარგლის კარია,
როგორა გვყავის მთაშია
ჯეილ-ჯუილთა ჯარია...
წინწინ ხორნაულს ვიკითხავ, _
ჩემთვის ძმადნაფიცარია, _
მაგრამ ვემდური იმითა,
მალევ მამტეხა მხარია,
არცა რა იმას უშავის,
დიდხანს ცოცხალიმც არია,
ფშავიდან გედეხაური,
საბოტაური ხარია,
ხევსურეთშიით გიგია _
მოსისხლეთ შასდვა ზარია...
ქალი რომ ვიცი ლამაზი,
ან ის რარიგად არია!
ტუგურელაანთ ქალები
ხმატკბილად მოუბარია,

ან ე ღვდელაის თამარი
თეთრი და სახემკრთალია,
ან არჯალაანთ პარასკო _
მთვარე გორს მინატარია!
მარიამს კუკა ხვარა სწყევს,
ყვირილ ხვარ მოდის, ჩქამია!
ან ფოცხვერაანთ ქალები
კარგის ხის ანათალია...
ქვრივ მარიამზე რაღა ვთქვა, _
როგორ მყავს მარიამია?
ჩემთვის ეგა სჯობ ყველასა,
მზე არის ამამხდარია!
სიკვდილმსამც დაავიწყდება
თამარი, ოსას ქალია!
აი, შე არგასაზრდელო,
ჩიქილა დაიფარია!
კიოთ დათხოვდნენ ქალები
და დაიწერეს ჯვარია,
ვერ ვიყავ ფშავის თემშია,
ვეღარც ქორწილი ვჭამია,
ფშავურად ვეღარ ვილექსე,
ვეღარც ყანწ გამოვცალია,
თავის თავ მამეწონება, _
რა ლამაზი ვარ მთვრალია!
ნეტაინ წამოვიდოდი,
გზა მქონდეს მოსავალია.
ფიქრმა წამიღო მწარემა,
თავი ძირს ჩამოვხარია,
გონთ მოველ, ისევ აქ იყო,
ისევ ის ალაზანია,
დიდი შირაქის მინდორი,
ზედ გამოშლილი ცხვარია...
ბევრკან გაჰკივის ფარასა
ლამაზი ქალის ქმარია.

ნათელმა მთვარემა ბრძანა

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
«ბევრით მე ვჯობივარ მზესა!» _
დაჯდა და წიგნი მისწერა,
ზენა ქარი მიართმევსა.

მზეს რო წიგნი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
«მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა?!
ავი ამინდი რომ დადგეს,
ის ხომ ვერ დააშრობს გზებსა?!
თუ ეს სიტყვა ტყუილია,
ჰკითხევით ღამის მეხრესა!» _
ღამის მეხრე დაიბარეს,
ულვაშებზე ისვამს ხელსა...
«დაჯე, ბიჭო, სწორადა თქვი,
თორემ მიგცემთ სატანჯველსა!» _
დასვეს და ალაპარაკეს,
მეუფე ყურს დაუგდებსა:
«მე უმზეოდ როგორ გავძლებ,
ღამეს კი გავტეხავ ბნელსა, _
დღისით შევზვერავ ბალახებს,
ღამით მივრეკ საქონელსა.» _
ერთი მაზარა უბოძეს, _
ღამე მავალია ესა;
ღვინოზედ კაცი გაგზავნეს,
მზე მთვარეს შეარიგესა.
ცისკარი მოჩანჩალებდა,
ძლივს თავის ტყავს მოათრევსა,
გათენებისას ამოდის, _
პანღური ჰკრეს, გააგდესა...
შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა,
ის ძალიან დაათვრესა,
ხალათი გამოუცვალეს,
კაი ჩოხა ჩააცვესა.

ნებით გაყოლილ ქალზე

ორშაბათ დილა გათენდა,
მზიანი დღეა, დარია,
შამაუარე მინდორსა,
ყანებს დავავლე თვალია,
გადავისახე პირჯვარი,
პირზე შავისხი წყალია,
შაველ და გამოვიყვანე

ღარიბაშვილის ქალია...
სოფელში ნავალს უკვლევენ,
საითკენ მიდის კვალია,
ჩონქარაის ქერს დახედეს,
ზედ იყო ჩანავალია;
ერწოსკენ წაუყვანავის,
გადაუვლევავ მთანია,
ნეტა ვის მკლავზე დააწყო
თორმეტ ნაჭაპნი თმანია?!
ნეტა ვის შააგოგმანა
შევარდენივით თვალნია?!
გაიგო ქალის მამამა,
შაიკრა შუბლის ძვალია,
სიმონიანთხევს მივიდა,
შუაღამისა ხანია,
რაფიელს გამოუძახა:
«ჩქარა, მაჩვენეთ ქალია!» _
არ აწყენინეს ხვთისოსა,
მაჰგვარეს თავის ქალია,
დაიწყეს მამა-ქალათა
ტკბილ-ტკბილად საუბარია:
«არც რა გატეხეს, მამაო,
არც მაინდომეს ძალია,
გამოვყევ ჩემის ნებითა,
არ იყო სხვისა ბრალია;
ჩემ ქმრეულთ ისეთ სახლ უდგათ,
მთელ მაგრანეთის თვალია!
ქაჩალ გორაზე _ ბატკანი,
თრიალეთსა ჰყავ ცხვარია!
კარზე უბრუნავს წისქვილი,
ოთხი დოლაბი თვალია!»

ქარაფზე წადგა ხარლაღი

ქარაფზე წადგა ხარლაღი,
რქებ ზურგზე გადიყარაო,
წამაიგრძელა კისერი,
რა კოხტად გაიზარაო...
კემპიდან მონადირემა
ნიშანზე აიყვანაო,

თოფ გატყვრა, ტყვია აწივლდა,
ჯიხვო, წაგერთვა ძალაო,
ჭაუხის წვერზე გაზრდილო,
მოგაძებნინა ჭალაო...
შიბშიით გამაიშალა
კვნესით შურთხების ფარაო,
ფრთებ შაჰკრნა მხარკვერიანმა,
ელდასებრ დაეტანაო,
შურთხს დაჰკრა, ჭალას ჩაგზავნა,
ქვასავით ჩაეფარაო...
შახედა მონადირემა,
შაუქო მკლავის ძალაო:
«მე და შენ, _ უთხრა, _ არწივო,
ღმერთმა ეგრ შამაგვთვალაო!» _
არწივ დაიწყებს კივილსა,
საკბილოს ჩაეჯარაო;
შააზრიალა კლდეები
მოყმის სიმღერის ხმამაო...
ორივე საქებარია,
ახლა მეც ქებას ვთვალაო:
მე ვაჟი მამწონს ისეთი,
წილ ედვას ყველასთანაო,
მთიბლებში ცელი იქნივა,
თიბა, არ დაახანაო,
თუნდ იყვას მღერა-თამაში,
იქაც თავ გაიტანაო,
თუნდ სვემდენ სანაკვეთოსა,
შენც უნდა გამასცალაო,
ცხენის მხედრობაც კარგია,
სწორობა სწორებთანაო,
ხან კაი სიტყვა-ალერსი,
რა იყვას მაგისთანაო,
სწორფრობაც თავის დროზედა,
ზოგ-ზოგჯერ, ხანდისხანაო,
კაია პურადობაი _
გედგას ჭურჭლების ჯარაო,
შინ გყავდეს სტუმრად სოფელი,
შაგწევდეს მაგის ძალაო...
დროზე შუღლიც კი კარგია, _
მტერს ჩაუნათო დანაო!

დევების ქორწილი

წამაველ სანადიროთა,
ჯიხვებს დავუწყებ ზვერასა;
შამავხვდი დევებისასა
ვაივაგლახსა, მღერასა.
ახალ-ზალ მაუყვანავის,
აქორწილებდეს ბერასა,
მეაც იქ დამიპატიჟეს,
უყურეთ ბედისწერასა!
მავიდნენ ახალ-უხლები,
ზოგ მე დამიწყებს ბღვერასა:
«ეს საითა-ღ ვინ მასთარეთ,
ჩვენებსავით რომ ვერ ასა!»
მასპინძელ გაუჯავრდების:
«ქორწილ უხარის ყველასა!»
ერთ რაიმ რქიან მავიდა,
კუდი ღბავ როგორც მელასა,
თვალ უზის შუა შუბლშია,
საცრის ოდენ კი ვერ ასა,
მეორე _ კეფაში უზის,
უკენისკენაც ხენავსა.
იქ რაიც ჭურჭლებ ჩამადგეს,
აქ მე ვერ ვათქმევ ენასა.
«დი-დიდებ ყანწებ მაგვართვი!» _
ეძახდეს მამასწვერასა:
«შაუნდნას ჩამავლეული,
ვინც რომ დააკლდა ბერასა!
მაიღით სამამკვეთროი,
ვერ ხკმარობს მამლაყვერასა!»
ერთ ჯიხვის რქა კი გადასვა,
ვხედავ: გუნებას ვერ ასა,
გადაიწურნა ჭურჭელნი,
დაცალნა, დახკრა კერასა;
შამახკრა ჭიბიხოელმა:
«ეხლა გიტირებ ყველასა!»
«დახკარით! _ მაყრებ იძახან, _
ჭერნ აუყუდნათ ბერასა!»
მე რო მაგათ შუღლს შავესწარ,
მაგათ ფარ-ხმლების ჟღერასა,
ერთურცისაკე ზიდილსა,

მაგათ ქურების ბერვასა!
«რაიც რომ შასვით, შაშჭამეთ,
ცეცხლად მაგიქცევთ ყველასა!»
დადგა ქალების წკმუტუნი,
ვერ ვიჭერთ მამასწვერასა.
ერთ რამამ სახნის მაიღა,
ჩადვა ღველფში და ღბერავსა,
სხვამ დასცა წიხლი ამ დროსა,
თავ შაუგლივა კერასა.
ხანჯალთ დაიწყეს პრიალი,
ბებერსაც გვიკვლენ პელასა.
მე კი საკვმისას გამავძვერ,
დევებს ვეკვლევი ვერასა...

ეგ _ თქვენი გამარჯვებისა!
სრუ მართალს ვამბობ ყველასა!

ამბავი ამირანისა

ფრაგმენტები

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი.
მინდორს კვალი მაუკვლიეს
დანაჭლიკი ეშმაკისი.
მთას ირემი წამოუხტათ,
ოქრო იყო რქანი მისნი,
ამირანმა ისარი ჰკრა,
არ გავარდა ცვარი სისხლი.
თორმეტი მთა გადიარეს,
მეცამეტე ალგეთისი.
უცხო მთაზე კოშკი ნახეს
ანაგები ბროლის ქვისი,
მოუარეს გარემურგვალს,
ვერ იპოვნეს კარი მისი...
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა,
ამირანმა მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ გააღო,

იქ შეება კარი მისი.
კოშკში ლომი წოლილიყო,
მამრევ არვინ იყო მისი.
იმას თავით რაში ება,
ტოტით მიწას სთხრიდა ისი.
მარცხნივ რო შუბი ეყუდა,
წვერი ცასა ჰხევდა მისი,
მარჯვნივ ედო თავის ხმალი,
პირი ჰქონდა ალმასისი,
ერთს კუთხეში ოქრო-ვერცხლი,
ნაგროვები ცამცუმისი.
თითებსა და თითებს შუა
წიგნი ჰქონდა ქაღალდისი.
ამირანმა წაიკითხა,
შიგ ეწერა გვარი მისი:
«არც ეგრე დაკარგული ვარ,
დისწული ვარ უსუპისი.
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
არ შევჭამე ჯავრი სხვისი,
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა
ერთის დევის ბაყბაყისი.
ვინაც მოჰკლავს ბაყბაყანსა,
ჩემი შუბი ალალ მისი,
ვინც დედ-მამას დამიმარხავს,
ჩემი ფული ალალ მისი,
ვინაც რომ დებს გამითხოვებს,
ოქრო-ვერცხლი ალალ მისი,
ვინც მამივლის, ვინც დამმარხავს,
ცოლიც, რაშიც ალალ მისი».

...

ცოტა კაცია ამირან,
ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:
სადილად ბუღა კამეჩი,
ვახშმად არც სამი ეყოფა...
ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა,
საქმარედ გამზადებულსა,
უსუპი _ ბროლის ციხესა,
თავ-ბოლოდ გამაგრებულსა,
ამირან _ შავსა ღრუბელსა,

საავდროდ დამზადებულსა.

...

რას მიცინი, დევის ქალო,
რას მიელვი თეთრსა პირსა,
გამივლი და გამამივლი,
გამისინჯავ ბაგე-კბილსა,
თუ შემოველ, აგიტირებ
ქმარსა, მაზლსა, ყმაწვილწვრილსა.
სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან,
დავკარგე და ვეძებ ვირსა,
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი,
ჩემი ბედიც ასე სჭრისა.

...

ვაჟიკაცო გულოვანო,
ღვინისფერო, მცინარეო,
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, _
ფეხი წადგი წინარეო!

ეთერიანი

ფრაგმენტები

ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო,
ვეხვევი ბროლისა მკერდსა,
ვეღარ ვიშოვი ხვალეო.

...

მე ბანი-ბან დაგეძებდი,
შენ ბაღჩის ბოლოს გეძინა,
ოქროსა ღილი გაგეხსნა,
ბროლისა მკერდი გეჩინა.

...

ამ პურმა და ამ მარილმა,
ამ ღვინომა ვაზისამა,
სახნისმა და საკვეთელმა,
გაწეულმა ხარისამა,
შენს მეტი ქმარი არ მინდა,
ფიცმა რა ქნას ქალისამა!

არსენას ლექსი

შაირ-სიტყვითა მესტვირემ
ღმერთი მაღალი ახსენა:
«ღმერთმა მოგცეს გამარჯვება,
ოძელაშვილო არსენა!»
ქეიფი იმას უყვარდა,
გზებზე სუფრის გადაფენა,
შვიდ წელიწადს ტყეთ იარა,
მთა და ბარი შეაჯერა.
რომ შეიქნა თექვსმეტი წლის,
ულვაშები დაიმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე,
გააჭენ-გამოაჭენა.
ზაალი ბარათაშვილი
ძალიან გაგვინაწყენა:
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს,
არსენას მოეწონება.
«გოგო მე მამე, ბატონო,
შენ კი არა წაგიხდება!»

ბატონმა გოგო არ მისცა,
მღვდელმა ჯვარი არ დასწერა.
რა რომ შინიდან გავიდა
ბარათაშვილს გადემტერა.

«ეს არსენა რა გაგვიხდა,
რა არის მაგისთანაო!
ბიჭო არსენავ, რა მიყავ,
რა წერამ აგიტანაო!»
«მოგიტან თორმეტ თუმანსა,
მოგითვლი ჩქარა-ჩქარაო.»

ეს რომ ზაალმა გაიგო,
წარბი არ შეიხარაო:
«თორმეტი აღარ მიგდია,
ბიჭები შენისთანაო?!»
«აბა თუ თორმეტიც გყავსა,
ადექ და მამყევ თანაო!»
ეს რომ ზაალმა გაიგო,
ქოში უკუღმა ჰყარაო;
კარიდან ვეღარ გაასწრო,
ფანჯრიდან გადიპარაო.

მოსტაცა ბატონს მოახლე,
ახალციხეს გაუყენა,
ჩითის კაბები გახადა,
სხვა ფარჩები შაუკერა,
იმის ქვეით შეიდიში
კოჭებამდინ დაუმშვენა.
მობრუნდა ჩვენი არსენა,
ცოლ-შვილით გააცამტვერა.
ეს რომ გაიგო ზაალმა,
ორთავ თვალით შექნა ცრემლა.
ქალაქში გამოაცხადა,
ღუბერნატორს მოახსენა:
«გამივარდა ერთი ბიჭი,
დამაქცია, დამანელა!
ერთი კარგი გოგო მყავდა,
წამართვა და გადმიყენა,
წამახდინა არსენამა...
თუ რასმე მიშველით თქვენა!
თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ,
ძნელია ჩემი დარჩენა!»

ათი-თორმეტი ყაზახი
გასწევს თრიალეთისკენა.
კოდაზე რომ შემოვიდნენ,
წინ იქ დაუხვდათ არსენა:
«დრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს,
კუდა იდიოშ, საითკენა?»
«ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქვს,
მივდივართ მარაბდისკენა,
ერთი ბიჭი გამოგვექცა,

სახელად ჰქვიან არსენა,
თუ ვისმე კი გაგეგონოთ,
გვინდა იმისი დაჭერა».

ეს რომ არსენამ გაიგო,
ჩაიცინა ნელა-ნელა.
ნაბადი გვერდზე მოიგდო,
თოფი ფეხზე შეაყენა;
ჯერ რომ თოფი დაახალა,
მერე ხმალი შეაშველა;
ათი-თორმეტი ყაზახი
სულ ცხვარივით გადმოდენა.
თელეთის ბოლომდინ მოჰყვა,
სომხითში არ გააჩერა.
იმ საწყალსა ყაზახებსა
ზურგზე ბოლი ააყენა.
«ნას კაკოიც», - მიაძახა, -
«თავათ გახლავართ არსენა!»

ქალაქში რომ ჩამოვიდნენ,
ყველამ უფროსს მოახსენა:
«უზარბაზნოდ არ იქნება
თქვენი არსენას დაჭერა,
ან არის მდევი, ლომ-გმირი,
ან არის რკინის მკვნეტელა.
თუ ჩვენგან არ დაიჯერებ,
ნეტავი მარტო გაჩვენა!
რომელსაც ხელი მოგვკიდა,
ფეხზე აღარ დაგვაყენა.
ექვსსა თოფები წაგვართო
და სულ მიწით დაგვიტენა».

ეს რომ ზაალმა გაიგო,
ორთავ თვალით შექნა ცრემლა:
«ნეტავი კაცი მაჩვენა
იმ არსენას დამჭერელა,
ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო,
და ფულები ამოტელა!»
ალმასის წყალზე ურიებს
აწყევლინა ბედისწერა.
გამოართვა ხახამს ადლი,

ოთხს კისერში ჩაადებსა:
«თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ,
გაგწყდომიათ ხვნა და თესვა,
ძალათ გაჭმევთ ღორის ხორცსა,
კეფაზე დაგასხამთ წვენსა,
თუ ამას არ დამჯერდებით,
ქართულად გაგპარსავთ წვერსა.
ჩამოხვიდოდით ქალაქში,
ყიდულობდით ფარჩებს ჭრელსა,
ჩამოხვიდოდით სოფლებში,
ლამაზათა ჰკაზმავთ ცხენსა.
ქვრივსა და ობლებს გვიტყუებთ,
ნამეტნავად პატარძლებსა!»

მათი ადლი რომა ნახა,
არსენას არ დაუჯდესა,
გატეხა და გადააგდო:
«ფუ, გამჭედი გაუწყდესა!»
შინდის ჯოხი გამოუჭრა,
რომელიც რომ გრძელი თქვესა;
შვიდი მტკავლით გაუზომა:
«მისხალი არ დააკლდესა!
თუ ამითი არ გაყიდით,
ვაი დედითქვენის ღმერთსა!
საცა რომ შემოგეყრებით,
სუყველას გამოგჭრით ყელსა!»

იმ საწყალმა ვაჭრუკებმა
სულ კანკალი დაიწყესა:
«ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ,
რაღა დახლი დაგვიდგესა?
ისევე ჩვენი ფართალი
ამ ჩვენ დუქნებში დალპესა,
არსენა რომ დაიბადა
ჩვენი საქმე სულ წახდესა!»
«საახალუხე მომყიდეთ,
იმ თქვენი დედ-მამის მზესა!» _
ეს _ არსენა ეუბნება
შეშინებულ ურიებსა.
არა ღირდა ორ მანათად,
ერთ თუმნად დააფასესა.

მაშინ ჩვენი არსენაი
თითო მუშტსაც წაადებსა.
დახედე, საახალუხეს
სულ ტყუილად წაართმევსა.
კიდევ იმათ ეუბნება:
«თქვენ ჯიბეში ფული ძევსა;
ურიავ, ფულები მამე,
ვიცი საგზლად მამინდესა!»

ი საწყალი ურიები
დაეკითხნენ ერთმანეთსა:
«ვაჟო, ე ფულიც ვაჩუქოთ,
ეგებ ცოცხალს გაგვიშვებსა».
ამოიღეს და გადუგდეს
თუთხმეტი თუმნის ოდენა.
ხუთი თუმანი აიღო,
ათი უკან დაადევნა.
«ოღონდ დაგვეხსენ, არსენავ,
გამოვაცხობთ სეფისკვერსა,
ქართულად დავინათლებით,
კარგა დავიპარსავთ წვერსა,
ძალათა ვჭამთ ღორის ხორცსა,
ზედ თავზე დავისხამთ წვენსა!»

გზად სომეხი მოდიოდა
არხეინად, ნელა-ნელა!
არსენამ რომ დაინახა,
თავქვე ცხენი დააჭენა.
წინიდან წამოურბინა
და თავდაბლა მოახსენა:
«ეგ ქულაჯა გაიხადეთ,
ეს თექა ჩაიცვით თქვენა».
ის ქულაჯა წამოისხა
და ბეჭები დაიმშვენა.
ცხენი გრილოში დააბა,
თავათ იქვე მოისვენა.
ბრძანება შემოეთვალათ
თბილისიდან უფროსებსა:
«ერთი კაცი აგრე ჩადის,
ათასი რას შეიძლებსა?
ასი ოქრო გაუჩინეთ,

ვინც არსენას დაიჭერსა».
კარანტინები შეუკრეს,
ლეკში არსად გადვიდესა.
«თუ რომ ეს ლეკში გადვიდეს,
ყაჩაღობას დაიწყებსა.
ყაჩაღობას ვინ დაეძებს,
თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა!»

გაუწყრა მაღალი ღმერთი
ფარსადან ბოდბისხეველსა:
ნათლიმამად მოიკიდა,
მაგრამ ის უღალატებსა.
როცა შირაქში დაცხება,
თრიალეთს აასხამს ცხვრებსა.
თაფარავანის ტბაზედა
წინ არსენას დაუხვდესა:
«არსენავ, გეთაყვანები,
რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?»
«მიღალატებ, ნათლიმამავ,
მიტომ არ მოვდივარ თქვენსა!»
«არსენ, როგორ გიღალატებ
სამის შვილის მომნათვლელსა,»
ძირს დედამიწას ჰფიცავდა
და მაღლა ზეცაში ღმერთსა.
მაშინა სთქვა არსენამა:
«მირონს როგორ დამიქცევსა!»
მოიტყუილეს არსენა,
ტკბილის ღვინით დაათვრესა;
შემწვარი და მოხარშული
წინ ტაბაკით მიართვესა.
დამთვრალსა და გალეშილსა
ტკბილი ძილი მოუნდესა.
იარაღი აიყარა,
ნათლიდედას აბარებსა:
«ხვალ, თუ მშვიდობით გათენდა,
ადრიანად დამჭირდესა».
იალუჩი და ბალიში
საჩქაროზე მიართვესა,
ზედ ტყავები წააფარეს:
«არსენს არ შეგვიცივდესა».

ამ მამაძაღლ ფარსადანსა
გუნებაში რა უძევსა?
შუაღამე რომ შეიქნა,
თავის ამქარში გასწევსა...
ათი-თორმეტი მეცხვარე
თავს მძინარეს დააწვესა.
არსენამ წამოიწია,
შეევედრა მეუფესა:
«ე მამაძაღლი ტიელი
რა ბუზები მასხედს ესა!»
ათსა ეგრე წამოუდგა,
სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა,
მეთერთმეტე, მეთორმეტე
არსენს გაუკრავენ ხელსა.
ისე მაგრა გაუჭირეს,
რომ ფრჩხილებში სისხლი სწვეთსა.
«ნათლიმამავ, ნუ მღალატობ,
ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
ათასწილად სიკვდილი სჯობს
იმათ ხელში განსაცდელსა!
მე მღალატობ, ნათლიმამავ?
იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?
ჩემს მაგიერ სამართალსა
ღვთისმშობელი გაგიჩენსა.
ნუ მღალატობ, ფარსადანო,
ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
ორას თუმანს აქ გაჩუქებ,
სამას თუმანს _ გომარეთსა».
ფარსადანს ასე ეგონა:
«ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა».

ეს არსენა ცხენზე შესვეს,
ძირს ფეხები გაუკრესა:
ბიჭი მარდია არსენა,
გზაზე არსად გადმოხტესა.
წამოიყვანეს ქალაქში,
თვალთაგანა ღვრიდა ცრემლსა,
მთელი ქალაქის ბიჭები
მტრედის გუნდივით დასდევსა.
იმერლები იძახიან:
«კი, კი, კი»-სა და «ქვე-ქვე»-სა!

სომხები გაიძახიან:
«ლავე ბიჭი არის ესა!»
რუსები: «ოჩენ ხაროში,
ეი ბოღუ, მალადეცა!»
ბებრები გაიძახიან:
«ახ, ნეტავი დედაშენსა!».
პატარძლები იძახიან:
«ნეტავი შენს მეუღლესა!
ნეტავი იმის სოფელსა,
ვისაც შენ გადახვევ ხელსა!»
მაგარი ბორკილი მიაქვს,
თორემ წვრილებს დაამტვრევსა,
ჯიღის ტოლა თვალები აქვს,
მტერი რაღას დააკლებსა?!
მოუბრუნდება არსენა
კამეჩივით შეუბღვერსა:
«რას მიპირობ, ნათლიმამავ,
თუ წაუველ ამათ ხელსა?
თრიალეთში ცხვარს გაგიწყვეტ,
გადაგიწვავ მინდვრის ძნებსა,
მირონსაც აღარ დავეძებ,
ღორივით გამოგჭრი ყელსა».

იმ უფროსის კარებზედა
არსენა მიიყვანესა.
უფროსი გამობრძანდება,
ბალკონიდან გადმოსცქერსა.
ფარსადანს გაუჯავრდება,
თავსა და პირს დაამტვრევსა:
«შე წუწკო და მამაძაღლო,
რათ იჭერდი ემაგ ტყვესა?
ერთი გავარდნილი კაცი
ტყეში ეფარება ხესა!»
არაფერი არ აჩუქეს
ფარსადანს იმის დამჭერსა.
ფარსადანს ასე ეგონა:
«ჯამაგირსაც გამიჩენსა».
იმტელი მამა უცხონდა,
რამტელიც იმას მისცესა,
ერთი ოთხიოდ პანღური
ამოჰკრეს და გააგდესა.

უფროსმა ნახა არსენა,
ძალიან შეიბრალაო:
«რა კარგი ვაჟკაცი იყო,
ზეზეურ ჩამომხმარაო!
რაც შენი ამბავი მომდის,
რათა ჰქენ, ჩემო არსენა?»
«მე არც ერთი არ მიქნია,
სულ ტყუილი მოგახსენა;
მართალია, გავარდნილი
დავდიოდი მშიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი,
მიყვარდა ღარიბის ჭმევა,
დანაშაული ესა მაქვს,
ნება თქვენი ასრულდესა!»

არსენს ხელები შეუხსნეს,
ფეხში ბორკილი მისცესა,
იმ ნარიყალას ციხეში
ის არსენა შეაგდესა.
შვიდი კვირა და შვიდი დღე
იმ ციხეში ამყოფესა,
საციმბიროდ გაამწესეს,
ცალი წვერი მოპარსესა.

მაშინა სთქვა არსენამა:
«ვაი დედიჩემის ღმერთსა!
მე რომ ამ ციხეში მოვკვდე,
ბიჭობას ვინ დამიგდებსა?»
იმ აფიცრებს შეეხვეწა:
«იმ თქვენი დედ-მამის მზესა,
აბანოში ნაჩვევი ვარ,
ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა;
წამიყვანეთ აბანოში,
მისი დარდი არ გამყვესა!»

წაიყვანეს აბანოში,
ყარაულები მისდევსა.
ერთი საწყალი მანათი
არსენს ჯიბეში უდევსა,
ამოიღებს, გადაუგდებს

მიკიტნებს და სირაჯებსა:
«ამის ოტკა ჩამომისხით,
მისვით მშიერ სალდათებსა!»

დამიხედეთ, მიკიტნები
მეგობრადაც გაუჩნდესა;
სირაჯმა და მიკიტანმა
თვალი უყვეს ერთმანეთსა.
სალდათებს ოტკა ჰგონიათ,
ჩუმად რომი ჩაუსხესა.
ისე დათვრენ სალდათები,
ვერა სცნობენ ერთმანეთსა.

აბანოს კარზე მივიდა,
შევიდა და შეაღებსა,
უკან მიკიტანი მისდევს,
ჯიბეში ქლიბს ჩაუდებსა.
მაშინა სთქვა არსენამა:
«ჩემი საქმე არის ესა!»
აუზებთან რომ მივიდა,
აიწევს და გადახტესა.

მიდგა ეს ჩვენი არსენა,
ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰგონიათ:
«აგურითა იხეხს ფეხსა.»
აქეთ-იქით შემოხეხა,
გადასწევს და დაამტვრევსა.
ფეშტამლები დაახვია,
რაჟღარუჟღს არ დაიწყებსა,
გატეხა და გადააგდო:
«ფუ, გამჭედი გაგიქრესა!»

ამ ხანად მოდის უფროსი,
აბანოში შევიდესა,
აიყარა ის შინელი,
მაღლა ბალკონზე დადებსა.
გამოვა ჩვენი არსენა,
შინელს გაუგდებდა მხრებსა,
რუსულ ჩექმებს ჩაიცვამს და
რუსულ შლაპას დაიდებსა;

კარებში რომ გამოვიდა,
წინ დოინჯსაც გაიგდებსა;
შემოხედა ყარაულებს:
«ხაბარდა და სტარანეცა!»
სუყველა ყარაულებმა,
სუყველამ გზა დაუგდესა.
იმათ ბატონი ეგონათ,
ეს არსენა გამოძვრესა.
პატარა გამოიარა,
თან სიცილი აუტყდესა.
მეიდანზე გამოვიდა,
მიაძახა მედროშკესა:
«ახლავე დროშკა მომგვარე,
თორემ ცხენებს დავჭრი ყელსა!»

რომელიც კარგი დროშკაა,
ის არსენას მიართვესა,
დაუჯდა ბიჭი არსენა,
გაუდგა დამოჟნის გზებსა.
კუმისის მთაზე გადადგა,
ბიჭი მოუძღვის სიდედრსა.
არსენამ რომ დაინახა,
სთქვა: «დიდება მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა!»
თავდაბლა მოახსენებსა:
«თუ უკაცრავად არ ვიყო,
დედი, ჩამობრძანდი ცხენსა!
მე ტყვე ვარ გამოპარული,
არც მე მატკენს ეგ ფეხებსა!»
დახედე, იმისი სიძე
ხანჯალზე დაიდებს ხელსა:
«გასწი, იქით გამეცალე,
როგორ მოგცემ ამ ჩემს ცხენსა?
ხელმწიფის გზაზე მიხვდები,
კაცი უნდა გაგიჟდესა!»
მაშინ ჩვენი არსენაი
კამეჩივით შეუბღვერსა:
«მოგიბრუნდები, შემოგკრავ,
სულ მუშტით დაგამტვრევ ყბებსა!»

რაღა ბევრი მოგახსენოთ,

ხელი სტაცეს ერთმანეთსა.
არსენა ღონიერია,
იმ ბიჭს ქვეშ ამოიგდებსა,
ორი მუშტი რომ შემოჰკრა,
ყარფუზივით დააბნევსა.
დედაკაცი ეხვეწება:
«ნუ მომიკლავ ჩემ სიძესა,
მაგ ჩემ გამომცხვარ ნაზუქებს
ღმერთი ტკბილად შეგარგებსა!»

ცხენიც იმას დაულოცა,
თან ხურჯინსაც გაატნევსა.
«დედავ, დედაშვილობასა,
შენ ნუ დამიწყევლი გზებსა!»
ის დედაკაცი ლოცავდა:
«ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,
სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე,
არსენა, გაგიმარჯვდესა!
მაძღარს ართმევ, მშიერს აძლევ,
ღმერთი როდი წაგახდენსა!»

პატარაზე გაიარა,
ხურჯინს ჩხრეკას დაუწყებსა:
ცალ ხურჯინში ტიკჭორაა,
ცხრა ნაზუქი თავსა ძევსა;
ცალგნით ორი ქათამია,
ინდაური თავს აძევსა.
დაჯდა ჩვენი არსენაი
და ლამაზად ქეიფს სწევსა.

ერთი სომხითელი ბიჭი
ქალაქისკენ გამოსწევსა,
ორი მანათი აჩუქა,
ორ სიტყვას დააბარებსა:
«ესე უთხარი ქალაქში
მიკიტნებს და სირაჯებსა:
არსენა რომ დაიჭირეს,
ქვეით მიდიოდა დღესა!
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს,
ღმერთი როგორ წაახდენსა?!
სადაც თათარს დაინახავს,

«ბურ და ვალას» აძახებსა;
სადაც ტიტველასა ნახავს,
თავის პერანგს ჩააცმევსა».

ორ კვირაზე იმ ბებერსა
ისევ გაუგზავნის ცხენსა.
ერთი თუმანი აჩუქა,
რაც რომ ნალი გაუცვდესა.
ბებერიც ამას უთვლიდა:
«ღმერთმა მშვიდობა მოგცესა!»

სამადლოს დუქანზე მივა,
ფილიპეს ცხენს წაართმევსა:
«თუ უკაცრავად არ ვიყო,
მაგ ცხენზე აიღებ ხელსა:
მე ტყვე ვარ გამოპარული
და ქვები ფეხებს მატკენსა!»
მეჯინიბეს ეუბნება:
«უნაგირი სადა ძევსა?»
«უნაგირი და ლაგამი
ორთავე თავით უძევსა.
ცხრა მოსართავს თუ მოუჭერ,
თორემ ოთხ-ხუთს გაგიგლეჯსა;
ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ,
თორემ თავსა წაგართმევსა!»
«ბიჭი არსენა მოგიკვდეს,
თუ ცხენი გადმომაგდებსა!»
გადაჯდა და გამოსწია,
გადმოუდგება მინდვრებსა.

ყაზახში რომ გადავიდა,
ემსახურა თათრის ბეგსა:
«ამათ რჯულზე ვერ დავდგები,
მე ხომ ვერ მოვუშვებ წვერსა».

იქიდანაც წამოვიდა
და სომხითში გამოსწევსა.
ორი თვის გამოსავალი
გამოირბინა ორ დღესა.

იქ ჩავიდა ქიზიყშია,

ნათლიმამას მიაგნებსა.
ბოდბისხევში რომ შევიდა,
სულ კარები ჩაკეტესა.

ეს ფარსადანმა შეიტყო,
იმისთანა თქვენსა მტერსა.
მეტისმეტის ჯავრისაგან
ადგილზე ვეღარ დადგესა.
ძმებსა კაცი გაუგზავნა:
«არსენა არ მამარჩენსა!»
მაშინ ფარსადანის ძმები
არსენს გადასდებენ ხელსა:
«გვაპატივე ფარსადანი,
რაც რომ უნდა გაგვიხდესა!»
«ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ,
გული როდი გამიძლებსა!»

მაშინ ფარსადანის ძმებმა
ოსტატობა იხმარესა:
ერთ უადგილო ალაგას
დიდი ორმო ამოჭრესა,
ის საწყალი ფარსადანი
შიგ ორმოში ჩააგდესა,
ზედ ფიცრები წააფარეს
და მიწა წააყარესა:
«ვიცი, არსენამ მოგასწრო,
ცოცხალს როდი გაგიშვებსა!»

ორი დღე უყარაულა:
თვალს კი ვერსად მოასწრებსა!
მესამე დილა გათენდა,
მაშინ პირჯვარს დაიწერსა:
«თუთხმეტ წელს ყაჩაღადა ვარ,
კაცის ცოდვა არ მაძევსა,
ახლა მოვკლა ნათლიმამა,
ბოლოს სული წამიწყდესა!
გამობრძანდი, ნათლიდედავ!» _
ხელში მოჰკიდებდა ხელსა: _
«გამოუშვი ფარსადანი,
არას ვერჩი არაფერსა;
ვაპატიებ ნათლიმამას,

ჯერ მირონს და მერმე ღმერთსა;
ფარსადანს მაინც არ მოვკლავ,
თუ გინდ რომ წინ დამიხვდესა!»

ღვთაების მადლი გწყალობდეთ,
მარტყოფის თავში სვენია.
იქ იყო მისი დღეობა,
თვითონაც გიახელია.
სუმბათოვიც იქ მობრძანდა,
ის ჩვენი ქალაქელია.
სუმბათოვსა და მაკაროვს
თან შეეკაზმათ ცხენია;
კნეინებიც იქა ჰყავდათ,
ზედ გადეხვიათ ხელია.
როცა წირვა გამოვიდა, _
იმისი მადლი შენია, _
რო დაინახა არსენამ,
პირჯვარი დაუწერია:
იმ სუმბათოვს ეუბნება:
«ა, გამარჯობა შენია,
ქალაქში რომ შარს მიგდებდი,
ახლა ხო მოგასწერია!
მაგ შენს აპელატებზედა
შენით აიღე ხელია!»

კნეინა ეუბნებოდა:
«შენი ჭირიმე, შენია,
აიღე და გადაუგდე
ეგ ოხრად დასარჩენია.
თორემ ეგ არსენა არის,
ვიცი გამოგჭრა ყელია.
სუყველა ოხრად დაგრჩება,
დროშკა და შენი ცხენია.
მე ხომ არსენა წამიყვანს,
შენ დარჩი ცარიელია!»

შინლიანად გადმოუგდო
აპელატები სქელია.
წამოიფრინა არსენამ,
გამორბის, როგორც შველია,
მაკაროვს თავის ხმალზედა

ააღებინა ხელია!

ორი კვირა თონეთშია
და ქეიფსაც ბევრსა სწევსა,
გამვლელსა და გამომვლელსა
სუყველას ღვინოს ასმევსა.
მეორე კვირა გათავდა,
ქალაქისკენ გამოსწევსა,
მთელი ქალაქის ბიჭები
მტრედის გუნდივითა სდევსა.

ღმერთს უშველია არსენა
ამიერით განსაცდელსა.
საცა მივა მიკიტნებთან,
ყველა დაუქნევდა ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა,
ტოლ-ამხანაგებს აძლევსა:
«შესანდობელი დალიეთ,
როცა არსენა მოკვდესა».
რაც იმას საქმე ეამბა,
იმისთანა თქვენსა მტერსა:
«ვნახე წუხელი სიზმარი,
სისხლში ვიღებავდი წვერსა:
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები,
რაც რომ უნდა გადაწყდესა.
ან თათარი მიღალატებს,
ქართველი არ მომარჩენსა.
ვერ დავესწრები აღდგომას,
ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა.
თუ ძალად არავინ მომკლა,
ნებით გამოვიჭრი ყელსა!»

რას ამბობს, ბიჭი არსენა
როდი ემეტება ღმერთსა?!
თუთხმეტ წელს ყაჩაღად დადის,
კაცის ცოდვა არ აძევსა:
სადაც ტიტველასა ნახავს,
ჩოხას იხდის და აცმევსა.

მაშინ ი ჩვენი არსენა
ზემო ქართლისკენ გასწევსა.

დიღმის სწორა რო მივიდა,
მიკიტნებმა დაათვრესა.
იქ ბევრი დაალევინეს,
ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა.
მცხეთის პირდაპირ მივიდა,
მუხათგვერდში ქეიფს სწევსა,
ის რო პურის ჭამად დაჯდა,
ცხენს ბალახზე გაუშვებსა.

იმ გიორგი კუჭატნელსა
გამჩენელი გაუწყრესა! _
წამოსულა კახეთიდან,
იმერეთში გამოსწევსა.
ამოუარა არსენას,
გამარჯობას ეტყვის ერთსა:
«გამარჯობა!» _ «გაგიმარჯოს!» -
სალმად მარტო ეს იყვესა.
«გიორგი, ღვინო მიირთვი,
იმ შენი დედ-მამის მზესა!»
გიორგი შემოაგინებს
დედისა და მამის ყელსა:
«ვა, შენ საწყალო არსენა,
რადა ხარ ჭკუათხელია?
მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ,
წითელი პარასკევია!
თუ ეგრე ღვინო მინდოდეს,
ჯიბეში ფული ბევრია!»

ეს რომ არსენამ შეიტყო,
მუხლზე დაიკრა ხელია:
«კაცად როდიღა ჩამაგდო,
რაღა ბიჭობა ჩემია?!
ბიჭი არსენა მოგიკვდეს,
ვერ შეგიცვალოს ფერია!»

გაჯავრებული არსენა
პირიდანა ჰყრიდა ცეცხლსა.
წამოვიდა ის არსენა,
იმ გიორგის დაუხვდესა:
«გიორგი, საით მიდიხარ?
არსენა არ გაგიშვებსა!

ან უნდა მამცე ფულები,
ან შენი ცხენი დამრჩესა!»
გიორგიც ეუბნებოდა _
ღმერთი იმას გაუწყრესა:
«ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები,
შენ რომ მოჰკიდებდი ხელსა,
ლეკის პირდაპირ ვიყავი,
ოცი ტყვია მომარტყესა:
ორმოცი ტყვიაც მომარტყეს,
ვერაფერი დამაკლესა!»
მაშინ გაჯავრდა არსენა,
ხმალზედ მოისვამდა ხელსა,
პირით რომ ვერ გაიმეტა,
ყუით გადაუკრა ცხენსა.
ხმალი ვადაში გადუტყდა,
ის ცარიელი დარჩესა.

მაშინა სთქვა არსენამა:
«დღეს მზე დაბნელდეს ჩემია!
ვაი, რა დროს მიღალატე,
გაგიწყრეს გამჭედელია!»
შემოუქნივა გიორგიმ,
მოსჭრა მარჯვენა ხელია!
დაღონებული არსენა
ცხენიდან გადმოვარდესა.
ცაცია ხელით ხანჯალსა
არსენა მოისვამს ხელსა.
ცოტას კიდეც მიაწვდენდა
ბარძაყზედა ხანჯლის წვერსა,
ცალი ყური ჩამოთალა,
ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა.
«ეგეც გეყოფა, გიორგი,
აქიმიც ვერ მოგარჩენსა!
ვერ გაგიმეტე, გიორგი,
ვაი დედიჩემის ღმერთსა!»

ერთი ლეკის ბიჭი ჰყავდა
იმ გიორგი კუჭატნელსა,
ბეჭებში დამბაჩა დასცა,
პირში ბოლი გავარდესა:
დაღონებული არსენა

აიწევს და ვერ ადგესა.
«რახან მომკალი, გიორგი,
სიტყვა მაინც დამცალდესა:
ჩემი შვიდასი თუმანი,
კასპში ერთ დიდს კლდეში დევსა;
ღარიბსა, არას მქონესა,
მიეცეს და მოხმარდესა».
ამ სიტყვას რომ გაათავებს,
არსენა ძირს დაეცესა.

მცხეთელებმა რომ გაიგეს,
თვალთაგან ცრემლი ჰღვარესა.
ზოგი წყალში გამოვიდა,
ზოგი ხიდზე მოირბენსა.
ოძელაშვილი არსენა
ზედ ბორანზე დაუდვესა,
გაიყვანეს მცხეთაშია
და ანდერძი აუგესა.
მარმარილოს ქვა დასწერეს,
დასწერეს და დაადვესა:
«აქაც კაი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესა!»